საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№34 (363)
21 – 27 სექტემბერი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## პარტია №5 და საფრთხე №1

«გამომდინარე იქიდან, რაც მიხეილ სააკაშვილმა 2003-2012 წლებში ჩაიდინა, ალბათ, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ არანაირი ზნეობრივი წინაღობა ხელს არ შეუშლის მას, საკუთარი მომხრეები «უცნობ სნაიპერებს» დაახვრეტინოს, «მოდელირებული» ან სულაც რეალური ტერაქტები მოაწყოს» 3



## ცეცხლს ნუ ეთამაშებით!

### სამეგრელოს, იარლიყების მიწებება კი არა, სააკაშვილის მეტასტაზებისგან გაწმენდა სჭირდება



4

«ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ბევრს ჰქონდა განცდა, რომ ხელისუფლებას დაავიწყდა სამეგრელო და მეგრელები» 8



17 აშშ-ში დააპატიმრეს ქალი, რომელმაც თავის ვაჟთან და ქალიშვილთან იქორწინა



გოგი თოფაძის ანგარიში ამომრჩეველთა წინაშე 6

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წარუმატებელი მცდელობები 14

გერმანიის შს მინისტრი: ქვეყანაში 500-ზე მეტი ჯიჰადისტი იმყოფება 20

21 ბრიტანეთის პარლამენტმა აღიარა, რომ ლიბიაში შეჭრამ კოლაფსი გამოიწვია

24 «კარლო კალაძე ტელეფონიდან მიყვიროდა, — თუ საქმეს არ ჩამოშორდები, იმ საფლავში დაგმარხავ, რომელსაც ასე თავგამოდებით ეძებო»

# ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მეჭიაურის კაპიტალი



**„პოლიტიკური პარტიების ნაწილი დამოკიდებულია დასავლეთზე, ნაწილი — ჩრდილოეთზე, ჩვენ კიდევ ღმერთის ანაბარა ვართ“, — განაცხადა პარტია „თამაზ მეჭიაური — ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა თამაზ მეჭიაურმა.**

მახსოვს, ბატონო თამაზ, **პოლიტიკაში რომ მოხვედით, განაცხადეთ, მხოლოდ საკუთარი ჭკუის იმედად ვარო, და აწ გარდაცვლილმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ქნევით რომ თქვა, — პრაქტიკულად ნულიდან იწყებს ეს კაცი პოლიტიკურ კარიერასო.**



## რა განსხვავებაა კვერცხსა და რესპუბლიკელს შორის

**„ძვირფას ნაციონალებს ვეუბნებით, რომ ვერ მოგეხმარებით, ვერ დაგანებებთ ამ ქვეყანას იმისთვის, რომ კარიდან წასული სააკაშვილი ფანჯრიდან შემოვუშვათ ახლა რაიმე ფორმით. არ მოგცემთ ამის საშუალებას.**

ამიტომ ჩვენ ვიბრძოლებთ პარლამენტში იმ მანდატებისთვის, რომ ეს ვერ მოახერხოთ და, თუ „ქართული ოცნება“ და ნაციონალები პარლამენტში მარტო დარჩნენ და მეტი არავინ იქნა იქ, აი მაშინ შეიძლება კიდევ უფრო დიდი შანსი გაჩნდეს, იმ ვიღაცის ფანჯრიდან შემოსვლის. იმიტომ რომ, ნაციონალებს რომ ვხედავთ, აქვთ გამოცდილება, იციან მუშაობა შიგნით და გარეთაც. ერთი-ერთზე დარჩებიან ნაციონალები და „ოცნება“, 1 ნაციონალი 3 „ოცნებას“ უდრის. იმიტომ, რომ იმ „ოცნებაში“ კვალიფიკაცია, პოლიტიკური უნარ-ჩვევები ჯერ არ არის, შეჭამენ იმ პარლამენტში. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, იმ პარლამენტში რომ არ ყოფილიყო „თავისუფალი დემოკრატები“, ჩვენზე რომ არაფერი ვთქვათ, რა ვითარება იქნებოდა თანაფარდობაში ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის გინდ პარლამენტის ტრიბუნაზე, ქუჩაში, ტელევიზიაში ან უცხოეთში. ამას რაღაც სჭირდება, რომ ამ ხალხს გავუმკლავდეთ“, — განაცხადა **დავით უსუფაშვილმა.**

**ბატონო დავით, გამახსენდა, ცხონებული ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზიდან“ — ერთი კარალიოკი ორ კვერცხს უდრის და ორი კარალიოკი — ერთ ქათამსო. ჰოდა, კი უდრის ერთი კარალიოკი ორ რესპუბლიკელს...**

**თუ არა და, 8 ოქტომბერს ხალხს ვკითხოთ.**



## მოაშარდვინეთ ბურჭულაძეს

**„მარიხუანის გაყიდვა უნდა ხდებოდეს არა გადამყიდველების მხრიდან, არამედ აფთიაქებში. ჩემი აზრით, აფთიაქებში ექიმი უნდა წერდეს რეცეპტს. ამით ჩვენ აღმოვფხვრით ძალიან დიდ კონტრაბანდას და ამას გავხდით ნორმალურს.**

არ შეიძლება ხანდახან არ გაიზიარო ის, რაც ევროპის ქვეყნებშია. ზუსტად ასეთი პირობებია ნიდერლანდებში, ასეა ავსტრიაში და მე მას ვემხრობი. საერთოდ, ნარკომანს არ უნდა ეშინოდეს, რომ მას დაიჭერენ და მალავდეს, რომ ის არის ნარკომანი. როცა ადამიანი ხვდება, რომ ის არის ნარკომანი, შეუძლია მივიდეს ექიმთან და ექიმმა უნდა უმკურნალოს. ეს არის მათი გამოჯანმრთელების ერთადერთი გზა — რომ ის არ მალავდეს, მივიდეს ექიმთან და ექიმმა გამოუწეროს რეცეპტი. ეს არის ძალიან ჰუმანური და თანამედროვე გზა“, — განაცხადა კოალიცია „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერმა პაატა ბურჭულაძემ.

**ეს კაცი ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა ევროპიდან და, თავს დავდებ, მაგ რეცეპტით ისარგებლა. აბა, კაიფში თუ არ იყო, იმ კოალიციას შექმნიდა, რომელიც ახლახან შექმნა და მერე ასეთ განცხადებას გააკეთებდა?**

**მივმართავ სამართალდამცავებს, ბოდიში და... მოშარდოს ბურჭულაძემ! არა, პოლიტიკურად ისეთი სვლა გააკეთა, მოშარდა კი არა, ჩასვარა საქმეში, მაგრამ მარიხუანის ანალიზისთვის შარდია საჭირო.**

**P.S. ხმა კულისებიდან: „ჯერ შეიცადეთ, მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა...“**



## ნინოს არ აინტერესებს

**„მგონი, ჩვენ უფრო მეტად ვფიქრობთ დასავლეთის ინტერესებზე, ვიდრე თავად დასავლეთი. ჩვენი ამოცანაა, რომ დასავლეთს მოეწონოს ჩვენი წინადადება; ჩვენი ამოცანაა, რომ დასავლეთს მოეწონოს ის მინისტრები, რომლებსაც დავნიშნავთ; ჩვენი ამოცანაა, დასავლეთმა დაინახოს, რომ რუსეთი არ გველაპარაკება; ჩვენი ამოცანა სხვა რამეა და ეს არის სახელმწიფოს ინტერესების რეალიზაცია და ძალიან არ მაინტერესებს რა ხასიათზე დადგება დასავლეთი.**

აქედან გამომდინარე, არც ის მაინტერესებს, რუსეთი რა ხასიათზე დადგება. მე მინდა, რომ ჩემი სახელმწიფოს ინტერესების განხორციელება შევძლო, ამისთვის, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, დასავლეთიც კარგ ხასიათზე იყოს და რუსეთიც. არ შეიძლება ასე არასერიოზულად მიდგომა სახელმწიფოს ინტერესებისადმი. ჩვენ რეალურად ვართ პატარა ბავშვებივით, რომლებსაც აქვთ იმის იმედი, რომ დასავლეთი ხელს ჩაგვკიდებს, მოგვიგვარებს ურთიერთობას რუსეთთან, აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან, არ ხდება ასე. დროა, საკუთარ ინტერესებზე თვითონ ვიზრუნოთ“, — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.

**ძალიან არ მაინტერესებს, რა ხასიათზე დადგებიან პარტიის წევრები და, შესაბამისად, არც ის მაინტერესებს, რა ხასიათზე დადგება ამომრჩეველი, — თქვა ქალბატონმა ნინომ პარტიული სიის შედგენისას და მეოთხე ნომრად სიაში თავისი შვილი ანზორ ბიწაძე ჩაწერა.**




## პატარა ბაია

**„ჩვენი საზოგადოება უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დასაშვები გახდეს. ეს ისედაც განსაზღვრულია და ყველაფერს კონსტიტუციაში ვერ ჩავწერთ.**

მეორე — სინამდვილეში ეს ერთნაირსქესიანთა ქორწინების პოტენციური ბრძოლაა, რომელიც დღეს არ მიმდინარეობს, მაგრამ წინმსწრებად უნდა ვიღაცას ამის წამოწევა. არ მესმის, რატომ უნდა გავატაროთ კრემლის პროპაგანდა და მოვახვიოთ ჩვენს კონსტიტუციას და ჩავწეროთ შიგნით, როცა ამის არანაირი საჭიროება დღეს არ არსებობს; და მესამე, რატომ ვცდილობთ, დავხუროთ ეს თემა: ჰომოსექსუალების ქორწინების იქნება, ოჯახი იქნება, შვილად აყვანის თემა იქნება თუ სხვა, ჩვენ უნდა ვიკამათოთ ამ თემაზე იმისთვის, რომ ჩვენი საზოგადოება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ, მაგალითად, ერთნაირსქესიანთა ქორწინება გახდეს დასაშვები. სანამ საზოგადოება ამ დასკვნამდე არ მივა, ეს არ მოხდება“, — განაცხადა „ქალთა მოძრაობის“ დამფუძნებელმა **ბაია პატარაიამ.**

**ბაია პატარაიას საყურადღებოდ! მიდი იმ დასკვნამდე, რომ ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინებით არც ბაია გეყოლება არასდროს და არც პატარა.**



## აბა, ტვინი?

**„ნუ გაგიკვირდებათ, წინასაარჩევნოდ ტვინები ცხელდება და ძალიან ბევრ საინტერესო განცხადებას მოისმენთ“,** — ასე გამოეხმაურა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **ნოდარ ჯავახიშვილი** კოალიცია „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერის — **პაატა ბურჭულაძის** განცხადებას, რომ საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს რუსეთის უშიშროებასთან შეთანხმებით და სწორედ ამ ურთიერთობების დამსახურება და შედეგია ის ფარული ჩანაწერი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა.

დამიჯერეთ, **ბატონო ნოდარ, პოლიტიკოსთა უმრავლესობას არც წინასაარჩევნოდ და არც მის შემდეგ არაფერიც უცხელდება.**

მოამზადა გიორგი გელაშვილმა

„კასრების ეპოქის“ შემდეგ სამეგრელოს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდა. „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა კი, როგორც ჩანს, რეგიონულ ლიდერებს მიენდო და პროცესები თვითდინებაზე მიუშვა. მან სამეგრელოში მაჟორიტარი კანდიდატების შერჩევისას ისეთივე ყურადღება და სიფრთხილე არ გამოავლინა, როგორიც, მაგალითად, თბილისში. ამის გამო, ნაციონალებს ზუგდიდში, სენაკსა თუ ფოთში სერიოზული შედეგის მიღწევის შანსი გაუჩნდათ. როგორც უკვე ვთქვით, არეულობის დასაწყებად საჭიროა არა იმდენად გამარჯვება, რამდენადაც მასთან მიახლოებული, დამაჯერებელი შედეგი.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პარტია №5 და საფრთხე №1

**არჩევნების მოახლოებასთან ერთად საზოგადოებაში იზრდება შიში მოსალოდნელი დესტაბილიზაციის გამო. ხელისუფლება, პრაქტიკულად, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დაძაბულობა განმუხტოს. ყველა ცდილობს, დაადგინოს, რამდენად რეალურია საფრთხე.**



„არის ინფორმაცია, რომ რიგი პარტიებისა აპირებენ არჩევნების პერიოდში და შემდგომაც გარკვეულ პროვოკაციებს“, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა **გიორგი მღებრიშვილმა**. მართალია, მან იქვე დასძინა, რომ მის უწყებას „ყველა ძალა და რესურსი აქვს, რათა ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ დაუშვას, ხოლო ბიძინა ივანიშვილმა ამავე თემაზე საუბრისას თქვა, რომ „პროვოკაციები იქნება, მაგრამ იქნება მინი, პატარა პროვოკაციები“.

კაცმა რომ თქვას, **ნორმალური ხელისუფლება მოსალოდნელ პროვოკაციებს კი არ უნდა აანონსებდეს, მიუხედავად იმისა, „მინი“ იქნება ის თუ „მიკრო“, არამედ ზედმეტი ლაპარაკის გარეშე ჩანასახშივე აღკვეთოს.** მთლიანობაში კი, ივანიშვილის აზრით, სიტუაცია ასე გამოიყურება: „კუთხეში არიან შეყრილები. ძალიან კარგად იციან, რომ არჩევნების გზით, ლეგიტიმურად არავითარი შანსი არ აქვთ ხელისუფლებაში მოსვლის. 46 კაცი ჰყავდათ პარლამენტში და ახლა მათთვის კარგი შედეგი 10 კაცია. შესაბამისად, ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან. უარესი შედეგი შეიძლება ისიც იყოს, რომ პარლამენტში ვერ შევიდნენ. ერთადერთი, რაზეც შეიძლება აქცენტი გააკეთონ, არის ძალადობა, რომ რაიმე რევოლუცია მოახდინონ. ის კაცი უკრაინიდან გამოდის და დაუფარავად გვმოძღვრავს. „რუსთავი 2“-ის დირექტორიც ნახეთ, რა დღეშია და როგორ დაუფარავ განცხადებებს აკეთებს. შესაბამისად, ცდუნება აქვთ ძალიან დიდი, მაგრამ რესურსი არ გააჩნიათ“ („ინტერპრესნიუსი“).

რევოლუცია თუ სახელმწიფო გადატრიალება, მით უმეტეს, რესურსების უკმარისობის პირობებში, ხუმრობა საქმე არ არის. ნებისმიერ ეპოქასა და ქვეყანაში მისი ორგანიზატორები წარუმატებლობის შემთხვევაში შეიძლება არა მხოლოდ თავისუფლებას, არამედ სიცოცხლესაც დაემშვიდობონ. **„ნაცმოძრაობის“ ლიდერები და აქტივისტები ნამდვილად არ წარმოადგენენ ჩე გევარას ტიპის მამაც და თავდადებულ მებრძოლებს და არ წავლენ სერიოზულ რისკზე, თუ უსაფრთხოების გარკვეული გარანტიები ან თუნდაც შესაბამისი ილუზია არ ექნებათ.** აქ, ალბათ, უნდა ჩამოვთვალოთ რამდენიმე გარემოება, რომლებიც ხელს უწყობს მოვლენების რადიკალური სცენარით განვითარებას:

**1.** სააკაშვილი და „ნაცმოძრაობის“ რიგი ლიდერებისა თავს უკრაინას აფარებენ. მათ ამ ქვეყნის მოქალაქეობა და მაღალი პოსტები იცავს. ისინი, სავარაუდოდ, მიიჩნევენ, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის წარუმატებლობის შემთხვევაში არაფერი დაუშავდებათ. საქართველოში მყოფი მათი თანამოაზრეებიც უკრაინას „სათადარიგო აეროდრომად“ განიხილავენ;

**2.** ივანიშვილის ხელისუფლებამ არათუ დასაჯა, არამედ არც კი დაჰკითხა იმ მაღალჩინოსნების უმრავლესობა, რომლებმაც სააკაშვილის მმართველობის წლებში (სავარაუდოდ) მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. აქედან გამომდინარე, ნაციონალებმა შეიძლება იფიქრონ, რომ მთავრობა ამჯერადაც ლმობიერი იქნება და ჯოხი, დიდი-დიდი, რამდენიმე რიგით აქტივისტზე გადატყდება;

**3.** ხელისუფლებამ ვერ განახორციელა სამართალდამცავი სტრუქტურების საკადრო გაჯანსაღება და ამის გამო შეიძლება გაჩნდეს ვარაუდი, რომ კრიტიკულ მომენტში „მეხუთე კოლონა“ მათ პარალიზებას მოახდენს;

**4.** იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც წინა წლებში მზად იყვნენ, კბილებით დაეცვათ საქართველო ნაციონალების რევანშისგან, დღეს იმედგაცრუებული და პასიურია; იმის ალბათობა, რომ ისინი გარეთ არ გავლენ, თუნდაც მოვლენები ფრიად დრამატულად განვითარდეს, საკმაოდ მაღალია.

ყოველივე ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ჰიპოთეზური სახელმწიფო გადატრიალება წარმატებით დაგვირგვინდება, მაგრამ აშკარაა, რომ შეიძლება შეიქმნას როგორც გამარჯვების, ისე დაუსჯელობის ილუზია, რომელიც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებს რადიკალური მოქმედებისკენ უბიძგებს.

**გამომდინარე იქიდან, რაც მიხეილ სააკაშვილმა 2003-2012 წლებში ჩაიდინა, ალბათ, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ არანაირი ზნეობრივი წინაღობა ხელს არ შეუშლის მას, საკუთარი მომხრეები „უცნობ სნაიპერებს“ დაახვრეტინოს, „მოდელირებული“ ან სულაც რეალური ტერაქტები მოაწყოს** და ა.შ. ყოველივე ამან შეიძლება პროცესები უმართავი გახადოს, მაგრამ, ამასთანავე, სააკაშვილს ჰაერივით სჭირდება ლეგიტიმური საბაბი, რომელიც „ვარდისფერ გადატრიალებას“ თუნდაც ნაწილობრივ გაამართლებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე უცხოელი დამკვირვებლების თვალში. არჩევნების გაყალბება, ამ მხრივ, პრაქტიკულად, უნივერსალური საშუალებაა, მით უმეტეს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციებში საკმარისზე მეტია ძველი რეჟიმის მსახური, რომლებმაც შეიძლება მასშტაბური გაყალბების იმიტირება მოახდინონ

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელისუფლება იდეალურად მოიქცევა. მაგრამ ამასაც სჭირდება ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა — „ნაცმოძრაობისა“ და მისი მაჟორიტარი კანდიდატების შედეგი თუნდაც რამდენიმე რეგიონში შედარებით მაღალი უნდა იყოს, რათა შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას, გაყალბების გარდა, სხვა გზა არ ჰქონდა.

რესურსების უკმარისობის პირობებში „ნაცმოძრობამ“ კონცენტრაცია რამდენიმე რეგიონზე, უპირველესად, აჭარასა და სამეგრელოზე მოახდინა. **ლევან ვარშალომიძემ** კამპანია საკმაოდ აქტიურად დაიწყო. ადგილობრივი ხელისუფლების ტოტალური, საარაკო უნიათობის გამო, მას სერიოზული წარმატების იმედი ჰქონდა, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას შეეჯახა. მოგვიანებით მისი მოქმედება ერთობ გაუფერულდა და შაბლონური ხასიათი მიიღო. ბოლოს **ვარშალომიძემ უმძიმესი შეცდომა დაუშვა, როდესაც თურქული „ჰურიეთისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოსა და თურქეთზე საუბრისას თქვა: „ერთი ერი ორ სახელმწიფოში“ (ბირ მილეთ იკი დევლეთ გიბიზ). მართალია, შემდეგ თავის მართლება დაიწყო და თქვა, რომ სხვა რამ იგულისხმა, მაგრამ ინტერვიუს ტექსტი, აგრეთვე, სათაური „თურქლარლე ბირ მილეთ იკი დევლეთ გიბიზ“, რომელიც ინტერპრეტაციას არ ექვემდებარება, სხვა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას არ ტოვებს.** ვარშალომიძემ, ფაქტობრივად, გაიმეორა **ჰეიდარ ალიევის** ფორმულა, რომლის მეშვეობით მან თურქეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობა აღწერა. ეს ძალიან ჰგავს ერთგულების ფიცს თურქეთის ხელისუფლების მიმართ, რომლის სანაცვლოდ სააკაშვილი და ვარშალომიძე, ალბათ, ერდოღანისგან აქტიური მხარდაჭერის მიღებას ლამობენ. ძნელი წარმოსადგენი არაა, რაოდენ ნეგატიური იქნება ბათუმელებისა და აჭარის სხვა რაიონების მცხოვრებთა რეაქცია ვარშალომიძის ამ განცხადებაზე; ან რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ იმ პარტიის მიმართ, რომლის მთავარი ლოზუნგი, როგორც ჩანს, ასეთია: „ბირ მილეთ იკი დევლეთ გიბიზ!“

ასეა თუ ისე, აჭარა კვლავინდებურად ითვლება „მაღალი რისკის ზონად“, სადაც შეიძლება სერიოზული პროვოკაცია მოხდეს. შესაბამისი გეგმის ავტორები, შესაძლოა, ფიქრობენ, რომ ხელისუფლება იქ ძალიან ფრთხილად იმოქმედებს, რათა დესტაბილიზაციასა და თურქეთის (პერსპექტივაში კი რუსეთის) ჩარევის პროვოცირება არ მოახდინოს და ამიტომ „ამბოხებულთა“ მოქმედებას დაუყონებლივ მკაცრად არ აღკვეთს. გამორიცხული არ არის, რომ ეს მოტივი მთელი სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოადგენდეს.

რთული მდგომარეობაა სამეგრელოშიც და ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს. **ამ რეგიონში კოაბიტაციამ განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო და მთელ რიგ რაიონებში მოხდა არა მხოლოდ ნაციონალების პორტირება “ქართულ ოცნებაში“, არამედ დაიწყო უცნაური სიმბიოზი ორი პოლიტიკური გაერთიანების პარტიულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ სახელისუფლო სტრუქტურებს შორის — ხშირ შემთხვევაში გაუგებარია, ვის ინტერესებს ემსახურება ესა თუ ის ფუნქციონერი. ამ პროცესის ერთ-ერთ სახასიათო გამოვლინებად კორცხელის შუალედურ არჩევნებში „ოცნების“ კანდიდატად ამირან ლაგვილავას დასახელება გახდა, რომელიც, ამასთანავე, „ნაცმოძრაობის“ წევრი იყო (ამას ნაციონალებიც ადასტურებენ). კახი კალაძემ არაერთგზის ისაუბრა კორცხელში მომხდარ ჩხუბზე, მაგრამ დღემდე არ ახსნა, რატომ შეარჩია მისმა პარტიამ ლაგვილავა. ასეთ დამოკიდებულებას ამომრჩეველი, სავარაუდოდ, მძიმე შეურაცხყოფად აღიქვამს.**

იმის ნაცვლად, რომ სახელისუფლო თუ პარტიულ სტრუქტურებში ახალი სახეები მიეყვანა, რომლებსაც მოსახლეობა ახალ იმედებს დაუკავშირებდა, „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური მუმიების გაცოცხლება დაიწყო. ძნელი წარმოსადგენია, ამას რაიმე სხვა მიზეზი ჰქონდეს, კორუფციის ან კლინიკური იდიოტიზმის გარდა (თანაც ერთი მეორეს არ გამორიცხავს). **„კასრების ეპოქის“ შემდეგ სამეგრელოს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდა. „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა კი, როგორც ჩანს, რეგიონულ ლიდერებს მიენდო და პროცესები თვითდინებაზე მიუშვა. მან სამეგრელოში მაჟორიტარი კანდიდატების შერჩევისას ისეთივე ყურადღება და სიფრთხილე არ გამოავლინა, როგორიც, მაგალითად, თბილისში. ამის გამო, ნაციონალებს ზუგდიდში, სენაკსა თუ ფოთში სერიოზული შედეგის მიღწევის შანსი გაუჩნდათ. როგორც უკვე ვთქვით, არეულობის დასაწყებად საჭიროა არა იმდენად გამარჯვება, რამდენადაც მასთან მიახლოებული, დამაჯერებელი შედეგი.**

მართალია, **სანდრა რულოვსის** წინასაარჩევნო შეხვედრებზე არც ისე ბევრი ხალხი დადის და მისი კამპანია უკიდურესად ცინიკურ ხასიათს ატარებს (ლოზუნგს „ძალადობა აღარ იქნება“ დაემატა ფანტასტიკური ფრაზა „მე არ ვიყავი არანაირ თანამდებობაზე, ამიტომ არანაირი პასუხისმგებლობა არ მეკისრება“ — „ლაივპრესი“.), მაგრამ, მეორე მხრივ, აშკარაა ამომრჩეველთა გაღიზიანება ხელისუფლებისა და მისი უფერული კანდიდატის მიმართ, ხოლო სხვა ოპოზიციური პარტიები ამ რეგიონში ჯერჯერობით უკანა პლანზე ტივტივებენ. ბიპოლარული მოდელი, რომლის ფარგლებში რეალურ მოთამაშეებად მხოლოდ „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ განიხილებიან, ყველაზე აქტუალური, ასე ვთქვათ, „ხელუხლებელი“, დღეს სამეგრელოშია.

მხოლოდ ერთი მაგალითი — **მართალია, ნაციონალები თხილის ფასის აწევაზე ულტრადემაგოგიურ დაპირებებს გასცემენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ სახელისუფლო პარტიამ დღემდე არ ინება, ამ საკითხზე მკაფიო პოზიცია ჩამოეყალიბებინა და ელექტორატამდე მიეტანა. ზოგიერთ სოფელში კი „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები აქტიურ ოპონენტებზე ზეწოლასაც არ ერიდებიან, ისევე, როგორც ეს 2012 წლამდე ხდებოდა და მთავარი დამნაშავე ამაში, ალბათ, ივანიშვილის ხელისუფლებაა.**

თუ ნაციონალები სამეგრელოს ერთ ან რამდენიმე ოლქში გამარჯვების მოპოვებას (რაც ძალიან ძნელი წარმოსადგენია) ან მასთან მიახლოებული შედეგის მიღწევას მოახერხებენ, იმის ალბათობა, რომ იქ დესტაბილიზაციის კერას შექმნიან, მკვეთრად გაიზრდება. საფრთხე სავსებით რეალურია და მას მხოლოდ მოსახლეობა გაანეიტრალებს, თუ სააკაშვილის სადისტური რეჟიმის რესტავრაციის მცდელობას უარყოფით პასუხს გასცემს. ხელისუფლება კი, რომელსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში ეძინა, ახლახან გაიღვიძა და მინიპროვოკაციების წინასწარმეტყველებს, ამას, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებს.

**აჭარა კვლავინდებურად ითვლება «მაღალი რისკის ზონად», სადაც შეიძლება სერიოზული პროვოკაცია მოხდეს**

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი ახალაია-ქარდავების მეშვეობით ყველაზე სასტიკად სამეგრელოში მძვინვარებდა და ამიტომ ამ კუთხეს, იარლიყების მიწებება კი არა, სააკაშვილის მეტასტაზებისგან გაწმენდა სჭირდება.**

# ცეცხლს ნუ ეთამაშებით!

## სამეგრელოს, იარლიყების მიწებება კი არა, სააკაშვილის მეტასტაზებისგან გაწმენდა სჭირდება

**სამეგრელოში, დედულეთში, აგერ უკვე 2 თვეა, უშუალოდ ვარ ჩართული წინასაარჩევნო ორომტრიალში. ჩემი ბაბუა დავით (ჯვებე) მხეიძე 37-ში დახვრიტეს და მამაჩემი, ნუგზარ მხეიძე, დედულეთში, მადლიან ქიზიყში გაიზარდა, ანუ დიდი ხნით მოვწყდით მშობლიურ „სამარგალოს“ და ბევრი არაფერი ვიცოდით ჩვენი კოლხური ფესვებისა. ახლახან შევიტყვე, რომ მამაჩემის ბაბუდა, სენაკელი ნინო მხეიძე, ლეგენდარული მერი შერვაშიძის დედა ყოფილა...**

მომიტევეთ ეს მცირე ექსკურსი, მით უმეტეს, ყელყელაობად არ ჩამომართვათ. ამით იმის თქმა მინდა, რომ სამეგრელოს წინაშე ვალში ვარ და ამიტომაც ამოვყავი თავი საქართველოს წინასაარჩევნო ლანდშაფტის უმძიმეს უბანში.

**უმძიმესი,** რადგან ნაცბანდის ნარჩენებს სამეგრელოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის, სამწუხაროდ, გარკვეული მხარდაჭერა აქვს და ეს სულაც არ არის სამეგრელოსა და მეგრელთა ბრალი, როგორც ზოგიერთი ცდილობს ამის წარმოჩენას.

სამეგრელოშიც, როგორც ყველგან, რა თქმა უნდა, არიან სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოწამლული ინდივიდები, რომლებიც პოლიტიკურ ამინდს ვერ შექმნიდნენ, რომ არა „ქართული ოცნების“ დანაშაულებრივი უმოქმედობა 4 წლის განმავლობაში.

თავიდან დავიწყოთ — 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ივანიშვილის ფავორიტი **ირაკლი ალასანია**, მიუხედავად პრაქტიკულად შეუზღუდავი ფინანსებისა, სამარცხვინოდ დამარცხდა (ბოროტი ენები ამბობენ, ირაკლიმ შეჭამაო ბიძინას მილიონები და ახალაიების კლანს გაურიგდაო) სამეგრელოში გამართულ არჩევნებში.

გავიხსენოთ სამეგრელოს ტყეებში აღმოჩენილი ამაზრზენი კადრები, რომლებშიც მოძალადენიც და ძალადობის მსხვერპლნიც მეგრელები არიან. ეს ფაქტი, ჩემი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ **სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი ახალაია-ქარდავების მეშვეობით ყველაზე სასტიკად სამეგრელოში მძვინვარებდა და ამიტომ ამ კუთხეს, იარლიყების მიწებება კი არა, სააკაშვილის მეტასტაზებისგან გაწმენდა სჭირდება.**

და რა გააკეთა „ოცნების“ (ივანიშვილის) ხელისუფლებამ? **იმის მაგივრად, რომ კასრებში აღმოჩენილი ეს ამაზრზენი კადრები სრულიად საქართველოსთვის, მსოფლიოს დიპლომატიური კორპუსისთვის ეჩვენებინა და სააკაშვილის ხელისუფლების, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმის, პასუხისმგებლობის საკითხი დაეყენებინა, რომლის შემდეგაც პოლიტიკიდან გაქრებოდა სისხლის სამართლის დამნაშავეთა ანტიეროვნული პარტია „ნაცმოძრაობა“, არასამთავრობო ორგანიზაციებისა (ქვემოთ, სადაც დამჭირდება, ამ მეხუთე კოლონას ასოებად მოვიხსენიებ) და აშშ-ის საელჩოს დაჟინებული მოთხოვნით, „საზეიმოდ“ გაანადგურა შს იმჟამინდელმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.**

დღეს კი სამეგრელოს ძალოვან სტრუქტურებსა თუ ადგილობრივ ხელისუფლებაში ძირითადად ნაცების ხალხი ზის და სრულიად ბუნებრივია, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შიშობს სააკაშვილის დაბრუნებას.

ამას დავუმატოთ ისიც, რომ რეალური ეკონომიკური წინსვლა, ისევე, როგორც სრულიად საქართველოში, არც სამეგრელოში უგრძნიათ.

ფასი თხილისა, რომელიც დღეს ძირითადი შემოსავალია სამეგრელოში, არასდროს ყოფილა ისეთი დაბალი, როგორც დღეს და, შე კაი კაცო („ოცნების“ ხელისუფლებავ), თუ სააკაშვილივით ბიზნესმენების დაბარება და ამ გზით თხილის ფასის აწევა არ გინდა, სახელმწიფო სუბსიდია მაინც გამოყავი წინასაარჩევნოდ, რათა ის ამომრჩეველი წაართვა ნაცებს სამეგრელოში, რომელიც მხოლოდ ეკონომიკური კუთხით უყურებს არჩევნებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ **სანდრა რულოვსის** მეგრულად მღერაში არ არის ამ „ცრუშნიცას“ მხარდაჭერის მიზეზი.

**ნაცები ყველანაირად (აშშ-ის დახმარებითაც) ცდილობენ, სერიოზული შედეგი მიიღონ სამეგრელოში, რათა შემდეგ ქვეყნის გაყიდვით ნაშოვნი მილიარდებიდან ერთი-ორი მილიონი დახარჯონ ასო-ების განტოტვილი**




**თუ «ქართული ოცნება» ზუგდიდში ან სამეგრელოს რომელიმე სხვა რაიონში არჩევნებს «ნაცმოძრაობასთან» წააგებს, ეს იქნება «ქართული ოცნების» უნიათობის, დანაშაულებრივი დაუდევრობის, ნაცებთან ფარული გარიგების ბრალი და არა იმის შედეგი, რომ სამეგრელო ნაცების ფორპოსტია**



**ქსელის შესაქმნელად, მოსახლეობის მოსათაფლავად და ამ კუთხისგან თავიანთი ფორპოსტის, მავნებლური ბუდის, შესაქმნელად.**

ყველაფრიდან ჩანს, რომ **„ქართული ოცნება“ შეგნებულად თმობს არჩევნებს სამეგრელოს რიგ რაიონებში, რათა სწორედ სამეგრელოში მოპოვებული ხმების საშუალებით „შეათრიოს“ პარლამენტში ნაცხროვა, მივიღოთ აშშ-ის საოცნებო ორპარტიული პარლამენტი და კოაბიტაციის მორიგი სერია, გაპოლიტიკოსებული ასო-ებისა და „ნაცმოძრაობიდან“ „ოცნებაში“ თუ პირიქით — „ოცნებიდან“ „ნაცმოძრაობაში“ პორტირებული მსახიობების მონაწილეობით.**

დააკვირდით ნაცებ-ქოცების საარჩევნო სიებსა თუ მაჟორიტარ კანდიდატებს და დარწმუნდებით, რომ არ ვაჭარბებ...

მსახიობებზე გამახსენდა: **გოგა ხაინდრავას** მრავალსერიანი ფილმი ყველამ უნდა ნახოს, მაგრამ არა მგონია, „ჰეროკრატიამ“ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგებზე, რადგან **ხალხს უჩნდება სრულიად ლეგიტიმური კითხვა: ასეთი პირწავარდნილი ავაზაკები, სადისტები ყოფილან და რატომ არ დაისაჯნენ უმკაცრესად ამ ფილმის გმირები?**

არის კიდევ ერთი, ნაცებქოცების „ჩახუტების“ უფრო დრამატული სცენარი მოვლენათა განვითარებისა — **თუ ქართველმა ამომრჩეველმა სიბრძნე გამოიჩინა და ნაც-ქოცებს უარი სტკიცა ნინო ბურჯანაძის დემოკრატების, გოგი თოფაძის მრეწველებისა და ირმა ინაშვილი-დავით თარხან-მოურავის პატრიოტების სასარგებლოდ და ნაცებმა, მიუხედავად სამეგრელოში მოპოვებული ხმებისა, ბარიერი ვერ გადალახეს, ატყდება დასავლეთიდან (წაიკითხე — აშშ-დან) აკომპანირებული ღნავილი ნაცებისა: არიქა, არჩევნები გაგვიყალბესო, და დაიწყება არეულობა ისეთი, რომ, როგორც გურიაში იტყვიან, შეიძლება ფიშტოც კი გავარდეს.** ესეც, რა თქმა უნდა, სამეგრელოს დაბრალდება, ოღონდ გაცილებით მძიმე კვალიფიკაციით — მეგრული სეპარატიზმი...

ინფორმაცია რომ არსებობს დაგეგმილ პროვოკაციებზე, არეულობის მომზადების კონკრეტულ სქემებსა და გეგმებზე, თავისი ფიგურანტებითურთ, ამას აღარც ქოცები მალავენ და ტელევიზიებში დებატებს უმართავენ ნაცებს. არადა, ამას, დებატები კი არა, სუს-პოლიცია-პროკურატურის პრევენციული ქმედებები (წაიკითხე — ბობოლა ნაცების დაპატიმრება) სჭირდება, რაც, მათ მიერ 4 წლის განმავლობაში სამართლიანობის არაღდგენის გაკვეთილებიდან გამომდინარე, ნაკლებ სავარაუდოა. ▶

**იმის მაგივრად, რომ კასრებში აღმოჩენილი ეს ამაზრზენი კადრები სრულიად საქართველოსთვის, მსოფლიოს დიპლომატიური კორპუსისთვის ეჩვენებინათ და სააკაშვილის ხელისუფლების, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმის, პასუხისმგებლობის საკითხი დაეყენებინათ, რომლის შემდეგაც პოლიტიკიდან გაქრებოდა სისხლის სამართლის დამნაშავეთა ანტიეროვნული პარტია «ნაცმოძრაობა», არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აშშ-ის საელჩოს დაჟინებული მოთხოვნით, «საზეიმოდ» გაანადგურა შს იმჟამინდელმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა**

**მინახავს ფონდ „ივანანას“ რეკლამები — ნაწყვეტები კონცერტებიდან, ფონდის მიერ დაბინავებული ოჯახები, ბავშვების ბედნიერი სახეები... მაგრამ არასოდეს მინახავს და არც მსმენია, ბურჭულაძეს განეცხადებინოს, რომ ფონდი „ივანანა“ ფულს პარტიისთვის აგროვებს. გაირკვა, რომ იმ ადამიანების შემოწირულობები, რომლებიც თანხას უსახლკაროთა დასახმარებლად რიცხავდნენ, ერთი კონკრეტული პარტიის ბიუჯეტად იქცა.**

## რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ და რას აკეთებს ამ დროს ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც ივანიშვილის ბაგაზეა დაბმული?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემ, მანამდე მკითხველს მცირე ექსკურსს შევთავაზებ საკუთარი წარსულიდან, რათა განსაზღვროს, მაქვს თუ არა მორალური უფლება, განვსაჯო კონკრეტული წარმომადგენლები ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა:

მე თავის დროზე სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი ვიყავი, მაგრამ მალე მივხვდი ჩემ შეცდომას და რადიკალურ ოპოზიციაში ჩავუდექი „ნაცმოძრაობას“. ჩემი ძმა, ლევან მხეიძე, იმხანად ახალშექმნილი ფინანსური პოლიციის შეფი გახლდათ. ოჯახი მემუდარებოდა, თუ სააკაშვილს არ აქებ, ნუ ლანძღავ მაინც და, რა გინდა, გადაიდე ფეხი ფეხზე და იცხოვრე გემრიელადო.

მაგრამ ჩემსას „მივაწექი“, რის გამოც მამაჩემი 3 წლის განმავლობაში არ მელაპარაკებოდა...

მერე იყო და, როდესაც ჩემი ალალი დეიდაშვილის — **ნათია ფანჯიკიძის** ქმარი, **ირაკლი ალასანია**, ბიძინა ივანიშვილს განუდგა, ჯერ ბატონი **რეზო ამაშუკელის** მიერ შექმნილ „ლაზარეს“ პირველ შეკრებაზე რუსთაველის თეატრის გადაჭედილ დარბაზში ჩემს სიძეს საჯაროდ „დავარტყი“ (იმხანად ჯერ კიდევ მჯეროდა ივანიშვილის) და ცაში ავიყვანე ირაკლი ღარიბაშვილი, ხოლო შემდეგ სტატია გამოვაქვეყნე „საქართველო და მსოფლიოში“ სათაურით „სიძევ, შენ გეუბნები, დაო (მაია ფანჯიკიძე, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი — დ. მ.), შენ გაიგონე“, რითაც საკუთარ სისხლხორცთან მისაბრუნებელი გზა თვითონვე მოვიჭერი.

რა, „ჭკუით რომ მოვქცეულიყავი“, ირაკლი ალასანია პატარა ნაჭერს მაინც არ მომიტეხავდა ამერიკული ნამცხვრიდან?

ახლა ისეთიც შეიძლება გამოჩნდეს, ვინც იტყვის: ეს კაცი გიჟია, არც მამა იცის, არც ძმა, არც ნათესავი; ყოფილიყო ჭკუით და ეთალა მსუყე დუმა ამა სოფლისაო.

დიახ, როცა საქმე სამშობლოს ეხება, ნათესავი კი არა, შვილი არ მინდა მისი მტერი.

ამიტომ ვფიქრობ, არათუ მორალური უფლება მაქვს, ვთქვა სათქმელი, არამედ ვალდებულიც ვარ, თორემ, თუ სხვა დავინდე, როგორ ჩავხედო თვალებში ჩემს სისხლსა და ხორცს?!

ბატონ **რეზო ამაშუკელზე** მოგახსენებთ, რომლის ვიდეომიმართვა გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში სათაურით „ბიძინა ივანიშვილს ფეხის გულებზე უნდა კოცნიდეთ“, რამაც აღაშფოთა საზოგადოების უმეტესი ნაწილი, მათ შორის — მეც!

რამდენიმე კითხვას დავუსვამ ხანდაზმულ პოეტს:

* **ხელისუფლებას მივმართავო, რომ ამბობთ, ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლება არ არის?**

* ან, რომ გაიძახით, ლიბერასტებს მიხედეთო, **ვისი მრჩეველი იყო ბუდარიხა თამარ ჩუგოშვილი, ბიძინასი თუ „პაპა კარლოსი“?**

* ან ვისი ვიზირებით შეადგინეს „ქართული ოცნების“ სამარცხვინო საარჩევნო სია, რომელიც სავსეა „ოცნებაში“ გადაბარგებული ნაცებით, და რომლის პირველი ნომერი **თამარ ჩუგოშვილია?!** ვეჭვობ, ეს ბიძინას გარეშე არ მოხდებოდა.

* ან ვისი მუშტების ბრახუნის ფონზე მიიღეს თქვენი სათაყვანებელი პატრიარქის მიერ ქვეყნის დამღუპველად შერაცხილი ანტიდისკრიმინაციული კანონი? ბიძინასი ხომ არა?

* **ან ვისი ფეხისგულების კოცნისკენ მოგვიწოდებთ, ვინც ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე პატრიარქი შეურაცხყო? თუ ესეც ამერიკის ელჩმა უბრძანა?**

* რომ გაიძახით, „კარალევა მარგო“ („კლიჩკების“ შერქმევაში უბადლო ხართ) პრეზიდენტია“ ნაცების მთავარი საყრდენიო, ვინ წამოგვისკუპა ის პრეზიდენტად?

* **ან ლეღვი მერი რომ ჰყავს თბილისს, ვინ ქნა ეს საქმე? მერი, რომელმაც 40 თუ 50 ათასი ლარი „ვერ იშოვა“ დავითის ძეგლის დასაბრუნებლად თბილისის ცენტრში და მერაბ ბერძენიშვილს შეურაცხყოფად გაატანა საფლავში...**

* **რესპუბლიკელებს რომ ლანძღავთ, ვინ ამოილო საფლავიდან და ვინ ჩააბარა ქვეყნის მართვის სადავეები — პარლამენტის თავმჯდომარისა და თავდაცვის მინისტრის პოსტები — ამ ხლისტებს, რომლებსაც 2011 წელს პულსიც აღარ ესინჯებოდათ და მიწის მიყრაღა აკლდათ?**

* **აზიზიეს მეჩეთის აშენების პირობა ვინ მისცა თურქეთს ან საყდრისის უნიკალური ძეგლი ვინ ააფეთქა?**

* რომ გაიძახით, ბიძინამ საქართველო იხსნა სააკაშვილისგანო, 2012 წლის ოქტომბრის გამარჯვებაში „პატარა წვლილი“ „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მოპოვებულ ციხის კადრებსაც ხომ არ მიუძღვის?

კიდევ ბევრი კითხვა მაქვს, ბატონო რეზო, მაგრამ დანარჩენს პირადად ბიძინა ივანიშვილს დავუსვამ ღია წერილში და მის ნამდვილ სახეს დაგანახვებთ თქვენც და სრულიად საქართველოსაც. წერილს კი თქვენი ვიდეოგამოსვლიდან ამოღებული ციტატით დავასრულებ:

„მთელმა საქართველომ იცის, რომ მე ვდგავარ ბიძინა ივანიშვილის გვერდით და, შუაზე რომ გაიხეთ, მის გვერდით ვიდგები“.

ვინ იხევა შუაზე, ბატონო რეზო? — ცოტა ხნის წინათ ასე ამბობდით ქვეყნის დამაქცევარ **შევარდნაძეზეც**, მაგრამ შუაზე არ გავხეულვართ.

ჰოდა, ახლა ივანიშვილი მოგახმაროთ ღმერთმა!

ასეა, ივანიშვილს ყველაფერი აქვს, რაც იყიდება, მათ შორის ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ნაწილიც ჯიბეში უდევს.

ჰოდა, **ბანკომატებთან რიგში მდგომებს, მათ, ვისაც ჭკუაში დაუჯდებათ ბატონი რეზო ამაშუკელის მოწოდება, ფეხის გულებზე კი არა, ცოტა „სხვაგანაც“ შეუძლიათ ემთხვიონ მამა-მარჩენალ ივანიშვილს!**

მათ კი, „ქართული ოცნების“ ვირეშმაკობით თავგაბეზრებულთ, რომლებსაც ჯერ არ გადუწყვეტიათ, ვის მისცენ ხმა, ვურჩევ და მოვუწოდებ, ბიულეტენები არა პირსისხლიანი „ნაცმოძრაობის“, არამედ **გოგი თოფაძის, ნინო ბურჯანაძის** ან **დავით თარხან-მოურავის** პარტიებისკენ მიმართონ (არც ისინი არიან უნაკლოები, მაგრამ ანტიქართველობაში მაინც არ არიან ეჭვმიტანილნი!).

ეს კი დღეს მთავარი მგონია — ნაც-ქოცი ლიბერასტების ხელში ქართველი ერი გადაგვარების რეალური საფრთხის წინაშეა.

წერილს კი იმ პათოსით დავამთავრებ, რომლითაც დავიწყე — თუ „ქართული ოცნება“ ზუგდიდში ან სამეგრელოს რომელიმე სხვა რაიონში არჩევნებს „ნაცმოძრაობასთან“ წააგებს, ეს იქნება „ქართული ოცნების“ უნიათობის, დანაშაულებრივი დაუდევრობის, ნაცებთან ფარული გარიგების ბრალი და არა იმის შედეგი, რომ სამეგრელო ნაცების ფორპოსტია. **იდეას, თითქოს სამეგრელო ნაცების ფორპოსტია, უკვე კულტივირებს „ქართული ოცნება“. ეს ბეცები ცდილობენ, თავიანთი უნიათობა და ან სულაც ნაცებთან გარიგება სამეგრელოს დააბრალონ, ხელი მეგრელ ამომრჩეველს შეაწმინდონ და ვერ ხვდებიან, რომ მათ ასეთ მავნებლურ და ვირეშმაკულ მიდგომას, უწინარესად, სწორედ ნაცები გამოიყენებენ ანტიმეგრული განწყობების გასაღვივებლად, მერე თვითონ რომ „მოევლინონ“ ამ კუთხეს „მეგრელოფობიისგან“ დამცველებად.** სამეგრელოს თემით სპეკულირების, ანტიმეგრული განწყობების წახალისებისა და სამოქალაქო ომის შედეგები არც ისე დიდი ხნის წინათ ვიწვნიეთ, უკვე რომ დაგვიწყებოდა. ასე რომ, აღიარეთ, პატივცემულო ქოცებო, შეცდომები, ფარული გარიგება ნაცებთან და ხელები შორს სამეგრელოსგან!

**ცეცხლს ნუ ეთამაშებით!**

**დავით მხეიძე**




# პაატა ბურჭულაძის კოალიცია — პოლიტიკური აჯაფსანდალი

**რამდენიმე დღეა, საზოგადოების განსახილველი თემა ბურჭულაძე-გვარამიას სატელეფონო ჩანაწერია, რომელიც ცხადყოფს, რომ მსოფლიო ბანი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორ ნიკა გვარამიას ხელისბიჭია. გადავწყვიტე, ამ თემაზე ინტერვიუები მომეძიებინა და უფრო დაწვრილებით გამეგო, რა ხდება.**

მოპოვებული მასალების გაანალიზების შემდეგ მივხვდი, რომ პაატა ბურჭულაძე პოლიტიკური მეძავია. ერთ-ერთ გადაცემაში ივანიშვილმა განაცხადა, თავის დროზე პაატას შევთავაზე „ქართული ოცნების“ გვერდით დგომა, სანაცვლოდ დიდი თანხა მოითხოვა, მაგრამ არ დავთანხმდი და ბურჭულაძე შეურაცხყოფილი დარჩაო.

თავდაპირველად ეჭვი გამიჩნდა, რომ ბიძინა სიმართლეს არ ამბობდა, მაგრამ შემდგომ ქალბატონმა **ინგა გრიგოლიამ** თავის გადაცემაში ივანიშვილის განცხადებიდან ციტატები მოიყვანა და პაატა ბურჭულაძეს ჰკითხა, ყველაფერი ასე იყო თუ არაო.

ვიფიქრე, მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერი მსგავს განცხადებას შეურაცხმყოფლად ჩათვლიდა, უარყოფდა და ივანიშვილს პასუხსაც მოსთხოვდა ტყუილისთვის, მაგრამ ბატონმა პაატამ გრიგოლიას კითხვას კითხვითვე უპასუხა: **„განა რამდენი მოვთხოვე ბიძინას, რომ გასჭირვებოდა ჩემთვის ამ თანხის გადახდა?“,** ანუ მან განაცხადა, რომ მზად იყო, თავი მიეყიდა „ქართული ოცნებისთვის“, მაგრამ ფული ეცოტავა. ახლა კი გასაგებია, როგორ გადაიქცა მსოფლიო ბანი „ნაცმოძრაობის“ ჭიშკართან დაბმულ ძაღლად. სანამ ბურჭულაძე-გვარამიას სატელეფონო საუბრის ჩანაწერამდე მივიდოდეთ, კიდევ ერთი ნიუანსია, რომელიც ფინანსებს ეხება და რომელიც ბურჭულაძეს წამოსცდა. გრიგოლიამ ჰკითხა ბატონ პაატას, საიდან იღებს თანხას საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. მომღერალმა უპასუხა, რომ მთელი საარჩევნო კამპანია ფონდიდან, ხალხის შემოწირულობით ფინანსდება. ხშირად მინახავს ფონდ „ივანანას“ რეკლამები — ნაწყვეტები კონცერტებიდან, ფონდის მიერ დაბინავებული ოჯახები, ბავშვების ბედნიერი სახეები... მაგრამ არასოდეს მინახავს და არც მსმენია, ბურჭულაძეს განეცხადებინოს, რომ ფონდი „ივანანა“ ფულს პარტიისთვის აგროვებს. გაირკვა, რომ **იმ ადამიანების შემოწირულობები, რომლებიც თანხას უსახლკაროთა დასახმარებლად რიცხავდნენ, ერთი კონკრეტული პარტიის ბიუჯეტად იქცა.** ამას ჯობდა, ეთქვა, მიშა სააკაშვილი ფულს გვარამიას უგზავნის, გვარამია კი მე მაძლევსო.

და აი, მივადექით ნიკა გვარამიასა და პაატა ბურჭულაძის სატელეფონო ჩანაწერს, რომელიც, ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც გვაქვს მოსმენილი. ამ ჩანაწერში გვარამია ისე ელაპარაკება ბურჭულაძეს, როგორც გაბრაზებული უფროსი თავის ხელქვეითს, რომელმაც განკარგულებები სათანადოდ არ შეასრულა. გვარამიამ ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს მეგობრული საუბარი იყო. სიმართლე გითხრათ, გრიგოლიას გადაცემაში საუბრისას გვარამიას პრაქტიკულად არაფერი შეშლია. ჩანს, დიდი გაქექილი ვინმეა და კარგად იცის ჟურნალისტების ის ხერხები, რომლებითაც ცდილობენ, რესპონდენტებს ინფორმაცია დასტყუონ. ამას ვერ ვიტყვით გირჩელებზე: **ვახტანგ მეგრელიშვილმა** განაცხადა, რომ გვარამიას ბრალდება, თითქოს „გირჩი“ დაეხმარება „ქართულ ოცნებას“ მთავრობის ფორმირებაში, არის ტყუილი. ახლა კი გთავაზობთ კომენტარს, რომელიც მეგრელიშვილმა სოციალურ ქსელში გვარამიას საჯარო პოსტზე დატოვა: **„თუ მთავრობის ფორმირებისთვის ჩვენ ვიქნებით აუცილებელი, საპარლამენტო კრიზისს არ შევქმნით. ჩვენი ხედვის რეალობად ქცევის მშვენიერი შანსი იქნება“.** როგორც ჩანს, მეგრელიშვილი ვირთხაა, რომელმაც ფრენა მოინდომა, მაგრამ ბოლოს აღარც ფრინველებმა მიიღეს და აღარც ვირთხებმა. ამასთანავე, ბატონი მეგრელიშვილი ამბობს, რომ ნაცებსაც და ქოცებსაც ეშინიათ პაატა ბურჭულაძის პარტიის. არადა, **სატელეფონო საუბრის ჩანაწერში გვარამია ბურჭულაძეს მუქარის ტონით ელაპარაკება, ხოლო ბურჭულაძე მას „ნიკა გენაცვალეთი“ მიმართავს. კარგად ჩანს, ვის ვისი ეშინია. არა მგონია, გვარამიას, რომელიც მეგრელიშვილსა და პაპავას ბენდუქიძის მიერ ნაგვიდან ამოთრეულებს უწოდებს, მათი ეშინოდეს.** პაატა ბურჭულაძის კოალიცია ერთი დიდი პოლიტიკური აჯაფსანდალია, რომელშიც პაატა ნაცების კახპაა, მისი ხელქვეითები კი, რომელთა ჭკუაზე მოყვანასაც ბურჭულაძე გვარამიას ჰპირდება, „ოცნებასთან“ თანამშრომლობას აპირებენ... ერთი კი დანამდვილებით ცხადია — რასაც ბურჭულაძე ამტკიცებს, ტყუილია და ეს კოალიცია საკუთარ თავს არ ეკუთვნის.

**ვახტანგ დავითაშვილი**

**ბანკომატებთან რიგში მდგომებს, მათ, ვისაც ჭკუაში დაუჯდება ბატონი რეზო ამაშუკელის მოწოდება, ფეხის გულებზე კი არა, ცოტა «სხვაგანაც» შეუძლიათ ემთხვიონ მამა-მარჩენალ ივანიშვილს!**

**ბატონმა პაატამ გრიგოლიას კითხვას კითხვითვე უპასუხა — «განა რამდენი მოვთხოვე ბიძინას, რომ გასჭირვებოდა ჩემთვის ამ თანხის გადახდა?», ანუ მან განაცხადა, რომ მზად იყო, თავი მიეყიდა «ქართული ოცნებისთვის», მაგრამ ფული ეცოტავა. ახლა კი გასაგებია, როგორ გადაიქცა მსოფლიო ბანი «ნაცმოძრაობის» ჭიშკართან დაბმულ ძაღლად**

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო

19

# გოგი თოფაძის ანგარიში ამომრჩეველთა წინაშე

**წერილი, რომელსაც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებიდან დღეს წარვუდგენ ფართო საზოგადოებას, არის დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის ძნელად სავალ გზაზე ჩვენი პარტიის მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა და ერთგვარი პროგრამაც იმისა, თუ როგორ ვაპირებთ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ იმ პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრასა და მოგვარებას, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.**



**გამოჩნდა ადამიანი, მამულიშვილი, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც სრულიად წარმოუდგენელი რამ გააკეთა. პირადად მე ნამდვილად ვერ ვხედავ სხვა პიროვნებას საქართველოში, რომელსაც «ნაცმოძრაობის» ბაქქანალიის აღკვეთა შეეძლო**

90-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ჩვენთან ერთბაშად მომრავლებული უცხოელი მრჩევლები ჯიუტად გვიკიჟინებდნენ და გვმოძღვრავდნენ — არ გინდათ არც საკუთარი წარმოება, არც სოფლის მეურნეობა გჭირდებათ, სატრანსპორტო დერეფნად უნდა იქცეთ, გაზსადენი თუ ნავთობსადენი გაატაროთ და ტურიზმით ირჩინოთ თავიო. სრულიად აშკარად იგრძნობოდა, რომ მათი წინადადებების განხორციელება ჩვენი ეკონომიკის ნგრევას გამოიწვევდა, ყოველ შემთხვევაში, არაფერ სასიკეთოს არ მოუტანდა დამოუკიდებლობის გზაზე ახალდამდგარ ქვეყანას. აშკარა იყო ისიც, რომ პატივცემულ მრჩევლებს თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ და საქართველოს ავკარგი არ ადარდებდათ.

იმ დროს საქართველოს მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე გახლდით, რომელშიც თითქმის ყველა მეწარმე იყო გაერთიანებული და თითოეული მათგანი მშვენივრად აცნობიერებდა, რამდენად მცდარი და მანკიერი აღმოჩნდებოდა ჩვენი ქვეყნისთვის ამ თავსმოხვეული გეზის განხორციელება. მაშინ ბევრი ვიკამათეთ, ვიბრძოლეთ, აშკარად დავუპირისპირდით ამგვარი „კეთილისმსურველების“ პოლიტიკას, რომლის მძიმე შედეგები შემდგომში ქვეყნის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ საკუთარ თავზე იწვნია. სწორედ იმ პერიოდიდან დაიწყო ქვეყნის ეკონომიკის მიზანმიმართული ნგრევა, რომელიც ორი ათწლეული გაგრძელდა და, რამდენადაც მრეწველთა კავშირს არანაირი რეალური ბერკეტი არ გააჩნდა ვითარების გამოსასწორებლად, გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა პოლიტიკური პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

**როგორც აღმოჩნდა, ჩვენი ხედვა, რომელიც თავისთავად იმ ანბანურ ჭეშმარიტებას ეფუძნებოდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობა შეუძლებელია ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე და ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, მისი მოსახლეობის ნებას უნდა გამოხატავდეს, გაიზიარეს ამომრჩევლებმა და 1999 წლის აპრილში დაფუძნებულმა პარტიამ ხუთიოდე თვის შემდეგ პარლამენტში არჩევისთვის საჭირო შვიდპროცენტიანი ბარიერი გადალახა მაშინდელი მართლაც რომ დაუნდობელ და უთანასწორო პოლიტიკურ დაპირისპირებათა პირობებში.** „მრეწველები“ ერთადერთი ოპოზიციური ძალა ვიყავით იმ მოწვევის პარლამენტში, რომელშიც ორი სახელისუფლო პარტია — „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“ დომინირებდა, მაგრამ ძალთა ამგვარი განაწილების პირობებშიც არ შეგვიწყვეტია ბრძოლა, პარლამენტის ტრიბუნიდან ხმამაღლა ვლაპარაკობდით იმ ნეგატიურ მოვლენებსა და ტენდენციებზე, რომლებიც სერიოზულად აბრკოლებდა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

**ჩვენი აქტიურობა, უწინარეს ყოვლისა, საკანონმდებლო საქმიანობისკენ მივმართეთ: დავწერეთ ახალი საგადასახადო კოდექსი, რადგან არსებული აბსოლუტურად მიუღებელი იყო როგორც წარმოების, ისე სოფლის მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი გატანა პარლამენტში მხოლოდ პირველი მოსმენით მოხერხდა. მაშინდელმა საპარლამენტო უმრავლესობამ ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის ჩვენს მცდელობას, ისევ გარეშეთა გულის მოგება და მათი ინტერესების ლობისტობა ამჯობინა.**

იმ მოწვევის პარლამენტში მაინც შეძლით ჩვენ მიერ ინიცირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონის ამოქმედებისთვის მიგვეღწია. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ ხეტყის ბარბაროსული ჭრისა და დაუმუშავებელი მორების ქვეყნიდან გატანის აკრძალვა. მეოცე საუკუნის ბოლოს, მართლაც მხოლოდ ველურობის გამოხატულებად თუ ჩაითვლებოდა საქართველოს ტყის საფარის ასეთი მიზანმიმართული განადგურება. მით უმეტეს, რომ დამუშავებული ხის მასალის ექსპორტი შვიდჯერ თუ რვაჯერ უფრო მომგებიანი იყო და არის ქვეყნის ბიუჯეტისთვის.

პარტიამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა და, იმის მიუხედავად, რომ მიხეილ სააკაშვილი ყველა სახელმწიფო რესურსს იყენებდა ერთპარტიული პარლამენტის ჩამოსაყალიბებლად და ამას არც მალავდა, ხალხის მხარდაჭერით, რომელმაც მოიწონა ჩვენი სამოქმედო პროგრამა და დადებითად შეაფასა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში „მრეწველი დეპუტატების“ საქმიანობის შედეგები, კვლავ გადავლახეთ დაწესებული საარჩევნო ბარიერი. იმ მოწვევის პარლამენტში ჩვენ კვლავ დავრჩით ერთადერთ პოლიტიკურ ძალად, რომელიც მმართველ პარტიას სერიოზულ ოპონირებას უწევდა. მაგრამ 235-კაციან უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, თანაც იმდროინდელ ურთულეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში „მრეწველთა“ 10-კაციანი ფრაქცია ბევრს ვერაფერს მოახერხებდა. ცდას, რა თქმა უნდა, არ ვაკლებდით, უამრავი საჭირბოროტო თემის, უამრავი მწვავე საკითხის გახმიანებაც ვცადეთ, მაგრამ ამაოდ. როცა დავრწმუნდი, რომ მმართველი გუნდის „მონოლითური ერთობა“ არაფრის გაგონებას არ აპირებდა, საკუთარი განცხადებით ვთქვი უარი საპარლამენტო მანდატზე.

შემდეგ უკვე 2012 წელიც დადგა. **გამოჩნდა ადამიანი, მამულიშვილი, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც სრულიად წარმოუდგენელი რამ გააკეთა. პირადად მე ნამდვილად ვერ ვხედავ სხვა პიროვნებას საქართველოში, რომელსაც „ნაცმოძრაობის“ ბაქქანალიის აღკვეთა შეეძლო.** თუ მართლაც მოკლე მეხსიერება არ გვაქვს, უნდა ვაღიაროთ, რომ ყოფილი ხელისუფლება ყოვლად უღირსი, დანაშაულებრივი მეთოდებით მართავდა ქვეყანას და უფსკრულისკენ მიაქანებდა მას. გაჩნდა გადარჩენის, სასიკეთო შემობრუნების იმედი და მრეწველთა პარტიაც „ოცნების“ კოალიციაში გაერთიანდა. რა თქმა უნდა, კოალიციის სუბიექტების პოლიტიკური ორიენტაციები ამ გაერთიანებას საფუძვლად არ დადებია და არც საამისოდ წინაპირობა ყოფილა. მთავარი იყო უკვე სრულიად აუტანელი ვითარების შეცვლა, არსებული სისტემის დემონტაჟი და მაინცდამაინც ამან განაპირობა გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული ხედვის მქონე პოლიტიკური ძალების ერთად დგომა.

2012 წლის საარჩევნო პერიპეტიები ყველასთვის ცნობილი შედეგით დასრულდა, და „მრეწველებიც“ უკვე კოალიციური უმრავლესობის ფარგლებში ვცდილობდით ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების შემუშავებას. **ჩვენმა ფრაქციამ და იმ კომიტეტმა, რომელსაც ზურაბ ტყემალაძე, ედგა სათავეში, ძალიან ბევრი ეკონომიკური თუ სხვა საჭირბოროტო მიმართულების ინიციატივა მოამზადა და გაიტანა კიდეც. სწორედ ჩვენი ინიციატივით მოხდა, რომ ამ, ისედაც მცირემიწიან ქვეყანაში, სადაც ადგილობრივ ფერმერსაც აკლია სახნავ-სათესი სავარგული თუ საქონლის საძოვრები, გამოცხადდა უცხოელებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვის მორატორიუმი, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ ამ კანონის ამოქმედება შეაჩერა და საკითხი ჯერჯერობით ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი.**

როცა გაჩნდა საფრთხე, რომ კოალიციის წევრ ერთ-ერთ პარტიას უნდა წარმოედგინა საკანონმდებლო ინიციატივა ერთნაირსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებით, სწორედ ჩვენი ფრაქცია დაუპირისპირდა მას და სასწრაფოდ მოითხოვა საწინააღმდეგო ნორმის დაფიქსირება კონსტიტუციური კანონის დონეზე.

ჩვენი ინიციატივით მომზადდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, რამაც საგრძნობი შეღავათი მოუტანა ზოგადად ბიზნესს.

**მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ, ჩემი საკანონმდებლო ინიციატივით აიკრძალა ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემოტანა და წარმოება საქართველოში, ასევე, მსგავსი პროდუქციის შემოტანა სათანადო მარკირების გარეშე. ასეთი გადაწყვეტილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული კვლევები ადასტურებს, თუ რა ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისთვის გენმოდიფიცირებულ საკვებსა და ცოცხალი სათესლე მასალის გამოყენებით მოწეულ პროდუქციას.** იმავე კვლევებით დამტკიცდა, რომ ასე მომრავლებული და საუბედუროდ გაახალგაზრდავებული გულ-სისხლ- ▶



## საწარმომ გაამართლა

**სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში გაიხსნა ახალი საწარმო.** იმპორტირებულ საქონელს მალე „ჯეოკეპში“ წარმოებული ადგილობრივი პროდუქცია ჩაანაცვლებს, განაცხადეს საწარმოს გახსნისას და დღეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს დაპირება გამართლდა. უფრო მეტიც, უკვე ფაქტია, რომ „ჯეოკეპს“ უნარი შესწევს არა მარტო ჩაანაცვლოს იმპორტი, არამედ ექსპორტზეც გაიტანოს თავისი პროდუქცია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ საინტერესო პროექტის განხორციელებით შეიქმნა სამუშაო ადგილები კვალიფიცირებული მუშახელის დასასაქმებლად. საწარმოს ინვესტიციის ჯამური მოცულობა 2 მილიონი აშშ დოლარია.



არჩევნები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოპონენტების კიჟინისა და ზოგიერთი წამყვანი ტელეარხის აშკარად მიკერძოებული პოზიციის მიუხედავად, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ბოლო ოთხ წელიწადში ახალმა კოალიციურმა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი რამის გაკეთება მოახერხა.

ძარღვთა თუ ონკოლოგიური დაავადებების გამომწვევ რისკფაქტორთა შორის მსგავსი საკვების მოხმარებაც შედის. მსოფლიოში ამის საწინააღმდეგოდ მილიონიანი საპროტესტო გამოსვლები იმართებოდა, ჩვენთან კი ვითარება სრულიად უკონტროლო იყო და თვითდინებაზე მიშვებული რჩებოდა წლების განმავლობაში.

ამ მიმართულებით წარმართული ჩვენი საქმიანობის პირველ ეტაპზე მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოში, ისევე, როგორც ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში, ყველა სავაჭრო ობიექტში ცალკე განთავსდა გენმოდიფიცირებული ნაწარმი შესაბამისი წარწერებით. უკვე სავალდებულოდ იქცა მათი მარკირება, რომელიც მოსახლეობის ინფორმირებისა და სავალალო შედეგებისგან მისი დაცვის აუცილებელი წინაპირობაა. ამის კვალზე მივიღეთ მეორე, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი კანონი, რომლის თანახმად ჩვენთან ვერ შემოიტანენ გენმოდიფიცირებულ ცოცხალ ორგანიზმებს (სათესლე მასალას). ამგვარი აკრძალვა ბევრ ქვეყანაში კანონითაა დადგენილი.

უნდა გავიმეორო, რომ მრეწველთა ფრაქციამ და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა, ზურაბ ტყემალაძის ხელმძღვანელობით, ბოლო მოწვევის პარლამენტში, ალბათ, ყველაზე მეტი საკანონმდებლო ინიციატივა წამოაყენა.

**ოპონენტების კიჟინისა და ზოგიერთი წამყვანი ტელეარხის აშკარად მიკერძოებული პოზიციის მიუხედავად, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ბოლო ოთხ წელიწადში ახალმა კოალიციურმა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი რამის გაკეთება მოახერხა. უპირველეს ყოვლისა, უარი თქვა მმართველობის დესპოტურ მეთოდებზე, რომლებითაც ყოფილი ხელისუფლება განახორციელებდა ტერორს საკუთარი მოსახლეობის მიმართ და ძალადობას ლამის უმთავრეს პოლიტიკურ ამოცანად აქცევდა.**

უამრავი რამ გაკეთდა ბიზნესის გათავისუფლების თვალსაზრისითაც. ნუ დაგვავიწყდება, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ქვეყნის მოსახლეობის 12 პროცენტი ან პატიმარი იყო, ან პრობაციონერი.

დაიგო გზები, აშენდა ახალი საწარმოები, შეიქმნა არაერთი ფონდი, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“, თანადაფინანსების ფონდი და სხვ. ჯერ, ალბათ, ადრეა სოფლის მეურნეობის საბოლოო აღორძინებაზე ლაპარაკი, მაგრამ დღეს არაერთი პროგრამა, არაერთი შეღავათიანი პირობა გაუჩნდათ ფერმერებსაც და მეწარმეებსაც საკუთარი ბიზნესის გასავითარებლად.

ცალკე თემაა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გამართული **სხვადასხვა დონის დემოკრატიული არჩევნები, რომლებიც ყოველგვარი დარღვევის გარეშე ჩატარდა.**

გაიზარდა ქვეყნის ტურისტული პოტენციალი, განსაკუთრებით — ჩვენს უნიკალურ მთიანეთში, სადაც არაერთი თანამედროვე დონის სასტუმრო აშენდა.

**დიდი ნაბიჯი გადაიდგა მოსახლეობის ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევის დამკვიდრებით. თუ სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენი მოქალაქეები ვერ ახერხებდნენ ძვირად ღირებული ოპერაციების გაკეთებას, დღეს ვითარება რადიკალურად შეცვლილია.**

ათწლეულობით დაგროვილი პრობლემებისა და ამდენი დაკარგული დროის მიუხედავად, გასულ ოთხ წელიწადში მაინც ბევრი რამ მოესწრო, და თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება; მომავალი ოთხი წელი უფრო ნაყოფიერი და წარმატებული უნდა გამოდგეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყველაფრის მოსწრებას, კოალიციის ყველა დანაპირების შესრულებას, წინამორბედი ხელისუფლების დანატოვარმა დიდმა ვალებმაც და დაცარიელებულმა ხაზინამაც შეუშალა ხელი. მილიარდზე მეტი დოლარი დაგვრჩა გასასტუმრებელი იმ დროიდან, როცა ძალიან ბევრ სუბიექტს წინსწრებით ახდევინებდნენ გადასახადებს.

**თუ ვინმე შეგნებულად არ იბრმავებს თვალს, უნდა აღიაროს, რომ ქვეყანა დაწყნარდა, ხალხს აღარ ეშინია არც კრიტიკული აზრის გამოთქმის, არც თამამად ლაპარაკის და არც სამეურნეო საქმიანობის წამოწყება-წარმართვის.** ეს უკანასკნელი უაღრესად მნიშვნელოვანი წინაპირობაა ყველაზე მტკივნეული პრობლემის — ხალხის დასაქმების მოსაგვარებლად. ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების გარეშე, სხვა ვერაფერი მოიტანს იმ შედეგს, რომელიც ერთნაირად სასურველია ნებისმიერი ჩვენი მოქალაქისთვის.



გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე ფრაქცია „მრეწველების“ სხდომაზე

ჩვენი დიდი წინაპრებიც — ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვები ყოველთვის ხაზგასმით იმეორებდნენ, რომ მხოლოდ წარმოების განვითარება, სოფლის მეურნეობის აღორძინება, ახალ-ახალი ტექნოლოგიების შემოტანა და დანერგვა ჩააყენებდა საქართველოს მოწინავე ქვეყნების რიგში. მხოლოდ ამ გზით მოხერხდება დღევანდელ პირობებში მილიონზე მეტი იმ ჩვენი თანამემამულის სამშობლოში დაბრუნება, იმ ადამიანების, რომლებიც ბოლო წლების კატაკლიზმებმა იძულებით ლტოლვილებად აქცია. ქართველი კაცისთვის ოჯახი უპირველესი ფასეულობაა და, როცა ოჯახის რჩენას აქ ვერ ახერხებს, უცხოეთში გარბის, რათა იქიდან სცადოს თავისიანების პატრონობა. არადა, უცხო ქვეყნებიდან ეს ფულადი გზავნილები თითქმის უთანაბრდება ჩვენს ბიუჯეტს.

ახალი არჩევნების წინ კოალიცია უწინდელი სახით უკვე აღარ არსებობს და ეს, ალბათ, ბუნებრივიცაა. ცივილიზებულ ქვეყნებში კოალიცია მაშინ ყალიბდება, როცა გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები ამომრჩევლის მხარდაჭერას მოიპოვებენ და მხოლოდ პარლამენტში შესულები იწყებენ კოალიციურ რეჟიმში საქმიანობას.

ჩვენთან ასე არ მომხდარა და სამწლიანი თანამშრომლობის შემდეგ გაირკვა, რომ რიგ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, თუნდაც იმავე ერთნაირ სქესიანთა დაქორწინებისა თუ იმპორტირებული სურსათის უვნებლობის თემები — ერთმანეთისგან განსხვავებულ აზრზე ვიდექით. ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვეტოვებინა კოალიცია, ცალკე მიგველო მონაწილეობა მომავალ არჩევნებში და უკვე ახალ პარლამენტში გვეფიქრა ძალთა ახლებურ დაჯგუფებაზე.

**კოალიციის დატოვების შემდეგ მოლაპარაკება გავმართეთ რამდენიმე პოლიტიკურ ძალასთან, რომლებიც უცხოეთიდან არ იმართებოდა და რომელთა პოზიციაც ქართულად მივიჩნიეთ. საბოლოო ჯამში შევქმენით ახალი ბლოკი ძალიან საინტერესო, შედარებით ახალგაზრდა პოლიტიკურ პარტიასთან „ჩვენი სამშობლო“.** ეს პარტია, საკმაო ხანია, საქართველოში აქტიურობს და ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთებაც მოასწრო — იყო ეს ქველმოქმედება თუ ეკლესიების აღდგენა-აშენება. ისიც უთუოდ აღსანიშნავია, რომ პარტიის თავმჯდომარე, ბატონი ზვიად ჩიტიშვილი, ისევე, როგორც მისი პარტიის არაერთი სხვა წევრი, თავის დროზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა, სადაც ბევრი თანამებრძოლი დაკარგეს. მათ ოჯახებს „ჩვენი სამშობლო“ დღემდე არ აკლებს მზრუნველობას. ჩვენი შეხედულებები ბევრ საკითხში სრულად დაემთხვა ერთმანეთს და იმედი გვაქვს, სამომავლოდ ქვეყნისთვის სასარგებლო არაერთი საქმის გაკეთებასაც ერთობლივად შევძლებთ.

**აქვე შევნიშნავ, რომ ზოგიერთი ოპონენტი უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების საქმიანობას ამრეზით უყურებს. კატეგორიულად არ ვეთანხმები ასეთ ობივატელურ პოზიციას. დასაძრახი არაფერი სჭირთ ასეთ ადამიანებს, მათ შორის, ბიზნესმენებს, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, გასცლოდნენ ყოფილი ხელისუფლების ტოტალური ძალადობის რეჟიმს, დაფუძნებულიყვნენ უცხოეთში, იქ გაეგრძელებინათ თავიანთი საქმიანობა და ქველმოქმედება საქართველოში დარჩენილი თანამოქალაქეებისა თუ ორგანიზაციების დასახმარებლად.**

ჩვენი პარტნიორი და მეგობარი ზვიად ჩიტიშვილიც ამ კატეგორიის ბიზნესმენია, საქვეყნო საქმისთვის თავგადადებული მოღვაწე. საქველმოქმედო საქმიანობასთან ერთად იგი და მის მიერ დაარსებული პარტია „ჩვენი სამშობლო“ აქტიურად მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში, მათ შორის, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების შედეგად ჩვენი ხალხების ერთგვარი გაუცხოების დაძლევაში, ხოლო ქართულ-ოსური ორგანიზაცია „გროსი“ (რომელიც, აგრეთვე, მისი დაარსებულია), ჩართულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დალაგების, უწინარესად, კულტურული და საქმიანი კავშირების აღდგენის საქმეში სახალხო დიპლომატიის მეშვეობით.

რამდენიმე სიტყვით შევჩერდები ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. ამ საკითხის გამო, მეც და მთლიანად ჩვენს პარტიასაც პრორუსულობის იარლიყი მოგვაწებეს და თან სწორედ იმათ, ვისი მმართველობის დროსაც საქართველოს ტერიტორიის მეხუთედი დავკარგეთ, ხოლო ჩვენი ეკონომიკის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი დარგები თუ მიმართულებები რუსული კერძო კაპიტალის საკუთრებაში გადავიდა.

ამის მიზეზად, უმთავრესად, ნატოსთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები იქცა. **უკვე ათ წელიწადზე მეტია, ჩვენს მოსახლეობას ამ თემაზე არასწორ ინფორმაციებს აწვდიან. არადა, რეალობა სრულიად განსხვავებულია. ჩვენ ნატოს არაერთ მარალჩინოსანს შევხვედრივათ აქაც და უცხოეთშიც, რომლებიც დიპლომატიურად, მაგრამ სრულიად გასაგებად გვეუბნებიან — ძალიან კარგი ხალხი ხართ, შესანიშნავი ქვეყანა გაქვთ, ვაფასებთ, რომ დემოკრატიული პრინციპების დანერგვას ცდილობთ, ევროკავშირისკენ გაქვთ გეზი აღებული, მაგრამ ნატოში ვერ მიგიღებთო.** სხვათა შორის, არც ამის მიზეზებს მალავენ მაინცადამაინც. ჩვენ ამ ყველაფრის შესახებ ხმამაღლა განვაცხადეთ, რაც ძალიან ბევრს არ მოეწონა, თუმცა ვარშავის ბოლო სამიტმაც დაადასტურა, რამდენად გადაჭარბებულია ამ მხრივ მავანთა მოლოდინი.

**არც ის მგონია პრორუსულობის გამოხატულება, თუ ქვეყნის სასიკეთოდ, რეალობას თვალს გავუსწორებთ და ვაღიარებთ, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ლანძღვაგინებით მხოლოდ გულს ვიფხანთ, მავთულხლართები კი ყოველ ჯერზე ნახევარ-ნახევარი კილომეტრით გადმოდის წინ. რეალობა ასეთია, მაგრამ არც იმის იგნორირება შეიძლება, რომ ჩვენი მეზობელი რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, რომლის გარეშე არაფერი წყდება დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკაში.** საერთაშორისო დიპლომატიის ერთ-ერთი აქსიომა მტერთან დალაპარაკების უნარიცაა. დიპლომატია საკმაოდ ქმედითი იარაღია და ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა სწორედ მოლაპარაკებებით გადაწყვეტილა უმწვავესი საკითხები. მიგვაჩნია, რომ ეს უფრო სწორი მიდგომაა, ვიდრე ლანძღვა, მუქარა და ა.შ. ვერანაირი იარლიყების შიში ვერ გვაიძულებს ამ პოზიციის შეცვლას, მით უფრო მანამ, სანამ ქვეყნის უმთავრეს სატკივარად საქართველოს გაერთიანება გვრჩება.

დაბოლოს, ერთხელ კიდევ გავიმეორებ ადრე უკვე ნათქვამს: **საქართველოში არსებული ყველა პრობლემის მოგვარების გზა სწორი, დამოუკიდებელი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საშინაო პოლიტიკისა და, ასევე, სწორი ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბებაა. მხოლოდ ასე მოხერხდება ფუჭად გაფლანგული დროის ანაზღაურებაც, ფეხზე მყარად დადგომაც და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გზაც ამის შემდეგ გამოიკვეთება.**

**გოგი თოფაძე,**
პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერი, საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარე

**თუ ვინმე შეგნებულად არ იბრმავებს თვალს, უნდა აღიაროს, რომ ქვეყანა დაწყნარდა, ხალხს აღარ ეშინია არც კრიტიკული აზრის გამოთქმის, არც თამამად ლაპარაკის და არც სამეურნეო საქმიანობის წამოწყება-წარმართვის**

მოკლედ

## მოსახლეობის უკეთ მომსახურებისთვის

**სოფელ არხილოსკალოში გახსნილი 35-ე საზოგადოებრივი ცენტრი საჯარო და კერძო სექტორების წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია.** იგი მნიშვნელოვნად ზოგავს ადგილობრივი მოსახლეობის დროსა და ფინანსებს. აქ მოსულ მოქალაქეებს სახელმწიფო და კერძო სექტორების 200-ზე მეტ სერვისს, გამარტივებულ პროცედურებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომას სთავაზობს. მესამე თვეა, ეს ცენტრი გამართულად მუშაობს და მოსახლეობის მოწონებას იმსახურებს.

არხილოსკალოს გარდა, საზოგადოებრივი ცენტრის მომსახურებით კიდევ 34 ქართული სოფლის მოსახლეობა სარგებლობს. დღეისათვის საზოგადოებრივი ცენტრები ფუნქციონირებს მუხაესტატეში, გეგუთში, მეჯვრისხევში, კაჭრეთში, ხიდისთავში, ნუკრიანში, კორბოულში, ღორეშაში, კაზრეთში, შილდაში, ორსანტიაში, ქვემო ნატანებში, კაბალში, ლენტეხი, დაბა ჩაქვში, ხრეითში, სადახლოში, რუხში, იორმუღანლოში, დიდ ჯიხაიშში, მარტყოფში, შაშიანში, სართიჭალაში, გომში, რუისში, ჭალადიდში, ხევში, მანგლისში, კოდაში, ფოკაში, ნიკოითში, ჯვარში, შორაპანში, ყვარელწყალში.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ვერ განაგრძო „ნაცმოძრაობის“ მიერ დაწყებული ვერც ერთი პროექტი. ანაკლიის პორტის მშენებლობაზე მხოლოდ ახლა იწყება საუბარი, ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა, არც ანაკლიასა და არც განმუხურს შემატებია რაიმე ღირებული. მოსახლეობა ვერ იღებს შემოსავალს თხილიდან, რომელიც ბოლო წლებში სხვადასხვა მავნებლის ზემოქმედების გამო დაბალხარისხიანი და, შესაბამისად, დაბალშემოსავლიანი შეიქნა. წელს თხილის ხარისხი და ფასი უპრეცედენტოდ დაბალია.**

# «ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ბევრს ჰქონდა განცდა, რომ ხელისუფლებას დაავიწყდა სამეგრელო და მეგრელები»

**ქვეყანაში მორიგი საპარლამენტო არჩევნების წელია. ასეთ დროს მოსახლეობას უკვე ჩავლილი არჩევნები ახსენდება. ერთ-ერთი საარჩევნო წელიწადი, რომელიც მართლა არასოდეს დაავიწყდებათ, 2003-ია, წელი, როდესაც „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციით“ მოვიდა. სააკაშვილმა და მისმა „ნაცმოძრაობამ“ ტერორით, ძალადობით, მუქარითა და სისხლით ცხრა წლის განმავლობაში შეინარჩუნა ხელისუფლება. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დაზარალებული ოჯახების უმრავლესობა სამეგრელოდან არის. საზოგადოებისთვის ცნობილია ე.წ. კასრების საქმე, რომელიც სწორედ სამეგრელოშია ჩადენილი და ამ კასრებში ნაპოვნ ვიდეოკადრებზე ადამიანების მიმართ უსასტიკესი მოპყრობაა აღბეჭდილი. ყველასთვის არის ცნობილი ახალაიების კლანი, რომლის ხსენება დღემდე შიშის ზარს სცემს სამეგრელოს მოსახლეობას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ „ნაცმოძრაობას“ სამეგრელოში მხარდამჭერები დღესაც ჰყავს.**

**„ნაცმოძრაობას“ გარკვეული მხარდაჭერა (სხვადასხვა მონაცემით, 10-15-პროცენტიანი) აქვს თავისი აქტივის, კომპრომატებით გამოჭერილი, ფინანსურად დამოკიდებული თუ ტვინგამორეცხილი ამომრჩევლის ხარჯზე. ბუნებრივია, ამ პარტიისა და სახელმწიფო აპარატის ბევრი მოქმედი და ყოფილი წევრი, რომლებსაც, მიუხედავად საკმარისი სამხილებისა, არავინ დააკისრა პასუხისმგებლობა და ბევრი დააწინაურეს კიდეც, აგრეთვე, მათი ოჯახის წევრები და ნათესავები „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები არიან როგორც სამეგრელოში, ასევე სხვა რეგიონებშიც. იმაზე, თუ რა ხდება საკუთრივ ზუგდიდში, გვესაუბრება ზუგდიდის უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი გელა კვიკვინია და „ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ბატონი მერაბ ქვარაია.**

**გელა კვიკვინია:**

— „ოცნების“ ხელისუფლების უეფექტო მუშაობამ ხალხს იმედი გაუცრუა. სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში სამეგრელოში ხორციელდებოდა ან პიარდებოდა რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი პროექტი. დაიწყო კურორტ ანაკლიისა და განმუხურის მშენებლობა, რომელსაც მოჰყვა ტურისტების ნაკადის ზრდა, პიარდებოდა ანაკლიის პორტის მშენებლობის დაწყება... გაშენდა თხილის პლანტაციები და ამ მცენარის მოყვანით მიღებული შემოსავალი საკმაოდ სტაბილური იყო. დაიწყო, ასევე, კენკროვანი ხილის მოშენება. მოსახლეობა ასეთ პროექტებს იმედით უყურებდა და ფიქრობდა, რომ სამუშაო ადგილები გაჩნდებოდა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ კი ვერ განაგრძო „ნაცმოძრაობის“ მიერ დაწყებული ვერც ერთი პროექტი. ანაკლიის პორტის მშენებლობაზე მხოლოდ ახლა იწყება საუბარი, ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა, არც ანაკლიასა და განმუხურს შემატებია რაიმე ღირებული.

მოსახლეობა ვერ იღებს შემოსავალს თხილიდან, რომელიც ბოლო წლებში სხვადასხვა მავნებლის ზემოქმედების გამო დაბალხარისხიანი და, შესაბამისად, დაბალშემოსავლიანი შეიქნა. წელს თხილის ხარისხი და ფასი უპრეცედენტოდ დაბალია. ამას მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული კლანების თხილის ბაზარზე თამაშსა და სხვადასხვა გარიგებას აბრალებს. ვერ გეტყვით, მართალია თუ არა ეს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ გალიდან შემოტანილი თხილის ფასით ქართული თხილის ფასის გარკვეული რეგულაცია მართლაც ხდება.

ამასთანავე, **ძალიან ცუდად იმუშავეს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროებმა. თხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ მასობრივი პროგრამების განსახორციელებლად თითქმის არაფერი გაკეთებულა. შარშან მოისაო ენდემური კოლხური ბზა და გარემოს დაცვის სამინისტრო მხოლოდ შორიდან შეჰყურებდა ამ ეკოლოგიურ კატასტროფას.**

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ბევრს ჰქონდა განცდა, რომ ხელისუფლებას დაავიწყდა სამეგრელო და მეგრელები. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, წინასაარჩევნო კამპანიაზეც აისახება და სწორედ აქედან მომდინარეობს გულგატეხილობა და, ასე ვთქვათ, „ნოსტალგია“ „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ.



## „ჩემი შტაბის ხელმძღვანელი გრიგოლ მიქავა არასოდეს ყოფილა „ნაცმოძრაობის“ წევრი“

**მერაბ ქვარაია:**

**— ბატონო მერაბ, რით ახსნით თვალსაზრისს, რომ „ნაცმოძრაობას“ სამეგრელოში მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე სხვა რეგიონებში?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ 2003 წლის რევოლუციის შემდეგ სააკაშვილმა რატომღაც გადაწყვიტა, სამეგრელო მისი დასაყრდენი ყოფილიყო და „ნაციონალური მოძრაობა“ აქ პოზიციების „გამყარებას“ შეეცადა. რეგიონში მათ დაიწყეს ყველა ასაკის, ყველა კატეგორიის ადამიანებზე ზემოქმედება. მათი მთავარი მიზანი იყო სამეგრელოს დამორჩილება და ეს იყო ხილული თუ უხილავი წნეხი ყველა მიმართულებით. შესაბამისად, ყველაზე მეტად სამეგრელო დაიჩაგრა და ყველაზე მეტი ადამიანი სწორედ ამ რეგიონში დააპატიმრეს.

ამას სტატისტიკური მონაცემები მოწმობს.

მე 2005 წელს დამაპატიმრეს ისეთი აბსურდული ბრალდებით, რომლის თავსა და ბოლოში თვითონაც ვერ გაერკვნენ, მაგრამ 2012 წელს გავთავისუფლდი — მას შემდეგ, რაც სრულად მომახდევინეს სასჯელი. სამეგრელოში რომ ჩამოვედი, ხალხი დაზაფრული იყო, ადამიანები ერთმანეთს ვერ ანდობდნენ გულის ნადებს. ეს იყო საკონცენტრაციო ბანაკის ტიპის ტერიტორია. შემდეგ გაიმართა 2012 წლის არჩევნები, რომელშიც აქტიურად ვიყავი ჩართული, მიუხედავად იმისა, რომ იყო რეკვა, მუქარა, დაბარებები და წნეხის კასკადი. რაც შეეხება 2012 წლის არჩევნების შედეგებს, მათ ეს გამარჯვება გაყალბებით, დაშინებით, ძალოვანების ზემოქმედებით მოიპოვეს. 2012 წლის შემდეგ ქვეყანაში სხვა რეალობა დადგა. „ქართულმა ოცნებამ“ ადამიანების თავისუფლების მხრივ უპრეცედენტო ნაბიჯები გადადგა და ეს ტალღა მოვიდა სამეგრელოშიც. სწორედ ასეთ გარემოში ჩატარებულ არჩევნებში შეძლო „ქართულმა ოცნებამ“ 2013 წელს — საპრეზიდენტო და 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება. ანუ „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებში იმარჯვებდა მაშინ, როცა არ იყო თავისუფალი გარემო, მაგრამ, როგორც კი ხალხი გათავისუფლდა, „ქართულ ოცნებას“ არც ერთ არჩევნებში არ გასჭირვებია გამარჯვება.

**— ის, რაც სამეგრელოში ხდებოდა, ყველასთვის ცნობილია. თუმცა დღეს, ბევრი ექსპერტის აზრით, „ნაცმოძრაობას“ ყველაზე მეტი მხარდამჭერი სამეგრელოში ჰყავს. ამას რით ახსნით?**

— არჩევნებზე ყოველთვის არის „საჭიდაო“, მაგრამ მაინც ვფიქრობ, საუბარი ნაცების შესაძლებლობებზე სამეგრელოში გადაჭარბებულია...

**— ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს. საქმე ის არის, რომ ზუგდიდში მოსახლეობა დღემდე საუბრობს შიშზე, რომლის გაქრობაც „ოცნებამ“ ვერ შეძლო. საუბრობენ იმაზეც, რომ სამეგრელოს პოლიციაში, და არამხოლოდ იქ, დღემდე რჩებიან თანამდებობებზე ის თანამშრომლები, რომლებიც თავის დროზე ადამიანებს აშინებდნენ და მათ წამებასაც არ ერიდებოდნენ. მათ შორის ასახელებენ თქვენი შტაბის უფროს გრიგოლ მიქავას. შემიძლია დაგისახელოთ კიდევ რამდენიმე ადამიანი. მაგალითად, სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელი, ვინმე ხურცილავა, რომელიც დღეს სამეგრელოს გუბერნატორის — ლევან შონიას მარჯვენა ხელია. ეს პიროვნება შემჩნეულია ადამიანების წამებაში. ხურცილავას მოადგილეა გია ფაჩულია, რომლის გვარიც საზოგადო მოღვაწის, გურამ შარაძის, მკვლელობის საქმეში ამოტივტივდა. ვინმე შოთა წიწავა ვაშლიჯვრის სპეცდანიშნულების რაზმიდან გადმოიყვანეს მას შემდეგ, რაც თბილისში ყველა მიტინგის დარბევას „წარმატებით“ გაართვა თავი და დღემდე სამეგრელოს განსაკუთრებულ დავალებათა მე-2 სამმართველოს თანამშრომელია. ფოთის ძალოვან სტრუქტურაშია გადაყვანილი ახალაიების კლანის წევრი, მეტსახელად „ლოქო“, ადამიანი, რომელსაც „გაუპატიურებების სულისჩამდგმელად“ მოიხსენიებენ. ამას გარდა, დააწინაურეს ისეთი კადრები, რომლებიც 2012 წელს არჩევნებში „ნაცმოძრაობის“ წარუმატებლობის შემდეგ ცრემლს ვერ იკავებდნენ. მაგალითად, ზურგის სამსახურის ე.წ. j-4-ის თანამშრომელი გერონტი შამათავა, აგრეთვე, მალხაზ ფიფია. ეს არასრული ჩამონათვალია იმ ადამიანებისა, რომლებიც დღემდე შიშის ზარს სცემენ სამეგრელოს და, კერძოდ, ზუგდიდის მოსახლეობას.**

— ჩემი შტაბის ხელმძღვანელი გრიგოლ მიქავა არასოდეს ყოფილა „ნაცმოძრაობის“ წევრი.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკა დემოკრატიულ ღირებულებებსა და ადამიანის უფლებების დაცვაზეა აგებული. თუ პარტიული კუთვნილების გამო ადამიანები სამსახურიდან არ გაუშვიათ, ეს გასაგებია. სამსახურიდან უნდა წასულიყვნენ და, საერთოდ, საჯარო სექტორი უნდა დაეტოვებინათ იმ ადამიანებს, რომლებსაც ჩადენილი აქვთ დანაშაული, გარეული იყვნენ მანკიერებებში, იმ სიბინძურეში, რომელიც ხდებოდა საქართველოში. მერწმუნეთ, ამ მახინჯი სისტემიდან თუ ვინმე შემორჩა საჯარო სექტორს, შეიძლება გვიან, მაგრამ სამართალი აუცილებლად დაეწევა.

**— მცირე დრო დამჭირდა იმისთვის, რომ ყველა იმ ადამიანის სახელი და გვარი გამეგო, რომლებიც წამებასა და ძალადობაში არიან ეჭვმიტანილნი და დღემდე თანამდებობებზე სხედან. სამწუხაროა, ამ საკითხით თქვენ რომ არ დაინტერესდით. ზუგდიდში არიან პოლიციელები, რომლებიც დაისაჯნენ, მაგრამ ახლა უკვე თავისუფალნი არიან და ისევ მუქარით ცდილობენ ხალხის დაშინებას. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი რუსლან შამახია სოფლის მოსახლეობას, მათ შორის, რწმუნებულსაც, ემუქრება, რომ ფეხებს დაამტვრევს, თუ „ოცნების“ სასარგებლოდ იმუშავებს... ამის მოწმეებიც არიან.**

— ვისაც რაიმე დანაშაულში აქვს ხელი გასვრილი, აუცილებლად უნდა დაისაჯოს. საზოგადოების მხრ- ▶

**«რაც შეეხება სანდრა რუჰლოვსისთვის ხელის ჩამორთმევას, ნურავინ დამძრახავს კოლხ კაცს, რომ ქალის გამოწვდილ ხელს ხელი შევაგებე. ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. ამას პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს. მართალია, შერიგება აუცილებელია, სიძულვილის ენით საუბარი სასურველი არ არის, მაგრამ არავინ აპირებს, შეურიგდეს იმ უმსგავსობას, რომელიც წინა ხელისუფლების პერიოდში ხდებოდა»**

## სისხლი და სოროსი

**ჩინეთი ეკონომიკური კრიზისის წინაშეა. საქმე ის არის, რომ ბანკებმა, რომლებსაც სხვადასხვა კომპანიაზე ტრილიონობით კრედიტი აქვთ გაცემული, მათი დაბრუნების იმედი დაკარგეს, რადგან ჩინეთში კომპანიები ერთი-მეორის მიყოლებით კოტრდება.**

მძიმე დღეშია გერმანული „დოიჩე ბანკიც“, რადგან ჩინეთში მასაც სერიოზული კაპიტალდაბანდება აქვს განხორციელებული. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, „დოიჩე ბანკს“ სასწაული თუ იხსნის, რადგან მასზე ფსონი უკვე ჯორჯ სოროსმა დადო. სწორედ ექსპერტები ამბობენ, რომ ისეთმა ზვიგენმა, როგორიც სოროსია, სისხლის სუნი იგრძნო და „დოიჩე ბანკს“ ამიტომაც მიუჩოჩდა.

სოროსმა სისხლის სუნი საქართველოშიც იგრძნო და ამიტომაც დააფინანსა „ვარდების რევოლუცია“, თუმცა 2008 წელს, გორში გაქცეული სააკაშვილი რომ ნახა, სხვა რამის სუნი იგრძნო და დაფინანსება შეწყვიტა.



„შევცვალეთ სტრუქტურა სტუდენტებისა და დამწყები სპეციალისტების პროგრამირებისთვის. წელს ძალიან დიდი მოთხოვნა იყო ამ პროგრამაზე, 72 საათში რეგისტრაციის 150-ზე მეტი მოთხოვნა შემოვიდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სწავლის ხარისხი ყველას მოსწონს. მომავალი წლისთვის კიდევ ბევრი რამ იგეგმება“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ იდან მართლაც არის მოთხოვნა სამართლის სწრაფად აღსრულებაზე, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ — უდანაშაულო ადამიანები არ უნდა დაისაჯონ, ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ ის შეცდომები, რომლებიც დაუშვა წინა ხელისუფლებამ. გავიხსენოთ, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ძებნილია, ყოფილი პრემიერმინისტრი სასჯელს იხდის, ყოფილი თავდაცვის მინისტრი გისოსებს მიღმაა... მერწმუნეთ, კანონს ვერავინ დაემალება. მთავარია, რომ დღევანდელი ხელისუფლება ქმნის სახელმწიფოს, რომელშიც კანონი უზენაესია.

**— სამეგრელოში მცხოვრები გლეხი ძირითად შემოსავალს თხილიდან იღებს, რომელიც წელს გაფუჭდა. თხილს, რომლის იმედიც ჰქონდათ და რომელიც შარშან ცხრა-ათი ლარი ღირდა, წელს ჩალის ფასიც არ ღირს. ამჟამინდელი ხელისუფლება მოსახლეობას არ დახმარებია, ზარალი როგორმე რომ შეემცირებინა. თქვენი აზრით, როგორ მოიქცეოდნენ და რას გააკეთებდნენ წინასაარჩევნოდ დაზარალებული გლეხებისთვის ნაციონალები?**

— ყველაზე დიდი უბედურება იყო ის, რომ წინა ხელისუფლებას ყველაფერი არჩევნებზე ჰქონდა გათვლილი. რას გააკეთებდნენ, არ ვიცი, მაგრამ ხელოვნურად რაღაცის შეცვლა ყოველთვის უარესი შედეგის მომტანია.

**— ფიქრობთ თუ არა სუბსიდირებაზე? როდესაც კახეთში ვენახი ფუჭდება, სახელმწიფო გლეხებს ეხმარება. თქვენ თუ გაქვთ ასეთი რამ გეგმაში?**

— თხილთან დაკავშირებულ პრობლემაზე, რომელიც ერთადერთი შემოსავალია მეგრელი გლეხისთვის, ჩვენ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად დავიწყეთ მუშაობა. მიმდინარეობს კვლევა, რათა თხილის გაფუჭების მიზეზი დავადგინოთ და თხილის პლანტაციებს ვუშველოთ. ამის შემდეგ შევძლებთ სუბსიდირებასაც და სახელმწიფო აუცილებლად დაეხმარება გლეხებს. მთავარია, დავადგინოთ მიზეზი და გლეხები რეალურ და ქმედით ხელშეწყობას სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად იგრძნობენ.

**—კულუარებში ამბობენ, რომ „ოცნება“ და ნაცები მოლაპარაკებულნი არიან, ზუგდიდში, ქალაქის საარჩევნო ოლქში თქვენ გაიმარჯვებთ, ხოლო რაიონულ ოლქში — სანდრა რულოვსი. ამ ეჭვს ისიც ადასტურებს, რომ ზუგდიდის რაიონში „ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ედიშერ თოლორაია არ აქტიურობს, ხოლო ქალაქ ზუგდიდში — ნაცების კანდიდატი ლევან კონჯარია. გარდა ამისა, თქვენ „ზუგდიდობის“ დღესასწაულზე სანდრა რულოვსს სახალხოდ ხელი ჩამოართვით და განაცხადეთ, რომ უნდა შერიგდეთ და წარსული უნდა დაივიწყოთ. წარსულის დავიწყებაზე არა მხოლოდ თქვენ, არამედ ქვეყნის პრემიერიც საუბრობს.**

— ეს მორიგი ჭორია. ამაზე საუბარიც არ ღირს. ედიშერ თოლორაია აქტიურ საარჩევნო კამპანიას ეწევა და მისი შეხვედრები ხალხმრავლობით გამოირჩევა. საზოგადოება კეთილგანწყობილია ჩვენ მიმართ, რაც წინასაარჩევნოდ გვიქმნის იმ სურათს, რომ 8 ოქტომბერს დამაჯერებლად გავიმარჯვებთ.

რაც შეეხება სანდრა რულოვსისთვის ხელის ჩამორთმევას, ნურავინ დამძრახავს კოლხ კაცს, რომ ქალის გამოწვდილ ხელს ხელი შევაგებე. ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. ამას პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს. მართალია, შერიგება აუცილებელია, სიძულვილის ენით საუბარი სასურველი არ არის, მაგრამ არავინ აპირებს, შეურიგდეს იმ უმსგავსობას, რომელიც წინა ხელისუფლების პერიოდში ხდებოდა. არავინ შეურიგდება ძალადობას, ტერორს, ადამიანის უფლებების შელახვას. ყველა ადამიანი შეურიგებელი უნდა იყოს ბოროტებასთან.

**— რატომ უნდა გენდოთ ხალხი კიდევ ოთხ წელიწადს?**

— „ქართულმა ოცნებამ“ მთავარ ღირებულებად აქცია ადამიანი, მან მოიტანა თავისუფლება თითოეული მოქალაქისთვის. წნეხისგან გათავისუფლდა სასამართლო, ძალოვანი უწყებები, ბიზნესი; ხორციელდება უნიკალური პროგრამები ჯანდაცვის კუთხით და ადამიანებს ავადმყოფობის ნაკლებად ეშინიათ, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის უფასო მკურნალობის პროექტი, რომელმაც ათასობით ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა. რაც შეეხება კონკრეტულად მერაბ ქვარაიას მხარდაჭერას, მინდა გითხრათ, რომ ზედმიწევნით ვიცი, რა სჭირდება ზუგდიდს, როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ქალაქი, რა ტიპის დახმარება სჭირდება ზუგდიდელებს. Pარჩევნებში გამარჯვების შემდეგ ვაპირებ, უწინდებურად ვიცხოვრო ჩემს ქალაქში, შევქმნა მაჟორიტარის ძლიერი ბიურო, სადაც თითოეულ მოქალაქეს ექნება საშუალება, მოგვმართოს ნებისმიერ საკითხზე. ზუგდიდმა უნდა იგრძნოს ის სიკეთე, რომელსაც ჰქვია ძლიერი მაჟორიტარის ყოლა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. საბედნიეროდ, მე ვხედავ ჩემი თანაქალაქელების ნდობას და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 8 ოქტომბერს „ქართული ოცნება“ და მისი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ღირსეულ გამარჯვებას მოიპოვებენ.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

# «იუჯი-ლიმესმა» ახალი სასწავლო წელი დაიწყო

**რობოტოტექნიკის სკოლა „იუჯი-ლიმესმა“ ახალი სასწავლო წელი დაიწყო. წელს სკოლა შარშანდელზე გაცილებით საინტერესო პროგრამებს სთავაზობს მოსწავლეებს. გვესაუბრება სკოლის დირექტორ ლევან გაბისონია.**



**— ახალი სასწავლო წელი დაიწყო, რა სიახლეებს სთავაზობს „იუჯი-ლიმესი“ მოსწავლეებს?**

— ჩვენ დავამატეთ უნიკალური სასწავლო პროგრამა მესამე-მეოთხე კლასელებისთვის, ამასთანავე, სრულიად განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ის სასწავლო რესურსები, რომლებსაც ბავშვები იყენებდნენ გარკვეული დროის განმავლობაში, განვაახლეთ, დავამატეთ რამდენიმე ახალი პროგრამა. ესენია: „შეიმეცნე პროგრამირება“ მეხუთე-მერვე კლასის მოსწავლეებისთვის და „შეიმეცნე ფიზიკა“ მერვე-მეათე კლასელებისთვის. ორივე პროგრამა შინაარსითა და სტრუქტურით სრულიად განსხვავებულია საქართველოში არსებული მსგავსი პროგრამებისგან. შევცვალეთ სტრუქტურა სტუდენტებისა და დამწყები სპეციალისტების პროგრამირებისთვის. წელს ძალიან დიდი მოთხოვნა იყო ამ პროგრამაზე, **72 საათში რეგისტრაციის 150-ზე მეტი მოთხოვნა შემოვიდა.** ეს მიუთითებს იმაზე, რომ სწავლის ხარისხი ყველას მოსწონს. მომავალი წლისთვის კიდევ ბევრი რამ იგეგმება.

**— გასულ წლებთან შედარებით, როგორც ჩანს, დიდი დაინტერესებაა „იუჯი-ლიმესის“ სკოლის მიმართ...**

— „იუჯი-ლიმესი“, სულ რაღაც, სამი წლისაა, მაგრამ ყოველ წელს საკმაოდ მზარდი მონაცემებით გამოვირჩევით. ჩვენს სკოლაზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო წელს. ბევრი მოსწავლე გვყავს და ეს ერთიორად გვმატებს პასუხისმგებლობას. ყოველ წელს ველოდებით, რომ, რაც შეიძლება, მეტ მოსწავლეს მივცეთ ამ პროგრამაში ჩასმის შანსი. ახლა ვიწყებთ მასწავლებლების გადამზადების პროგრამას, რათა თვითონ შევძლოთ ჩვენი მასშტაბის გაზრდა. **ჩვენი ინსტრუქტორებიდან ყველას აქვს მაგისტრის ხარისხი და უმეტესობას დოქტორის კვალიფიკაციაც.** წელს თვითონ ინსტრუქტორები მუშაობენ სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოზე. ერთ-ერთ დამხმარე სახელმძღვანელოს, რომლის ავტორები ვართ მე და **ნათია ჯალაგაშვილი**, გამოვცემთ სექტემბრის ბოლოს, პრეზენტაცია კი გაიმართა 17 სექტემბერს, სადაც 100-მდე პედაგოგი გვყავდა მოწვეული.

**— სწორედ 17 სექტემრის ღონისძიებაზე მინდოდა, მეკითხა, როგორ ჩაიარა?**

**— „იუჯი-ლიმესის“ აკადემიის პატრონაჟითა და მხარდაჭერით შეიქმნა მასწავლებლის მომსახურების ცენტრი, სადაც ფიზიკის მასწავლებლებს ვუტარებთ წვრთნებს.** 17 სექტემბერს სწორედ ამ წვრთნების სტილი შევიმუშავეთ, გვქონდა ჩვენ მიერ დაწერილი სახელმძღვანელოს პრეზენტაცია, აგრეთვე, მოვისმინეთ მასწავლებლების შენიშვნები და წვრთნის პროცესში საბოლოო ცვლილებები შევიდა. წიგნი მალე გამოჩნდება მაღაზიებში და ნებისმიერს შეეძლება მისი შეძენა.

**— როგორც ცნობილია, 100000 ლარით დაგაფინანსეს...**

— ეს არის „ლიმესის“ მიერ შექმნილი პროდუქტი, ინოვაციური, საგანამანთლებლო პროგრამირების დაფა, რომელმაც მოიპოვა „სტარტაფ საქართველოს“ 100000-ლარიანი გრანტი შემდგომი განვითარებისა და, საბოლოო ჯამში, სკოლებში ინტეგრირებისთვის. ძალიან მალე იქნება პრეზენტაცია ამ პროგრამირების დაფის და, რა თქმა უნდა, შემდეგი თვეების განმავლობაში დაიხვეწება. ხშირად მოსწავლეებს უჭირთ პროგრამირების სწავლა. კოდს წერენ კომპიუტერში, მაგრამ რეალურად ვერ ხედავენ, როგორ მუშაობს კოდი. ეს დაფა კი სწორედ ამის საშუალებას იძლევა. როდესაც მოსწავლე კომპიუტერში წერს კოდს, ნათურა ინთება, სენსორი მოძრაობას აფიქსირებს, რაც მოსწავლეს აღქმას უადვილებს.

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

**«იუჯი-ლიმესი», სულ რაღაც, სამი წლისაა, მაგრამ ყოველ წელს საკმაოდ მზარდი მონაცემებით გამოვირჩევით. ჩვენს სკოლაზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო წელს. ბევრი მოსწავლე გვყავს და ეს ერთიორად გვმატებს პასუხისმგებლობას. ყოველ წელს ველოდებით, რომ, რაც შეიძლება მეტ მოსწავლეს მივცეთ ამ პროგრამაში ჩასმის შანსი. ახლა ვიწყებთ მასწავლებლების გადამზადების პროგრამას, რათა თვითონ შევძლოთ ჩვენი მასშტაბის გაზრდა. ჩვენი ინსტრუქტორებიდან ყველას აქვს მაგისტრის ხარისხი და უმეტესობას დოქტორის კვალიფიკაციაც»**

## ბაქრაძეს ნაციონალური სისასტიკე გაახსენეს

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის პირველ ნომერს — დავით ბაქრაძეს სენაკში ნაციონალური რეჟიმის მიერ ჩადენილი სისასტიკე შეახსენეს.**

მოსახლეობასთან შეხვედრისას ბაქრაძემ განსაკუთრებული ყურადღება ქვეყანაში სოციალური კუთხით არსებულ პრობლემებზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ სახელმწიფო სრულ ეკონომიკურ სტაგნაციაშია.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ დავით ბაქრაძემ შეკრებილ მოსახლეობასთან საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში განაგრძო. ამ მომენტში მასთან ეტლს მიჯაჭვული მოქალაქე მივიდა და წინა ხელისუფლების პერიოდში ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევებზე შეკითხვები დაუსვა. მოქალაქის თქმით, ის ადეიშვილის პირადი პატიმარი იყო და შეურაცხმყოფელია, როცა მერაბიშვილი და ადეიშვილი პოლიტპატიმრებს უწოდებენ, ხოლო სააკაშვილს — პოლიტიკური ნიშნით დევნილს.




## ასე გავიმარჯვებთ... ასე ვხოცავდით

„მომბეზრდა ჩემ შესახებ სხვები რომ ლაპარაკობენ და გადავწყვიტე, ყველაფერი თავად მოვყვე. ალექსანდრე კრასოვიცკთან ერთად, ვლადიმირ ფედორინის რედაქტორობით ვამზადებ წიგნს და ვჩქარობ, მალე დავასრულო, რათა 18 სექტემბერს ლვოვის წიგნის ბაზრობისთვის მოესწროს მისი გამოცემა. ვზივარ და ბოლო თავებს ვწერ. რუსულ-უკრაინული და ქართული ვარიანტები ერთი თვის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით გამოვა. წიგნს სათაურად „ასე გავიმარჯვებთ!“ ჰქვია“, — წერს **მიხეილ სააკაშვილი** სოციალურ ქსელში.

ჩვენ ექსკლუზიურად მოვიპოვეთ სააკაშვილის წიგნის რამდენიმე თავი და ამონარიდებს შემოგთავაზებთ:

„ამ მტერებს ვილაც შემოაკვდათ ოქროყანაში. რად უნდა მაგას შემოკვდომა, მოკალი პირდაპირ, ჩაუდე იარაღი და დაარქვი ყაჩაღი. ვერა რა, ვერ ვასწავლე. ასე შემოაკვდათ თეთრაძეც, გაუვარდათ რობაქიძეზე... არა რა, ტრენინგები სჭირდებათ, ტრენინგები...

რომ დავბრუნდები, გაგრძელება იქნება. აბა, ერთ ტომზე რა გამაჩერებს, ერთ ქვეყანაში ვერ გავჩერდი და...

## ცოცხი ჯობია თუ უგზოობა?

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი სანდრა რულოვსი ხელისუფლებას მოსახლეობაზე ზეწოლაში ადანაშაულებს. როგორც რულოვსმა სოფელ გრიგოლიშში წინასაარჩევნო შეხვედრაზე ჟურნალისტებს განუცხადა, გუშინ გვიან ღამით სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებმა სოფლის მცხოვრებნი გააფრთხილეს, რომ, თუ სანდრა რულოვსთან შეხვედრაზე მივიდოდნენ, სოფელში დაწყებული გზის მშენებლობა შეჩერდებოდა.**

„თქვენ ხედავთ, რომ შეხვედრაზე ცოტა ხალხია მოსული, ეს არა იმიტომ, რომ აქ ცოტა ოჯახი ცხოვრობს, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები და მმართველი პარტიის წევრები მოვიდნენ წუხელ ამ სოფელში და უთხრეს მოსახლეობას, რომ, თუ შეხვედრაზე მოვიდოდნენ, გზას აღარ დააგებდნენ გრიგოლიშში. ასეთი სულელური მიდგომებით ძალიან დავიღალე უკვე. ხალხიც, მგონი, მიხვდა, რომ მსგავსი მიდგომებით ვერაფერს მიაღწევენ“, — განაცხადა რულოვსმა.

კარგი რა, ქალბატონო სანდრა, ის ხომ არ უთქვამთ, ნაციონალებთან შეხვედრაზე ვინც არ მოვა, წამალს ან იარაღს ჩავუდებთ, დავიჭერთ, ცოცხით გავაუპატიურებთ და მერე ამ მასალებს სპეციალურ კასრებში სამეგრელოს ტყეებში შევინახავთო?!

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ ვამბობ, რომ ამ ადამიანებს — ოქრიაშვილს, ოდიშარიას, ენუქიძეს — ჩამოვართვათ ბიზნესი, პირიქით — მივცეთ თავისუფლება, უბრალოდ, ნუ დანიშნავენ მაღალ თანამდებობებზე. რატომ შეიქმნა იმის აუცილებლობა, რომ ეს ადამიანები „ქართულმა ოცნებამ" წარადგინოს მაჟორიტარებად? — აი ეს ამიხსნას ვინმემ. სწორედ ამ მიზეზების გამო მივანიჭებდი ბიძინა ივანიშვილს 2016 წლის „მისტერ უზნეოს" ტიტულს".**

# ბაკურ სვანიძე: მაჟორიტარული სისტემა კი არ უნდა გაუქმდეს, უნდა გაძლიერდეს

**საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდა და ქართველი საზოგადოების ყურადღება ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენაზეა გადატანილი. არჩევნებში მრავალი პარტია მონაწილეობს; გვყავს მაჟორიტარები, რომლებიც ოქროს კოშკებსა და თაფლის მდინარეებს ჰპირდებიან მოსახლეობას, მაგრამ არიან გამონაკლისებიც, რომლებიც ცრუ დაპირებებს არ იძლევიან. დეპუტატობის ასეთი კანდიდატია ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი — ჟურნალისტი და იუმორისტი, ისნის რაიონის მერვე საარჩევნო ოლქში დეპუტატობის დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატი ბაკურ სვანიძე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გვესაუბრება.**



**— ბატონო ბაკურ, როგორც ვიცი, მაჟორიტარ დეპუტატად იყრით კენჭს. რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?**

— დიახ, მაჟორიტარად ვიყრი კენჭს ისნის რაიონის მერვე საარჩევნო ოლქში — ეს არის ვაზისუბანი-მერვე ლეგიონი და ვარკეთილის ნაწილი. ეს იყო **კახა ძაგანიას**, პარტია „მემარცხენე ალიანსის" ლიდერის ინიციატივა. სწორედ მან დამირეკა მოულოდნელად და შემომთავაზა, ჩვენ წარგადგენთ მაჟორიტარადო. პარტიაში გაწევრებას არ მთხოვენ, ანუ პარტიის წევრი არ ვიქნები. როგორც კახა ძაგანიამ მითხრა, ჩემი ფეისბუქპოსტებიდან და საზოგადოებრივი აქტივობიდან გამომდინარე გაუჩნდა ეს სურვილი. არ მეკისრება არანაირი პარტიული პასუხისმგებლობა, არც ახლა და არც პარლამენტში შესვლის შემდეგ. პარტიამ მომიმზადა ყველა დოკუმენტი, რომლებიც საჭირო იყო ცესკოში წარსადგენად, შესაბამისად, ფონდის დაარსება არ დამჭირვებია. **კენჭს ვიყრი პარტიის ნომრით — ეს არის № 25.** ჩემი კანდიდატურის დასახელებამ ვაზისუბანში სერიოზულად შეაფუცხუნა ვიღაცები. ეს, ძირითადად, ეხება „ქართულ ოცნებასა" და „ნაციონალურ მოძრაობას", მათ ბანაკებს სერიოზული შეშფოთება ეტყობა. ისე, პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ **ბევრ ხმას წავართმევ „ქართულ ოცნებასაც" და „ნაციონალურ მოძრაობასაც", მიუხედავად იმისა, რომ ზომბირებული ამომრჩეველი ჰყავთ.** მე ის ადამიანები დამიჭერენ მხარს, რომლებიც საერთოდ არ აპირებდნენ არჩევნებში მონაწილეობს, და პლუს მათ უფრო დაფიქრებული ამომრჩეველი, რომელიც, ალბათ, პარტიალ სიაში 41-ს შემოხაზავს, ხოლო 25-ს — მაჟორიტარების სიაში. საკანონმდებლო ორგანოში მათ მიერ შეშვებულ ამ 41-ებს კონტროლი სჭირდებათ, შესაბამისად, მე ეს კონტროლის ფუნქცია უფრო შემეფერება პარლამენტში.

**— ძალიან აქტიური ხართ სოციალურ ქსელში. ერთ-ერთ პოსტში წერთ: „თითქმის ყველა უბანში, სადაც კი გავიარე, 5-ების და 41-ების პლაკატები თითქმის სულ ჩამოხეულია, მიუხედავად იმისა, რომელი მაჟორიტარის ფოტოა პლაკატზე. ეს არ არის „კონკურენტების" მიერ ორგანიზებულად ჩამოხეული პლაკატები. იმდენად სპონტანურად და უსისტემოდ არის დაფხრეწილი, რომ ეს აშკარად სახალხო პროტესტზე მიანიშნებს!"**

**მხოლოდ ჩამოხეული პლაკატები გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? და ასევე წერთ ივანიშვილზე და ამბობთ რომ, „ულაპარაკოდ მივანიჭებდი ბიძინა ივანიშვილს „მისტერ უზნეო 2016"-ის ტიტულს". რატომ მიანიჭებდით?**

— რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩამოხეული პლაკატებით ამ დასკვნას ვერ გამოიტან, ეს არის სახალხო პროტესტის ერთ-ერთი ნიშანი. „ქართულმა ოცნებამ" და „ნაციონალურმა მოძრაობამ" ხალხი დაღალა, უკვე ეზიზღებათ ეს ორი პარტია. ხშირად მეკითხებიან — რას ჰპირდები ამომრჩეველსო? რას დავპირდე? ცრუ დაპირებებით ვერ გავაბრუებ საზოგადოებას! **დროა, ქართველი საზოგადოება ამაღლდეს იმ დონემდე, რომ აღარ დაუჯეროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც „ბუს კვერცხებს" ჰპირდებიან ხალხს.**

**«დროა, ქართველი საზოგადოება ამაღლდეს იმ დონემდე, რომ აღარ დაუჯეროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებიც «ბუს კვერცხებს» ჰპირდებიან»**

„მე ამირჩიეთ მაჟორიტარად და, ბუჩქი რომ არის მოგლეჯილი სკვერში, იმ ბუჩქს ჩავრგავ, იქ ასფალტს დავაგებ, სადარბაზოს წინ ბეტონს დავაგებ" და მსგავსი რაღაცები. **იმისთვის შეგყავს ადამიანი პარლამენტში, რომ გზა დაგიგოს? ამას თვითმმართველი ქალაქები აკეთებენ. თბილისი არის თვითმმართველი ქალაქი, აქვს მერია, გამგეობები. ეს მათი საქმეა, პარლამენტარის საქმე სკვერებში ბუჩქების დარგვა არ არის. ჩვენ უნდა გამოვიდეთ ამ ასფალტების და სკვერების ეპოქიდან და ასეთ წვრილმან სისულელეებზე აღარ წამოვეგოთ.** არ ვაპირებ აფერისტულ საარჩევნო კამპანიას — პარლამენტში შესასვლელად სისულელეების ლაპარაკსა და ცრუ დაპირებების გაცემას. „ქართული ოცნება" გაიძახის, აღარ არის დრო ლანძღვისა და შურისძიებისო, მერე კი იღებენ ფილმ „ჰეროკრატიას". თუ ერთმანეთის ლანძღვის დრო აღარ არის, თუ ერთმანეთს ძველი ცოდვები აღარ უნდა გავახსენოთ, მაშინ რატომ იღებ ამ „ჰეროკრატიას" და ეთერში რატომ უშვებ? ეს ყველაფერი არის უზნეობის პიკი. არ მესმის, კიდევ რატომ ნიშნავენ „ნაციონალური მოძრაობის" წევრებს მაღალ თანამდებობებზე. არ შეიძლება, ვიღაცის პირადი განწყობა გახდეს საფუძველი ამა თუ იმ ადამიანის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის. ამის ნათელი მაგალითია **ნინო შუბლაძე**, რომელზეც **ბიძინა ივანიშვილი** ამბობდა, ასეთი არ უნდა იყოს ჟურნალისტიო, მაგრამ დღეს შუბლაძე ჯანდაცვის სამინისტროს დეპარტამენტს მართავს. 2012 წელს ივანიშვილი კახა ოქრიაშვილზე ამბობდა, მაფიოზიაო, დღეს კი ოქრიაშვილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია. ან ავიღოთ **ოდიშარია, ენუქიძე,** რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობას" აფინანსებდნენ. არ ვამბობ, რომ ამ ადამიანებს — ოქრიაშვილს, ოდიშარიას, ენუქიძეს — ჩამოვართვათ ბიზნესი, პირიქით — მივცეთ თავისუფლება, უბრალოდ, ნუ დანიშნავენ მაღალ თანამდებობებზე. **რატომ შეიქმნა იმის აუცილებლობა, რომ ეს ადამიანები „ქართულმა ოცნებამ" წარადგინოს მაჟორიტარებად? — აი ეს ამიხსნას ვინმემ. სწორედ ამ მიზეზების გამო მივანიჭებდი ბიძინა ივანიშვილს 2016 წლის „მისტერ უზნეოს" ტიტულს.**

**— როგორ შეაფასებთ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურს?**

— **საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი არ აქვს.** როცა ქვეყანას გარედან უსაზღვრავენ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ამას საგარეო-პოლიტიკური კურსი არ ჰქვია. მე ხშირად დამიწერია და მითქვამს, რომ რუსეთს ხაზი არ უნდა გადავუსვათ და ამ ქვეყანასთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, შესაძლოა, ნატოზე უარის თქმის ფასადაც კი. ასე პრიმიტიულად ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსზე მსჯელობა არ შეიძლება. დღეს საგარეო პოლიტიკა არ გვაქვს, გამომდინარე იქიდან, რომ სერიოზულად არასდროს გვიმსჯელია ამ საკითხზე. ერთს რუსეთი უნდა, მეორეს — ნატო. არ უნდა იყოს არც ერთი აზრი აკრძალული, არც ერთი მიმართულება. **გამოვარდებიან რესპუბლიკელები „ნატოს" ძახილით, მაგრამ რატომ ნატო, რისთვის ნატო, ვერ გვეუბნებიან. გამოვარდება ვიღაც მეორე ოდიოზური ფიგურა „პუტინის" ძახილით, ისიც ვერ გვეუბნება, რატომ პუტინი. თუმცა, როდესაც საქმე ქვეყანას და მის მომავალს ეხება, ჩექმასაც ავლოკავ — რუსულსაც, მონღოლურსაც, ეგვიპტურსაც და ყურებზეც დავდგები.**

**— „იანდექს ტაქსის" შემოსვლამ საქართველოში მოსახლეობა გააღიზიანა, თქვენ თუ ხედავთ საფრთხეს „იანდექს ტაქსის" საქართველოში მოძრაობით?**

— **„იანდექს ტაქსის" გაპროტესტება — ეს არის ტუტუცური მეწვრილმანეობა. თუ „იანდექს ტაქსიზე" ვამბობთ უარს, უნდა გამოვთქვათ გლობალური პროტესტი ყველაფერი რუსულის მიმართ.** მაგრამ ჯერ დავფიქრდეთ, გვაძლევს კი ხელს ეს გლობალური პროტესტი? „იანდექს ტაქსის" რომ აპროტესტებ და სხვა ძალიან ბევრ რუსულ რამეს იყენებ, არასწორია. ჩემი აზრით, საქართველოს ასეთი ტიპის პროტესტები ხეირს არ მოუტანს, მაგრამ ტაქსი გააპროტესტო და ელექტროენერგია არ გააპროტესტო, „იუბილეინოე პეჩენიე" არ გააპროტესტო, გამოდის, შერჩევითი პროტესტია და კიდევ უფრო გაუგებარია. ტაქსის მუშაობის გაპროტესტება არანაირი შედეგის მომცემი არ არის, ამას ჰქვია მატრაკვეცობა. თუ ვინმე დამისაბუთებს, რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ეს ტაქსი, მაშინ განვაგრძოთ პროტესტი.

**«გამოვარდებიან რესპუბლიკელები «ნატოს» ძახილით, მაგრამ რატომ ნატო, რისთვის ნატო, ვერ გვეუბნებიან. გამოვარდება ვიღაც მეორე ოდიოზური ფიგურა «პუტინის» ძახილით, ისიც ვერ გვეუბნება, რატომ პუტინი»**

**— ამბობენ, რომ სამეგრელოში დიდი მხარდაჭერა აქვს „ნაციონალურ მოძრაობას". თქვენი აზრით, რატომ?**

— ასეთი მხარდამჭერები 15-20%-ია და ყოველთვის არსებობს, მაგრამ არა მგონია, სამეგრელოში „ნაციონალურ მოძრაობას" დიდი მხარდაჭერა ჰქონდეს — ეს უფრო მითია, თუ მართლა ასეა, ეს იმის ბრალია, რომ „ქართულ ოცნებას" სამეგრელოში ძალიან ბევრი შეცდომა აქვს დაშვებული, „ქართულმა ოცნებამ" 2012 წელსაც ბევრი შეცდომა დაუშვა სამეგრელოში და დამარცხდა არჩევნებში.

**— როგორ ფიქრობთ, მაღალი აქტივობა იქნება არჩევნებში?**

**— არ ველოდები მაღალ აქტივობას, „ქართული ოცნების" უპასუხისმგებლობის, უნიათობის, უზნეობის ყველაზე კატასტროფული შედეგი შეიძლება იყოს არჩევნებში დაბალი აქტივობა.** იქნებ რამენაირად საკუთარ თავზე მაღლა ახტეს ქართველი საზოგადოება და მივიდეს არჩევნებზე. ამ არჩევნებში ელექტორატის დაბალი აქტივობა კატასტროფა იქნება. ადამიანებო, **იქნებ გამოვიჩინოთ მოქალაქეობრივი ვალი, გადავაბიჯოთ საკუთარ თავს და მივიდეთ არჩევნებზე. ხალხო, ძალიან სამართლიანია თქვენი იმედგაცრუება ხელისუფლებით და უმადური, ხალხი კი არა, ბიძინა ივანაიშვილია.** მე არ დავიწყებ ცრუ დაპირებების გაცემას, პარლამენტში ვიტყვი სიმართლეს, არავის არც ერთ სიტყვას არ შევარჩენ უზნეოს, უტიფარსა და არასწორს — აი ამას გპირდებით. **2020 წელს გვემუქრება კატასტროფა — სურთ, მაჟორიტარული სისტემა გააუქმონ, ეს კი მოიტანს ნგრევას. მაჟორიტარული სისტემა კი არ უნდა გაუქმდეს, უნდა გაძლიერდეს. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ხალხს: ნუ დაწვრილმანდებით ბუჩქებზე, ასფალტზე, ცოტა გლობალურად იფიქრეთ. მე, პირადად, პირობას ვიძლევი, თუ ვაზისუბნელები ამირჩევენ, იამაყებენ, თავიანთი წარმომადგენლის პარლამენტში ყოფნით.**

ესაუბრა **ნანა ფოფხაძე**

# ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამერიკას 62 კაცის სიკვდილი «შეეშალა»



**ამერიკის შეერთებული შტატების სარდლობამ ოფიციალურად მოიხადა ბოდიში იმის, გამო რომ აშშ-ის ავიაციამ შეცდომით დაბომბა სირიის ერთ-ერთი ობიექტი, შედეგად 62 სირიელი ჯარისკაცი მოკვდა.**

„ბოდიშს ვუხდით დაზარალებული ჯარისკაცების ოჯახის წევრებს. ახლა იმის გარკვევას ვცდილობთ, ვის გამო მოხდა შეცდომა“, — ნათქვამია განცხადებაში.

**ასეთ შემთხვევაში ნოდარ დუმბაძე იტყოდა: „ჯარისკაცები დაზარალებულები არ არიან, ისინი მოკვდნენ“.**



## თხილი, სანდრა და ოთო

**„თხილი ეს არის პრიორიტეტი და ჩემ მიერ ხელშეწყობილი დარგი. ეს არის დარგი, რომელიც არის პიროვნულად ჩემი პრიორიტეტი, ეს არის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტი და, რა თქმა უნდა, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ თითოეული გლეხის პრობლემა მოგვარდეს, ვინაიდან ჩვენი ხელისუფლება არის ის ხელისუფლება, რომელმაც სოფლის მეურნეობა აალორძინა და ეს პროცესი არის შეუქცევადი“, — განაცხადა სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა და ამჟამად „ქართული ოცნების“ მაჟორიტარმა კანდიდატმა ოთარ დანელიამ.**

**„ჰილარი კლინტონის ძმები აქებდნენ სამეგრელოში ჩვენს თხილს, ასევე, ტრამპი, როცა ჩამოდის, იმიტომ, რომ ისიც ჩვენი მეგობარია, თუ გახდება პრეზიდენტი და ჩამოვა, ისიც აუცილებლად გასინჯავს ამ უნიკალურ და საოცარ პროდუქტს. დავდიოდი თხილის სატეხის საამქროში და მართლა გული მტკიოდა, როგორი დამპალი, პატარა და გაფუჭებული თხილი იყო“,** — ეს კი ყოფილმა პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა განაცხადა.

**ქალბატონო სანდრა, ტრამპი კი გასინჯავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიშამ ნახევარ საქართველოს კბილები დააძრო და აღარ გაუკეთა, ჩვენ ვერ ვსინჯავთ და ტრამპს ეგებ თხილის სატეხებიც დავაბაროთ.**

**რაც შეეხება დანელიას, ბატონო ოთარ, თუ ხელისუფლებაში დარჩებით, საქართველოს ჰიმნი შეცვალეთ და „განათებული მთა-ბარის“ ნაცვლად ვიმღეროთ „განათებული თხილნარი“. რითმაში კი ჩაჯდება და დანარჩენი დაიკიდეთ.**

**P.S. გამოტყდით — უკვე ხომ მაგრად გკიდიათ?!**

## გარდამავალი ანზორი




**არის ასეთი კაცი, ანზორ ბოლქვაძე. 2012-ში ხულოს რაიონში ბატონი ანზორი „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით იყრიდა კენჭს, ახლა კი იმავე ღობეებსა თუ ბოძებზე ისევ ბოლქვაძის პლაკატი ფრიალებს, ოღონდ ამჯერად, როგორც „ქართული ოცნების“ კანდიდატის.**

როცა **ლევან ვარშალომიძემ** ერთ-ერთ შეხვედრაზე ბოლქვაძეს ჰკიდა თვალი და ქეჩოში წაავლო ხელი, მერე კი ჰკითხა, — რაფერ ხარ თუ იციო, ტელეკამერებმა ბოლქვაძის პასუხი ვერ გადაიღეს და...

„რაფერ ვარ და თიხის ფიალასავით, ალავერდივით გადავდივარ ხელიდან ხელშიო“, — უთქვამს ანზორს.

**ბატონო ანზორ, ხელიდან ხელში ჩემი მეზობელი სვეტაც გადადის, მაგრამ, თიხის ფიალას კი არა, წაკლას ეძახიან უბანში.**

## სააკაშვილის აღმოჩენა — ავაქოვი ქართველია





**უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა, არსენ ავაქოვმა ერთ-ერთ იუმორისტულ შოუში სტუმრობისას განაცხადა, უკრაინაში ქართულ-სომხური რესტორანი უნდა გაკეთდეს, რომელსაც „ბე-ბე-ბე“ ერქმევა და იქ შესულ კლიენტს კართან ერთი ჭიქა წყალი უნდა მიაწოდონ სიმბოლურადო.**

ამით ავაქოვმა ხაზი გაუსვა იმ ჩხუბს, რომელიც უკრაინის მთავრობის სხდომაზე ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილთან მოუვიდა, რომლის შემდეგაც შს მინისტრმა მიშას ჭიქით წყალი შეასხა.

**წაიკითხა ავაქოვის განცხადება სააკაშვილმა და ჩაიჩურჩულა: „ხედავთ, ავაქოვი ქართველი ყოფილა, თორემ ქართულ-სომხურ რესტორანს რატომ იტყოდა?!“**



## ბიძინას 2012-შიც შეეშალა

**რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა ბიძინა ივანიშვილის განცხადებაზე საინტერესო კომენტარი გააკეთა.**

„ის თავისას ამბობს, მე — ჩემსას. ვინაა ჩვენ შორის მართალი, ამის გაგება ძნელია. მე შემიძლია დედა დავიფიცო, ბიძინას შეუძლია მილიარდები დაიფიცოს. რომელს დაგვიჯერებთ, არ ვიცი, მაგრამ მე ნამდვილად მახსოვს ეს ამბავი. მან ისიც თქვა, ჩოჩელი ენუქიძეში შემეშალაო, შემდეგ რუსთაველი ბარათაშვილში შეეშალა და უსუფაშვილი — ღარიბაშვილში“, — განაცხადა **ლევან ბერძენიშვილმა.**

**მართალი ხართ, ბატონო ლევან, ბიძინას ყველაზე ძალიან 2012-ში შეეშალა — რესპუბლიკელები საქართველოს პატრიოტები ეგონა.**

## «გოლოდომორი» მიშას შესრულებით



**ოდესის ოლქის ქალაქ ჩერნომორსკში უცნაური შემთხვევა მოხდა — დაუდგენელი პირები სუპერმარკეტში შეიჭრნენ, იქიდან თანამშრომლები გამოყარეს და მაღაზიის ტერიტორია დაიკავეს.** პოლიციამ მოლაპარაკებები დაიწყო, მაგრამ სუპერმარკეტიდან ხმა არავინ გასცა. პოლიცია შტურმისთვის მოემზადა, მარკეტში გაზი გაუშვეს, შემდეგ კი შტურმით აიღეს, მაგრამ იქ აღარავინ დახვდათ. საინტერესო კი ის იყო, რომ თავდამსხმელებმა ნავაჭრ თანხას ხელი არ მოჰკიდეს, მათ, უბრალოდ, პროდუქტები შეჭამეს და მიიმალნენ. **„როგორც იქნა, აქაც მოვაშიე ხალხს“, — კმაყოფილებით მოიფშვნიტა ხელები ოდესის გუბერნატორმა.**

## შეთანხმებული სანდრა

**მიშა სააკაშვილის ცოლი სანდრა-ელისაბედ რულოვსი ზუგდიდში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატია. ქალბატონმა სანდრამ ცოტა მეგრული იცის, ცოტა ქართული, ცოტაც სხვა რამ და იმედი აქვს, რომ გაიმარჯვებს. ვერ გაიმარჯვებს და სერგო რატიანმა იკითხოს, სანდრას გამო მეთერთმეტე რომ არის სიაში, თორემ სააკაშვილის პოლიტიკური ქვრივი კი არის ბაქრაძის ქვემოთ.**

მოკლედ, ერთ-ერთ ეთერში გასვლის წინ ქალბატონი სანდრა ჟურნალისტს კითხვებს უთანხმებს (თუ პირიქით), ანუ თანხმდებიან, იმან რა უნდა ჰკითხოს, ამან რა უნდა უპასუხოს...

**„რა გიკვირთ? რეგიონული ტელევიზია კი არა, ცენტრალური ტელევიზიები მითანხმებდნენ საეთერო ბადეს და იმასაც კი მე ვგეგმავდი, ვის როდის უნდა გაეცინა ან არ გაეცინა. ატეხეთ ახლა ერთი ამბავი, დაგავიწყდათ ხომ?!“ — უკრაინიდან შემოუთვლია ოდესისა და საქართველოს დამაქცევარს.**

მოამზადა გიორგი გელაშვილმა

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ოთხი წლით მიძინებული მახსოვრობა თუ განსჯის უნარი მხოლოდ ახლა გაუაქტიურდათ ყოფილ პარტნიორებს და, ერთი მხრივ, „ოცნებიდან“ წასულ-გაშვებული პოლიტიკური სუბიექტების ლიდერებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის მთავარ მეოცნებეს მხოლოდ ახლაღა ეცათ იმ ნაგვის სუნი, რომელშიც მთელი ეს ოთხი წელიწადი ამყოფეს (თურმე!) საკუთარი თავიცა და მთელი ქვეყანაც.**

# ოთხი წლის შემდეგ დასაწერი წერილი, ანუ ბიძინური შეცდომების კორიანტელი

**საოცარ სიმაღლეებს მიაღწია ამ წინასაარჩევნოდ ქართული პოლიტიკური სპექტრის, უფრო ზუსტად, ქართველი პოლიტიკური ლიდერების უტიფრობის დონემ. ჯერ მხოლოდ ის რად ღირს, რომ ირაკლი ალასანია მოგვიწოდებს, არჩევანი გავაკეთოთ მის მიერ ნაკეთები საქმეების მიხედვით, მაშინ, როდესაც ასეთი ფენომენი — „ალასანიას გაკეთებული საქმეები“ ბუნებაში არ არსებობს. არანაკლებ საინტერესოა, რომ რესპუბლიკელი ხათუნა სამნიძე გველაპარაკება ილია ჭავჭავაძის იდეალებზე, ანუ, ფაქტობრივად, ენაზე, მამულზე და, რაც ყველაზე გასაკვირია, სარწმუნოებაზე; და მისი კოლეგებიც საარჩევნო კამპანიას ზეპატრიოტული მოწოდებებით აწარმოებენ...**




თითქოს ვეღარაფერს წარმოიდგენ ამაზე უფრო წარმოუდგენელს ადამიანი, მაგრამ უცებ ეთერიდან თვალში გვეჩხირება „თბილისურად მობლატავე“ მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი ბანი. დიახ!

„მე, ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებით, თბილისში გავიზარდე და სასამართლოში სარჩელის შეტანა და ეგეთი რაღაცები თბილისელებისთვის მიუღებელია. ჩვენ თბილისში ცოტა სხვანაირად ვთხოვთ ხოლმე პასუხს...“ — ეს ჩემი ყურით რომ არ მომესმინა, არავის არანაირ „მაზიანზე“ არ დავუჯერებდი, რომ მოყვანილი ფრაზა და ციტატა სწორედ **პაატა ბურჭულაძეს** ეკუთვნის.

საზოგადოდ, მიმდინარე წინასაარჩევნო პერიოდი გამოირჩევა სწორედ **ბიძინა ივანიშვილის** ყოფილი პოლიტიკური პარტნიორების მიერ მილიარდერი პოლიტიკოსის განუკითხავი ლანძღვით და პირიქით.

**ოთხი წლით მიძინებული მახსოვრობა თუ განსჯის უნარი მხოლოდ ახლა გაუაქტიურდათ ყოფილ პარტნიორებს და, ერთი მხრივ, „ოცნებიდან“ წასულ-გაშვებული პოლიტიკური სუბიექტების ლიდერებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის მთავარ მეოცნებეს მხოლოდ ახლაღა ეცათ იმ ნაგვის სუნი, რომელშიც მთელი ეს ოთხი წელიწადი ამყოფეს (თურმე!) საკუთარი თავიცა და მთელი ქვეყანაც.**

მაგალითად, **ბიძინა ივანიშვილს** ახლაღა გაახსენდა, რომ **გუბაზ სანიკიძე** პოლიტიკაში მილიონის საშოვნელად მოდიოდა, **ირაკლი ალასანია** საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენის მქონე არაგუნდური მოთამაშეა, ხოლო **უსუფაშვილზე** არამია პარლამენტის თავმჯდომარეობა და თურმე მას კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების განსახორციელებლად თითი თითზე არ დაუკარებია.

თავის მხრივ, ყოფილ პარტნიორებს ახლაღა ეჩვენებათ ბიძინა ივანიშვილი საკუთარი აზრების სხვებისთვის თავზე მომხვევ, პოლიტიკურად უვიც, ჭორებისა და ხმების ამყოლ, უსამართლო, თავისნათქვამა და ერის მოძღვრის ფუნქციის საკუთარ თავზე უსაფუძვლოდ ამღებ, ოდიოზურ პერსონად.

ასეთ შემთხვევაში ბრძენი ხალხი იტყვის ხოლმე: კისერიც უტეხიათ და კინჩხიც ზედ მიუყოლებიათ; ისემც უქნიათ, დაუხოციათ ერთმანეთიო. ამ გამოთქმას დაეთანხმებოდა კაცი, ყოფილ პარტნიორთა ასეთი უტიფარი ჯახი მხოლოდ პირადად მათ პერსონებსა თუ მათდამი დაქვემდებარებულ პოლიტიკურ ძალებს რომ შეეხებოდეს.

საქმე ის არის, რომ თითოეული მათგანი თავის თავზე იბრალებს იმას, რაც ასე თუ ისე სასიკეთო გაკეთდა ქვეყნისთვის და პირიქით, ერთმანეთს უკიჟინებენ იმას, რაც ხალხისთვის დღემდე მიუღებელია და რაც საზოგადოებას დღემდე ვერ უპატიებია „ქართული ოცნების“ კოალიციისთვის.

რაღა თქმა უნდა, ამ კუთხით მთავარი თემებია კოჰაბიტაცია და ამ კოჰაბიტაციის სიმბოლოდ ქცეული მოსამართლე **მურუსიძე**. მკითხველმა, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცის, რასაც ვგულისხმობ, მაგრამ საკითხში მეტი სიცხადის შესატანად და პოლიტიკოსთა უსირცხვილობის უფრო მკვეთრად ხაზგასასმელად, მოდი, მოვიტანოთ მართლაც „კლასიკად“ ასაღიარებელი მაგალითი ერთ-ერთი ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში გამართული დებატებიდან. ამ დებატებში მონაწილეობდნენ „ქართული ოცნების“ ყოფილი „დიადი“ პროკურორი **ლაშა ნაცვლიშვილი**, რომელიც ამჯერადაც ივანიშვილის გულმხურვალე მხარდამჭერად მოგვევლინა და **მანანა ნაჭყებია** — „ახალი მემარჯვენეებიდან“. ისინი პარლამენტში მოსახვედრად ხან ვის „მიეკოალიციებიან“ და ხან — ვის, მაგრამ, რადგან 2012 წელს ბიძინას მიერ „გაკრეფილ შუაში“ აღმოჩნდნენ, დღემდე ვერ ინელებენ ამას. და დებატების მესამე, ყველაზე საინტერესო მხარე **— ანი მიროტაძე** „ეროვნული ფორუმიდან“, ანუ იმ გაერთიანებიდან, რომელსაც ღმად ძინავს, როდესაც ფინანსური განცხრომის პერიოდი უდგას ხოლმე, მაგრამ მრისხანედ ილვიძებს, როდესაც ამ პოლიტიკური ძალის ფინანსურ უზრუნველობას სერიოზული საფრთხე შეექმნება.

## გადახედეთ «ქართული ოცნების» სიის პირველ ოცეულს, მკითხველო, და მითხარით — რა იცით ამ ადამიანების შესახებ, გარდა იმისა, რომ მათი უმეტესობა უბრალოდ ე.წ. ლიბერასტული მიმდინარეობის მიმდევარია და, სავარაუდოდ, დიდად არაფრით განსხვავდება იმავე რესპუბლიკელების თვალსაჩინო წარმომადგენლებისგან

სწორედ ასე მოხდა ახლაც — „ეროვნული ფორუმის“ კოალიციიდან გასვლა-გაშვებამ მათ უზრუნველ ცხოვრებას საფრთხე შეუქმნა და მრისხანე გამოღვიძებაც აშკარაა:

„ბატონო ლაშა! თქვენ ხელისუფლებაში ყოფნის დროს პროკურატურის მაღალი ჩინოსანი იყავით და უნდა დაგესაჯათ აუცილებლად და მკაცრად ის ადამიანები, რომლებიც 9 წლის განმავლობაში საქართველოში ამ უბედურებას ატრიალებდნენ. რატომ არ დასაჯეთ? ჩვენ მათ აუცილებლად დავსჯით, თუკი ხალხი აგვირჩევს და მოგვიყვანს ხელისუფლებაში!“ — აი, **ამ ფრაზას ისე უტიფრად ეუბნება ლაშა ნაცვლიშვილს ანი მიროტაძე, გეგონებათ, სახელისუფლო სიით პარლამენტში ჯდომის მთელი 4 წლის განმავლობაში გლანდები ჰქონდა დასიებული ნაციონალების დასჯისა და პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორების მოთხოვნით.**

კი, ბატონო, **პროკურატურის მაღალჩინოსან ნაცვლიშვილს უნდა დაესაჯა მანიაკობების ჩამდენი ნაციონალები და თანამდებობებზე დაწინაურების საშუალება არ უნდა მიეცა მათი მხარდამჭერებისთვის, მაგრამ, თუკი ის ამას არ აკეთებდა, რას აკეთებდა პარლამენტარი მიროტაძე?**

ნეტავ, ვინმეს თუ მაინც ახსოვს მისი თუნდაც ერთი მკაცრი გამოსვლა, რომ მას, როგორც პარლამენტარს, კატეგორიულად მოეთხოვოს შესაბამისი სტრუქტურებისგან ნაციონალების დასჯა, ხოლო თავისი თანაგუნდელებისთვის, ანუ სახელისუფლო გუნდისთვის მკაცრი პასუხი სხვადასხვა სფეროში ნაცების მხარდამჭერთა თანამდებობაზე დაწინაურების გამო?

დარწმუნებული ვარ, ასეთს ვერავინ ვერაფერს გაიხსენებს. საპირისპიროს, რა თქმა უნდა, კი. **მიროტაძეც და მისი მსგავსნიც აქტიურად მოგვიწოდებდნენ „მშვიდობის მტრედობისკენ“, ანუ იმისკენ, რომ „ჩვენ უნდა შევძლოთ, ერთად გავაგრძელოთ ცხოვრება“, „ჩვენ აღარ უნდა გავაგრძელოთ აგრესიის ენით საუბარი“, „ჩვენ აღარ გვინდა დაპირისპირება“ და მსგავსი ფრაზები მათგან ყოველთვის უხვად იბნეოდა.**

მხოლოდ ახლაღა, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა უარი თქვა ამდენი მუქთამჭამელის შენახვაზე, მათ **უცებ გაახსენდათ, რომ თურმე ნაციონალები დასასჯელები ყოფილან, ხოლო „მურუსიძეები“ — სამსახურიდან გასაშვებნი და არა დასაწინაურებელნი.**

კიდევ უფრო კომიკური იყო იმავე ლაშა ნაცვლიშვილის დაპირისპირება ამჯერად უკვე მანანა ნაჭყებიასთან. მოდი, მეტი ეფექტისთვის მათი დიალოგიდან ნაწყვეტი მოვიტანოთ.

**ლაშა ნაცვლიშვილი:** — მანანა, თქვენ, რომელიც ქუჩიდან ებრძოდით სააკაშვილს, ახლა არ გრცხვენიათ, რომ ერთ პოლიტიკურ ბლოკში ხართ ვაშაძისა და კუბლაშვილის გვერდით? ეს უხერხულობას არ გიქმნით?

**მანანა ნაჭყებია:** — არა, არ მიქმნის. თქვენ არ გიქმნით უხერხულობას, რომ თქვენი რიგები ყოფილი ნაციონალებით შეავსეთ? მარიკა ვერულაშვილის რომ მოიხსენიებთ თანაგუნდელად, ეს არ გიქმნით უხერხულობას?

**ლაშა ნაცვლიშვილი:** — არა, არ მიქმნის. რატომ უნდა მიქმნიდეს?

აი დიალოგი! აი კლასიკა! აი ნიმუში იმისა, რომ ადამიანს შეიძლება არასოდეს არაფერმა შეუქმნას უხერხულობა. არ უქმნით და რა ქნან?!

აი, ეს არის ყველაზე ნათელი სურათი იმისა, თუ რა ამაზრზენია დღეს ქართული პოლიტიკა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ეს საზიზღრობა ქართულ პოლიტიკაში, 4 წელიწადია, ტრიალებს. შეიძლება ვინმე შემომედავოს, — 4 კი არა, 30 წელიწადია, ამ დღეში ვართო, მაგრამ ამ კონკრეტულ საგაზეთ წერილში კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის მიერ ისედაც ამაზრზენ ქართულ პოლიტიკაში კიდევ უფრო ამაზრზენი „ბიძინური“ სტანდარტების ხაზგასმა მსურს.

ჯერ კიდევ **4 წლის წინათ ვამბობდი, რომ პოლიტიკურ სპექტრში არსებული ყველა ნაგვის მის მიერ მართვად კოალიციაში შეყვანის გზითა და მეთოდით ნორმალური სახელმწიფო ვერ აშენდებოდა და ბიძინა ივანიშვილის ეს უზნეო ჩანაფიქრი, საბოლოო ჯამში, ათმაგი უზნეობით დაუბრუნდებოდა ჩვენს ქვეყანასაც და თვით ივანიშვილსაც.**

აკი უბრუნდება კიდეც!

მავანი იტყვის, — არა უშავს, ახლა ხომ მაინც მოვიდა აზრზე ივანიშვილი, მოიშორა მთელი ეგ ნაგავი და „ქართული ოცნების“ სია, განსაკუთრებით მისი პირველი ოცეული, ახალი სახეებით დააკომპლექტაო.

კი, მაგრამ, ვინმემ იცით, საერთოდ, ვინ არიან ეს სახეები? **„ახალი სახე“, წესით, მხოლოდ „ახლობით“ არ უნდა ფასობდეს! ესა თუ ის სახე შეიძლება პოლიტიკოსთვის იყოს ახალი, მაგრამ მისი განვლილი ცხოვრება, მისი მსოფლმხედველობა, მისი საზოგადოებრივი აქტივობა, მისი პოზიცია ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის მიმართ საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი მაინც უნდა იყოს.**

აბა, **გადახედეთ „ქართული ოცნების“ სიის პირველ ოცეულს, მკითხველო, და მითხარით — რა იცით ამ ადამიანების შესახებ, გარდა იმისა, რომ მათი უმეტესო-** ▶

## უცებ გაახსენდათ, რომ თურმე ნაციონალები დასასჯელები ყოფილან, ხოლო «მურუსიძეები» — სამსახურიდან გასაშვებნი და არა დასაწინაურებელნი

**ჩანაწერში მკაფიოდ ისმის მიშას ხმა, რომ ის „ნაციონალურ მოძრაობას“, „გირჩს“, ვაშაძის „ახალ საქართველოსა“ და ბურჭულაძის „სახელმწიფოს ხალხისათვის“ ცალ-ცალკე არ აღიქვამს და ეს პარტიები მისთვის ერთი ოჯახია.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ბა, უბრალოდ, ე.წ. ლიბერასტული“ მიმდინარეობის მიმდევარია და, სავარაუდოდ, დიდად არაფრით განსხვავდება იმავე რესპუბლიკელების თვალსაჩინო წარმომადგენლებისგან.**

ძველი ნაგვის მოშორება და მისი ახალი ნაგვით ჩანაცვლება ვითომ გამართლებულია? უფრო მეტიც — მიუხედავად იმისა, რომ მე, პირადად, 2012 წლის „ქართული ოცნების“ სიის პირველ ოცეულსაც „ნაგავს“ ვუწოდებდი, მაშინ ის მაინც ვიცოდით ამ ხალხის შესახებ, რომ ისინი სააკაშვილის მმართველობის პერიოდში რეჟიმს ებრძოდნენ; ანუ მაშინდელი „გამსვლელი ოცეული“, შესაძლოა, არ ჯდებოდა ჩვენს პოლიტკურ თუ საზოგადოებრივ გემოვნებაში, მაგრამ მათ სააკაშვილის მანიაკიზმის წინაღმდეგ ბრძოლაში გარკვეული დამსახურება მაინც ჰქონდა და ამ ნიშნით მაინც იყვნენ შერჩეულნი და გაერთიანებულნი.

**ახლანდელი ოცეული რა ნიშნით შეარჩია ივანიშვილმა? რას აკეთებდა ეს ხალხი იმ ავადსახსენებლი 9 წლის განმავლობაში? რომელიმე მათგანის ბრძოლა სამართლიანობისთვის, რომელიმეს ხმამაღალი გამოსვლა, გაბედული პროტესტი ახსოვს საზოგადოებას?**

ხომ არ იყვნენ ისინი კონფორმისტულად განწყობილი სააკაშვილის რეჟიმის მიმართ, ხომ არ იყვნენ სადღაც ძვირად ღირებულ სასწავლებლებსა თუ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში მოყუჩებულნი და სულაც ფეხებზე ეკიდათ, რა დანაშაულებს სჩადიოდა სააკაშვილის რეჟიმი, იყვნენ გატრუნულნი და დღეს სხვათა ბრძოლის, სხვათა თავგანწირვის, სხვათა სისხლის, სხვათა ომის ფასად ხომ არ ზეიმობენ დაუმსახურებელ „გამარჯვებას“?

სამწუხაროდ, ასეა. სამწუხაროდ, 4 წლის შემდეგ ისევ მიწევს გამეორება: **უზნეო მეთოდებით წარმატებული სახელმწიფო ვერ აშენდება!**

სამწუხაროდ, ისევ ვამბობ უმარტივეს „წინასწარმეტყველებას“: **მომდევნო ოთხი წელიც „ბრძენ ბიძინას“ ისევ ისე მოუწევს საუბარი დღევანდელი გამსვლელი ოცეულის წევრებზე, როგორც საკუთარ „შეცდომებზე“, როგორც ახლა ალასანიას, სანიკიძის, უსუფაშვილის, მარგველაშვილისა და სხვათა შესახებ ლაპარაკობს.**

გათვლა, რომ თითქოს ისინი ისედაც „ლიდერები“ იყვნენ და ამიტომ ვერ დაიმორჩილა ივანიშვლმა, ხოლო ესენი არარაობები არიან და „დიდი ბიძინას“ ნების უსიტყვო შემსრულებლები იქნებიან, სრული სისულელე, გულუბრყვილობა და უზნეობაა.

როგორც კი „ფიგურებად“ იგრძნობენ თავს, მყისვე თავში აუვარდებათ და ზუსტად ისევე განაცხადებენ, „ივანიშვილის გარეშეც წარმოვადგენდით რაღაცას“-ო, როგორც დღეს ამას ის 0,5-პროცენტიანი პარტიები და მათი ლიდერები ამბობენ უტიფრად...

ასე რომ, გული მიგრძნობს, ეს წერილი არა ახლა, არამედ ასე, 4 წლის შემდეგ უნდა დამეწერა...

# როგორ ერთობიან მიშას ბიჭები

**საზოგადოების აღშფოთებასთან ერთად გაოცებაც გამოიწვია ამას წინათ გამოქვეყნებულმა აუდიოჩანაწერმა, რომელშიც „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის — ნიკა გვარამიასა და მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი ბანის — პაატა ბურჭულაძის სატელეფონო საუბარი იყო ჩაწერილი.**




აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ ეს ჩანაწერი პირდაპირ ადასტურებდა მსოფლიო ბანის თვალსა და ხელს შუა ადგილობრივი მნიშვნელობის ნაციონალად გარდაქმნას, თუმცა მეტ-ნაკლებად დაკვირვებული ამომრჩევლისთვის ეს აქამდეც ცხადზე ცხადი იყო.

აი, გაოცება კი უფრო იმან გამოიწვია, რომ ვინმე **ნიკა გვარამია** ასე აგდებულად, პატარა ბიჭივით ტუქსავდა მსოფლიო მნიშვნელობის ბანს და **პაატა ბურჭულაძეც**, თავის მხრივ, ილებდა ამ დატუქსვას, ემორჩილებოდა, კუთხეში დაყენებული დასჯილი ბავშვივით თავს იმართლებდა ყოფილი პროკურორის წინაშე.

სწორედ ამ ფაქტმა დააინტერესა ჩვენი არც ისე დაკვირვებული კორესპონდენტიც და, ბოლოს და ბოლოს, დააკვირდა კიდეც, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, რომ ამხელა კაცი-ბანი ასე კრძალვითა და ცახცახით ემორჩილებოდა ნაპროკურორალ „ტელევიზიონშიკს“.

ჩვენმა უკვე ძალიან დაკვირვებულმა კორესპონდენტმა ჩხრიკა, ჩხრიკა და მოიპოვა კიდევ ერთი ფარული სატელეფონო ჩანაწერი, სადაც **მიშა სააკაშვილი** ელაპარაკება და არიგებს ნიკა გვარამიას, პაატა ბურჭულაძესა და **გიორგი ვაშაძეს.**

**ამ ჩანაწერში მკაფიოდ ისმის მიშას ხმა, რომ ის „ნაციონალურ მოძრაობას“, „გირჩს“, ვაშაძის „ახალ საქართველოსა“ და ბურჭულაძის „სახელმწიფოს ხალხისათვის“ ცალ-ცალკე არ აღიქვამს და ეს პარტიები მისთვის ერთი ოჯახია.**

სწორედ ამ ჩანაწერში მოუწოდებს მიშა სააკაშვილი ამ ოთხ პოლიტიკურ სუბიექტს, რომ გაერთიანდნენ და ერთად იყვნენ ძმებივით. ეს, როგორც ვნახეთ, სამმა მათგანმა შეასრულა და გაერთიანდა, „ნაციონალური მოძრაობა“ კი, როგორც უფროსი და ჯიუტი ძმა, მაინც ცალკე დარჩა. ამან მიშა მიახვედრა, რომ ოჯახს დედაც სჭირდება გასაერთიანებლად და შესაკავშირებლად, ამიტომ დედის ფუნქცია ნიკა გვარამიას დაეკისრა.

ჩანაწერში გარკვევით ისმის სააკაშვილის ხმა: „ნიკა, ახლა იცოდე, ამ ოჯახში კაციც შენ ხარ და ქალიც. შენც ხომ იცი, ეგეთი რამეები მაგრად გიხდება და კარგად გამოგდის“.

ნიკა გვარამიამაც, როგორც ჩანს, ძალიან შეიფერა დაკისრებული მოვალეობა და შეუდგა ურჩი შვილების დატუქსვასა და დაშოშმინებას. მაგრამ, როგორც ჩანაწერიდან ირკვევა, ვაშაძეს ბავშვობიდანვე ცუღლუტი ხასიათი გამოჰყოლია და ბურჭულაძეს ეკინკლავება, — შენზე ჭკვიანი, ამ სფეროში შენზე უფრო გამოცდილი და შენზე მაგარი მენეჯერი ვარო.

როგორც ამბობენ, **როდესაც ბურჭულაძე ძალიან მოინდომებს ხოლმე, დედიკო ნიკას თავი უნიკალური მსოფლიო ბანით მოაწონოს, ვაშაძე მას იმ წამს გირჩით ულიტინებს გვერდებში და არ აძლევს სიმღერის საშუალებას.**

ეს მაშინ ხდება, როდესაც დედიკო ნიკა ბავშვებთან ერთად „სცენობანას“ თამაშობს და ცდილობს, გაარკვიოს, იმსახურებს თუ არა პაატა დიდ პოლიტიკურ სცენაზე გასვლას თუ სჯობს, საოპერო სცენაზე დარჩეს.

როგორც შევიტყვეთ, ვაშაძის ცუღლუტობები შეუმჩნეველი არ დარჩენია დედიკო ნიკას. იგი კულისებიდან ყველაფერს ადევნებს თვალს და მალე ვაშაძესაც ისე მკაცრად დატუქსავს, როგორც ბურჭულაძე დატუქსაო, — ვარაუდობს ჩვენი უკვე კარგად დაკვირვებული და გაკვირვებისგან თვალებგადმოცვენილი კორესპონდენტი.

**დიდუ აგირაია**

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №33 (362)

ნაწილი მეორე

# პაატას ზღაპრები

**განვაგრძობთ პატარა პაატას ცხოვრებისეული გზის მოყოლას, წინა კვირაში შევჩერდით ეპიზოდზე, როცა აგარაკზე, ხის ქვეშ მჯდომს თავზე მოულოდნელად გირჩი დაეცა.**

ახალგამოღვიძებული პაატა შეფრთხიალდა, ვითარცა ჩიტი გაურკვეველ მდგომარეობაში.

სად იყო და სად — არა, ხის ფუღუროდან პატარა ციყვი გამოცუნცულდა და პაატას ფეხებზე გადაურბინა. ცოტა შეეშინდა, ემანდ არ მიკბინოსო, მაგრამ ციყვმა მზერით აგრძნობინა, რომ საფრთხეს არ წარმოადგენდა. პაატაც მიენდო, თავზე ხელი გადაუსვა და შეეთამაშა. ციყვმა, — წამომყევი ჩემს მეგობრებს გაგაცნობო. ჩაჰკიდა ხელი ციყვს და გაუდგნენ გზას. ციყვმა უთხრა, აი ის გირჩი რომ დაგეცა თავზე, ეგეც წავიღოთ, გამოგვადგებაო. კარგიო, — უთხრა პაატამ. ბევრი იარეს თუ ცოტა, მიადგნენ ერთ მიტოვებულ შენობას, რომლიდანაც ხმაური გამოდიოდა. პაატა შეცბა, — ეს სად მოვედითო? ციყვმა მიუგო, — ნუ გეშინია, ჩემი მეგობრები არიან და მალე შენი მეგობრებიც გახდებიანო. შევიდნენ შენობაში, იქ ათასი სახეობის ცხოველი დახვდათ — დათვი, მგელი, ტურა, აფთარი, ვეფხვი, გარეული კატა, ირემი და ა.შ.

ციყვმა ხმამაღლა შესძახა მეგობრებს, — გაიცანით, დღეიდან ეს ჩვენი ახალი მეგობარი იქნებაო. ცხოველები დიდი აღტაცებით შეხვდნენ პაატას და ამის აღსანიშნავად მთელი ღამე ნადიმ-ღრეობა გამართეს. თბილისის ტყეში კი, სადაც პაატას მეგობრები ცხოვრობდნენ, დიდი შფოთი იყო.

სინდიოფალა და ჰიენა ბოლთას სცემდნენ, — პაატა აქამდე უნდა დაბრუნებულიყო და ჯერ კიდევ არ ჩანსო, გულს იმით იმშვიდებდნენ, რომ მალე მოვიდოდა, მაგრამ ის არ ჩანდა.

ამასობაში პაატა და მისი ახალი მეგობრები კარგად შეზარხოშდნენ. მოულოდნელად კარის ზღურბლთან გრძელკუდიანი მსუქანი მელა გამოჩნდა. მის დანახვაზე ყველა იქ მყოფი დადუმდა და თავი დახარა, დუმილით მიესალმა. ციყვმა პაატას გადაუჩურჩულა, — ეს ჩვენი ტყის ბელადია, 10 წელი მართავდა აქაურობას და ისევ დაბრუნება უნდა, ვერ იტანს, ტყის მმართველი ენოტი რომ არისო.

— აქა მშვიდობა! – მიესალმა გრძელკუდიანი მელა შეკრებილებს და ნელი ნაბიჯით შევიდა შენობაში.

— პაატა, შენ აქ საიდან მოხვედი? – ჰკითხა მელამ. ცხოველები დაიბნენ, უფრო სწორად, გაოცდნენ, რომ ისინი ერთმანეთს იცნობდნენ.

გადაეხვივნენ მელა და პაატა ერთმანეთს, დიდი სიყვარულით მოიკითხეს და განაგრძეს ნადიმ-ღრეობა. თბილისის ტყეში კი სინდიოფალა და ჰიენა კვლავ ელოდნენ პაატას, მაგრამ უშედეგოდ — ის არ ჩანდა და ლოდინში ჩაეძინათ.

მთელი ღამის ღრეობის შემდეგ ყველა ნაბახუსევზე იყო. პაატასა და მელას კი ნამეტანი სტკიოდა თავი, ამიტომ გადაწყვიტეს, ხაშზე გასულიყვნენ და ასე დაეღწიათ თავი ნაბახუსევისთვის.

— ჩვენ ცოტა ხნით გავალთ, და მალე მოვალთ,– თქვა მელამ და პაატასთან ერთად სახაშის გზას დაადგა. გზაში მელამ გამოჰკითხა პაატას, რას საქმიანობდა, როგორ ცხოვრობდა. პაატამაც ყველაფერი გულიდან ამოიღო და სათქმელი თქვა:

— რა გითხრა, ჩემო მელა, ძალიან გამიჭირდა, ტყის ბელადად მინდა მოსვლა და ფული აღარ მაქვს, ტყიდან ხალხი გამირბის, არადა, ყველაზე მეტად ახლა მინდა მხარში დგომა.

მელას ეს სიტყვები ენიშნა და ეშმაკურად ჩაიღიმა: — oო, ეგ არცთუ კარგი ამბავი დაგმართნია, ჩემო პაატა, ხომ იცი, ფულის გარეშე დღეს ვერაფერს გააწყობ.

— ვიცი, ჩემო მელა, ვიცი, ძალიან ცუდ დღეში ვარ. არ ვიცი, რა გზას დავადგე, – მიუგო პაატამ.

ამასობაში მელა გაჩერდა და პაატას უთხრა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**გრიგოლ ინგაძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არჩევნები**

**უახლესი ისტორიის გაკვეთილები იმაზე მიგვითითებს, რომ თუნდაც ყოფით დონეზე ეპიზოდურად კომერციული და ბიზნესურთიერთობების დაწყებას და მათ ეტაპობრივ, მზარდ განვითარებას, რომელიც პოლიტიკურ ენაზე დიალოგის დაწყებასაც ნიშნავს, ალტერნატივა არ აქვს.**

# საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წარუმატებელი მცდელობები

**ჩვენი მკითხველისთვის დღეს წარდგენილი პუბლიკაციის ავტორი დამოუკიდებელი საქართველოს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, პოლიტიკისა და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის სპიკერი ჯემალ გახოკიძეა. საარჩევნო ბლოკმა „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“ ბატონი ჯემალი გლდანის მე-20 საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარადგინა.**

„ბედნიერი ვარ, რომ არ მაქვს უფლება, დიდი შეცდომისა, რადგან მე პატარა ერის შვილი ვარ“, — ამბობს ებრაული სიბრძნე, რომელიც სრულად მიესადაგება საქართველოს წარსულსა და დღევანდელობას.

ჩვენს ისედაც პატარა ქვეყანას დაკარგული აქვს თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახით. საქართველოს ხელისუფლება, მისი სახელმწიფოებრივი იურისდიქცია ამ ორ განდგომილ რეგიონზე არ ვრცელდება.

გავიდა საუკუნის მეოთხედი. ამ ხნის განმავლობაში, კონფლიქტების მოწესრიგების თვალსაზრისით, გვქონდა რეალპოლიტიკაზე დაფუძნებული გარკვეული წინსვლა. ამასთანავე, გვქონდა მარცხი, შეცდომები, გამოუცდელობით გამოწვეული, დინების საწინააღმდეგო პოლიტიკური გადაწყვეტილებები და დანაშაულებრივი წინდაუხედაობაც, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ რუსეთთან ომში გადაიზარდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, სამხედრო კრახით დამთავრდა.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კონფლიქტების დარეგულირების რამდენიმე შედეგიანი პრეცედენტის ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მათი გადაწყვეტა მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით, მოლაპარაკებით, კომპრომისებით, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით არის შესაძლებელი. **უახლესი ისტორიის გაკვეთილები იმაზე მიგვითითებს, რომ თუნდაც ყოფით დონეზე ეპიზოდურად კომერციული და ბიზნესურთიერთობების დაწყებას და მათ ეტაპობრივად, მზარდ განვითარებას, რომელიც პოლიტიკურ ენაზე დიალოგის დაწყებასაც ნიშნავს, ალტერნატივა არ აქვს.**

უკეთესი ცხოვრებისკენ სწრაფვა იყო, არის და იქნება მცირე და დიდი ერების და, შესაბამისად, ქვეყნების მუდმივი საზრუნავი; აქედან გამომდინარე — ეროვნული ინტერესების შემადგენელიც. იგი პირდაპირ დაკავშირებულია არამხოლოდ თვითგადარჩენასთან, არამედ განვითარების მთავარი ფაქტორიცაა. თუ არ არის ასეთი მუდმივი მისწრაფება, მაშინ მცირენიც და დიდნიც თვითლიკვიდაციას აცხადებენ. მსგავსი ეტაპები ჩვენ უკვე გავიარეთ, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ სიტუაციასა და დროში. მათ შორის, ერთ-ერთი ე.წ. **ერგნეთის ბაზრობის** ფენომენი იყო. სწორედ ამით გვინდა დავიწყოთ.

## მშვიდობიანი ანკლავი

**პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ გაყინული კონფლიქტების პერიოდში ერგნეთის ბაზრობა, გარკვეულწილად, მშვიდობიანობის ანკლავი იყო. პრაგმატული რეალპოლიტიკა უთუოდ მოითხოვდა ამ ანკლავის გაფართოებისთვის ხელის შეწყობას, ყოველ შემთხვევაში, მისი თვითდინების შეუფერხებლობას. შეიძლება გადაჭარბებაში ჩაგვითვალონ, მაგრამ გვგონია, რომ ცხინვალსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემის გადაჭრის სხვა მშვიდობიან საშუალებათაგან „ერგნეთი“ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.**

ერგნეთის ბაზრობა, ნეგატიური მხარეების მიუხედავად, ქართველებისა და ოსების ურთიერთობის დათბობის ბუნებრივ ზონადაც ჩამოყალიბდა. აშკარად შეიმჩნეოდა, რომ არაფორმალურ სავაჭრო-ეკონომიკურ ზონას, სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ჩვენი თვალსაზრისით, ერგნეთის ბაზრობაზე არსებული ქაოსი საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს დაქვემდებარებულ მართვად პროცესად უნდა გადაქცეულიყო. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, უფრო ზუსტად, სახეზე გვქონდა პოლიტიკისა და კანონის



ჯემალ გახოკიძე

**ოფიციალურ დონეზე საერთაშორისო ორგანიზაციების — გაეროსა და ეუთოს, აგრეთვე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რუსეთის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა სხვადასხვა დონის მოლაპარაკებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისთვის**

დაპირისპირება. **ხელისუფლებამ მაშინ უპირატესობა მოქმედ კანონმდებლობას მიანიჭა.**

სწორედ ასეთ ფონზე, ამ ვითარებაში 1996-1998 წლებში საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე** რამდენჯერმე შეხვდა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელმძღვანელ **ლუდვიგ ჩიბიროვს** ჯერ ვლადიკავკაზში, შემდეგ — ლიკანსა და ჯავაში. შეიქმნა რეალური პირობები კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად.

**სამივე შეხვედრის შედეგები შეჯამდა 1998 წლის 20 ივნისს გაკეთებულ განცხადებაში, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ორივე მხარე „ერთგულებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, ხელმძღვანელობს სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპითა და ხალხების თვითგამორკვევის უფლებით და კვლავ ადასტურებს, რომ ქართველი და ოსი ხალხების აწყმო და მომავალი განუყრელადაა დაკავშირებული მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებასთან, ურთიერთნდობასა და ურთიერთგაგებასთან. რაგინდ რთულიც უნდა იყოს ჯერ კიდევ არსებული პრობლემები, ისინი უნდა გადაიჭრას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით, პოლიტიკური დიალოგის გზით, აგრეთვე, სახალხო დიპლომატიის მექანიზმების გამოყენებით“.**

„მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს სამეურნეო ურთიერთობების დამყარების საქმეში მომხდარი ძვრები. მაგალითად, სააქციო საზოგადოება „ყაზბეგმა“ და ცხინვალის ლუდისა და ხილის წვენების ქარხანამ შექმნეს ლუდსახდელი ერთობლივი საწარმო. მიღწეულია მორიგება ფიჭური სატელეფონო კავშირის განვითარების სფეროში თანამშრომლობის შესახებ კომპანია „მაგთისა“ და სამხრეთ ოსეთის კავშირგაბმულობის საწარმოო გაერთიანებას შორის. წამოყენებულია ინიციატივა ფირმა „მთებისა“ და ცხინვალის ქარხანა „ემალსადენის“ ურთიერთქმედების შესახებ“ და ა.შ.

არც ერთი შეხვედრა არ ატარებდა ფორმალურ ხასიათს, მათ ჰქონდა ერთი კონკრეტული მიზანი — ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგება, რომელიც ორივე მხარის ხალხების ნების აღსრულების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

ამასთანავე, ობიექტურობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მხარეები აშკარად ერიდებოდნენ, მეტი კონკრეტულობა შეეტანათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამომავლო სახელმწიფოებრივი სტატუსის განსაზღვრაში, რაც შემთხვევითი არ იყო.

## რა ხდებოდა ქვედა ეშელონებში?

პარალელურად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დაუბრკოლებლად ხვდებოდნენ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წევრებს (ეს ხდებოდა ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ ნახევრად ფარულად და ზოგჯერ ღიად, მედიის თანდასწრებით). კარგად მუშაობდა წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული პირადი კონტაქტებიც.

შედეგად შესაძლებელი შეიქნა, სამხრეთ ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრაციის რეალური გზების პოვნა, განსაკუთრებით, ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით. გადაწყდა, შემუშავებულიყო ერთობლივი ეკონომიკური პროგრამები, რომელიც მოიცავდა, როგორც ქართულ, ისე ოსურ სოფლებს, ასევე, შიდა ქართლის იმ ტერიტორიებს, რომლებიც ადმინისტრაციულად ოსეთს ესაზღვრებოდა. შემუშავდა პროგრამები, სარწყავი და ენერგეტიკული, სატელეფონო და სხვა სისტემის მოსაწესრიგებლად, საშიშ კრიმინალურ დაჯგუფებებთან ბრძოლის გასაძლიერებლად, განათლების სისტემისთვის ხელშესაწყობად, კულტურული კავშირების აღდგენისა და, რა თქმა უნდა, ლტოლვილების დაბრუნების უზრუნველსაყოფად.

რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ოსებსაც ხელს აძლევდა ასეთი ვითარება. საგულისხმოა, რომ არაფორმალურ მჭიდრო ურთიერთობებს მიესალმებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. მართალია, კონფლიქტი ფორმალურად მაინც კონფლიქტად რჩებოდა, მაგრამ უკვე სახეშეცვლილი, არააგრესიული იყო.

**ის, რომ ვერ მოხერხდა აღნიშნული ფაქტორის გამოყენებით სამხრეთ ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრირება, მრავალი მიზეზით აიხსნება. მათ შორის ყველაზე მეტად ხელი შეგვიშალა კონტრაბანდამ, რომელმაც 1992-2001 წლებში წალეკა საქართველოს ეკონომიკა. კორუფცია, ბიუჯეტის დეფიციტი, ქვეყნის შიგნით პოლიტიკური დაძაბულობის ხარისხი სულ უფრო ზღუდავდა ჩვენს შესაძლებლობას. ერთობლივ ეკონომიკურ პროგრამებს კი მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა არ ჰყოფნიდა. თანდათან დაიკარგა პოლიტიკური ენთუზიაზმი, არ იაქტიურა საერთაშორისო თანამეგობრობამაც. პოლიტიკური შეხლა-შემოხლის მიზეზი ხდებოდა სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი და სხვა მსგავსი პრობლემები.**

იმ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების არც სათანადო გამოცდილება ჰქონდა და არც შესათავაზებელი წინადადებების სრული პაკეტი, მათ შორის, არც საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრის, ცენტრალურ ხელისუფლებასა და მათ შორის ძალაუფლების განაწილებისა და კომპეტენციათა გამიჯვნის, ავტონომიურ ერთეულებში მმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხის განსაზღვრის და სხვ., ვგულისხმობ ისეთ საკითხებს, რომლებიც მისაღები იქნებოდა კონფლიქტის მონაწილე მხარეებისთვის. **ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დიდხანს მიგვაჩნდა ძალის გამოყენება მიზნის მისაღწევ საშუალებად, რომელიც დღევანდელი გადმოსახედიდან უაზრობაა და სხვა არაფერი.**

ნაკლებად იყო ჩვენთვის ცნობილი ჩინეთის სახელმწიფოში ჰონკონგის მშვიდობიანად დაბრუნების პრეცედენტი, რომელიც გან- ▶

**მოსკოვის 1995 წლის 30 მარტის შეთანხმების გავლენით პირველად პოზიტიურ პოზიციებზე დადგნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზ და ქართველ დეპუტატთა ფრაქციების წარმომადგენლები, რომლებმაც ხაზგასმით მიუთითეს, რომ შეიარაღებული დაპირისპირება დამღუპველია მხარეებისთვის და გამოხატეს მზადყოფნა, ბოლო მოუღონ უაზრო სისხლისღვრას. შეთანხმდნენ, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური რეგულირებისთვის აუცილებელია ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა სასწრაფო და ღირსეული დაბრუნება მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე.**

არჩევნები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ხორციელდა 1997 წელს, ან როგორ შეძლო იტალიის ხელისუფლებამ გერმანელებით დასახლებული სამხრეთ ტიროლის პრობლემების გადაწყვეტა და სხვ.

## მოსკოვი, 1995 წლის 30 მარტი

ერგნეთის ბაზრობის ანატომიის ეკონომიკურმა და პოლიტიკურ-სამართლებრივმა ანალიზმა საშუალება მოგვცა, წარმოგვედგინა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. თავისთავად ლოგიკურია, რომ გვერდს ვერ ავუვლიდით სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე განვითარებულ იმდროინდელ მოვლენებს; კერძოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც ერგნეთის ანალოგიურად კომერციული ურთიერთობა დაიწყო ქაოსურად და არაორგანიზებულად, თუმცა თანდათან მასშტაბური სახე მიიღო თხილის, მანდარინის, ჯართისა და სხვა ბიზნესის სახით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობა ორივე მხარეში მცხოვრები ბევრი ადამიანისთვის შემოსავლისა და ოჯახის გადარჩენის საშუალებად იქცა, თუმცა მაშინ ვერც ეს გარემოება გამოვიყენეთ კონფლიქტის მოგვარების ინსტრუმენტად; პირიქით — ხელი შევუშალეთ მის შემდგომ განვითარებას პროცესის შესაძლებელი კრიმინალიზაციის შიშით.

ეს იყო საერთო პროცესის ერთი მხარე, რომელიც ძირითადად მაინც ყოფით, უმართავ და ხელისუფლების მხრიდან არაორგანიზებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. **პარალელურად, ოფიციალურ დონეზე საერთაშორისო ორგანიზაციების გაეროსა და ეუთოს, აგრეთვე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რუსეთის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა სხვადასხვა დონის მოლაპარაკებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისთვის. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა და წინა პლანზე იყო წარმოწეული დევნილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების საკითხი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში.**

სწორედ ეს მიმართულება შეიქნა ჩვენი კვლევის განსაკუთრებული ინტერესის საგანი და ამ საკითხზე დევნილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებაზე შეთანხმების პროექტი, რომელიც შედგა **ქალაქ მოსკოვში 1995 წლის 30 მარტს. ეს იყო რეალობასთან მიახლოებული, ორივე მხარის ნების მეტნაკლებად გამომხატველი, ყველაზე წინ გადადგმული ნაბიჯი.** მას შემდეგ ამ პრობლემის მოგვარებაში ასეთი წინსვლა არ ყოფილა.

მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, გაეროსა და ეუთოს, 100-ზე მეტი რეზოლუციისა, **დევნილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების საკითხი დღემდე გაურკვევლობის და უიმედობის ბურუსშია გახვეული.**

**მოსკოვის 1995 წლის 30 მარტის შეთანხმების გავლენით პირველად პოზიტიურ პოზიციებზე დადგნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზ და ქართველ დეპუტატთა ფრაქციების წარმომადგენლები, რომლებმაც ხაზგასმით მიუთითეს, რომ შეიარაღებული დაპირისპირება დამღუპველია მხარეებისთვის** და გამოხატეს მზადყოფნა, ბოლო მოუღონ უაზრო სისხლისღვრას. შეთანხმდნენ, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური რეგულირებისთვის **აუცილებელია ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა სასწრაფო და ღირსეული დაბრუნება მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში.**

ხაზგასმით ითქვა ისიც, რომ „მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სისხლით ნათესაური კავშირებისა და აფხაზ და ქართველ ხალხებს შორის საუკეთესო ტრადიციების აღორძინებასა და განმტკიცებას“.

**შეთანხმების პროექტში აუცილებელ პირობად ჩაიწერა, რომ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და სახელმწიფოსამართლებრივი მოწყობის განხილვისას აუცილებელი იქნება აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების მაქსიმალური გაფართოების აღნიშვნა.**

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პერიოდში პირველად იქნა აღიარებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს აფხაზ და ქართველ დეპუტატთა მიერ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის, როგორც პოლიტიკური სტატუსის გაფართოება, ასევე ეკონომიკურ საკითხებში მისი უფლებების გაზრდის აუცილებლობა. ეს, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან კონფლიქტის დარეგულირება რეალპოლიტიკის რელსებზე დადგებოდა და აუცილებლად მოიტანდა სასურველ შედეგს.

ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ მხარეები თანხმდებოდნენ შემდეგზე:

„**1.** განეხორციელებინათ ლტოლვილთა მასობრივი დაბრუნება, მათი ანკეტირების გარეშე, იმ პირთა გამოკლებით, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებას, სისხლიან დაპირისპირებას და რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან სისხლის სამართლის დანაშაულთა ჩადენაში;

**2.** იმ პირთა სია, რომლებსაც უარი ეთქვათ დაბრუნებაზე, უმოკლეს ვადაში უნდა გადასცემოდა ქართულ მხარეს ორ ან ოთხმხრივ კომისიაზე განსახილველად, ისევე, როგორც აფხაზურ მხარეს — იმ პირთა სია, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ ანალოგიურ ქმედებაში.

ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნება განხორციელდებოდა ეტაპობრივად: **პირველ ეტაპზე ლტოლვილები დაბრუნდებოდნენ გალის რაიონში; შემდეგ — მდინარე ფსოუს მხრიდან გაგრასა და გაგრის ზონაში; მესამე ეტაპზე – გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებსა და ქ. სოხუმში, ხოლო შემდეგ — აფხაზეთის დანარჩენ რაიონებში.**

**ლტოლვილთა დაბრუნება გალის რაიონში დაიწყებოდა აპრილის შუა რიცხვებიდან და დასრულდებოდა ივნისის ბოლოს.**



ასეთი იყო ერგნეთის ბაზრობა

**პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ გაყინული კონფლიქტების პერიოდში ერგნეთის ბაზრობა, გარკვეულწილად, მშვიდობიანობის ანკლავი იყო. პრაგმატული რეალპოლიტიკა უთუოდ მოითხოვდა ამ ანკლავის გაფართოებისთვის ხელის შეწყობას, მისი თვითდინების შეუფერხებლობას**



ავტომატებით გადაკეტილი გზა აფხაზეთისკენ

**გაგრასა და გაგრის ზონაში მათი დაბრუნება გათვალისწინებული იყო მაისის დასაწყისიდან და დასრულდებოდა შემოდგომის ბოლოსთვის.**

**გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონებსა და ქ. სოხუმში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა რეპატრიაცია დაიწყებოდა ივლისში და დასრულდება ისევე, როგორც აფხაზეთის დანარჩენ რაიონებში, 1995 წლის ბოლოს“.**

შეთანხმებით გათვალისწინებული იყო დაბრუნებული მოსახლეობის უსაფრთხოების კომპლექსური ღონისძიებები და მათი რეალიზაციის კონტროლის მექანიზმები.

ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებაზე შეთანხმების პროექტს ხელს აწერდნენ: ფხაზთა მხრიდან **ანრი ჯერგენია**, აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; ქართველთა მხრიდან **ნაპო მესხია**, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციის წევრი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

**სამწუხაროდ, შეთანხმების პროექტის შემდგომი განხილვა საქართველოს ხელისუფლებისა და მაშინდელი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ არ განხორციელებულა და, აქედან გამომდინარე, აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების ყველაზე რეალური პროექტი საერთოდ გაქრა.**

აღნიშნული დოკუმენტის პოლიტიკურ-სამართლებრივი და ისტორიული მახასიათებლების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

**1.** უახლესი ისტორიის 20-წლიანი გადმოსახედიდან, შეთანხმების დოკუმენტი კონფლიქტური მხარეების შერიგებისთვის, ურთიერთპატიებისა და თანაცხოვრებისთვის ყველაზე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო; ამასთანავე, —ქართველი და აფხაზი ხალხების ერთად ცხოვრების ისტორიისადმი აშკარად პოზიტიური დამოკიდებულების გამომხატველი. უფრო მეტიც, იგი განსაკუთრებულად ხაზს უსვამდა ქართველი და აფხაზი ხალხის ძმური თანაცხოვრების პერსპექტივას, როგორც აუცილებლობას მათი შემდგომი განვითარებისთვის;

**2.** პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ დოკუმენტის ავტორები და მონაწილეები კონფლიქტის მოგვარების გზას, უწინარეს ყოვლისა, დევნილთა დაბრუნებაში ხედავდნენ. მის შედგენაში, ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსების გარდა, მონაწილეობდნენ ის ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაც რეალურად გააჩნდათ ამისთვის საჭირო ბერკეტები და ხელეწიფებოდათ მისი გადაწყვეტისთვის ხელშეწყობა. მთავარი იყო ის, რომ შეთანხმდნენ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი და აფხაზი პოლიტიკოსები, ისინი, ვისაც აფხაზეთის მომავალზე მანამდე რადიკალურად განსხვავებული ხედვები ჰქონდათ. ეს კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში დიდი გარღვევა იყო. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ისიც, რომ დოკუმენტი ქ. მოსკოვში შედგა;

**3.** იურიდიული თვალსაზრისით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დოკუმენტში იმ დროის რეალიების მიხედვით შესაძლებლობის მაქსიმუმია გათალისწინებული დაბრუნებული მოსახლეობის დაცვისა და მისი უსაფრთხოების მიზნით. იურიდიულად გამართულია და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპების — სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთა თვითგამორკვევის პატივისცემის სულისკვეთებითაა შედგენილი.

**ჩვენი პარტიის პროგრამაში დეტალურად არის ჩაწერილი, რომ საქართველოს გაერთიანების პრობლემა უპირველესია იმ პრობლემათა შორის, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას და ამიტომ ჩვენი მომავალი საქმიანობა მისი სრულად გადაჭრისკენ იქნება წარმართული.**

**ამიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ პროგრამის ამ ნაწილის პრესაში ფართოდ და მკითხველებისთვის გასაგებად წარდგენა.**

**ჯემალ გახოკიძე,**
პოლიტიკისა და სამართლის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის სპიკერი

თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო
19

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არმატა“ სხვა ტანკებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ აქვს უპილოტო გლუვლულიანი ქვემეხი, რომლის უპირატესობა არის ის, რომ ეკიპაჟის ნაკვეთური ფიზიკურად არის იზოლირებული საბრძოლო მასალებისგან. ამას გარდა, ეს საბრძოლო მანქანა დაფარულია მრავალფენიანი ჯავშნითა და სისტემური აქტიური დაცვით — „აფგანიტით“, რომელსაც შეუძლია მიზნის როგორც განადგურება, ასევე მწყობრიდან გამოყვანა.**





# რუსული «არმატა» ამერიკული «აბრამსისა» და რაკეტების წინააღმდეგ

**„რუსეთის ახალი ტანკი T-14 „არმატა“ ძალიან განსხვავდება თავისი წინამორბედებისგან და ძალიან რთული მოწინააღმდეგე იქნება ბრძოლებში“, — წერს ამერიკული გამოცემა The National Interest-ი.**

საბჭოთა და რუსული ტანკების წინა თაობა უბრალო კონსტრუქციით გამოირჩეოდა. T-14 „არმატა“ კი სხვანაირია. ტანკი აღჭურვილია ფუნქციებით, რომლებიც მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის არმიის ჯავშნიან მანქანას არ აქვს, — ნათქვამია ამერიკულ გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატიაში.

„არმატა“ სხვა ტანკებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ აქვს უპილოტო გლუვლულიანი ქვემეხი, რომლის უპირატესობა არის ის, რომ ეკიპაჟის ნაკვეთური ფიზიკურად არის იზოლირებული საბრძოლო მასალებისგან.

ამას გარდა, ეს საბრძოლო მანქანა დაფარულია მრავალფენიანი ჯავშნითა და სისტემური აქტიური დაცვით — „აფგანიტით“, რომელსაც შეუძლია მიზნის როგორც განადგურება, ასევე მწყობრიდან გამოყვანა.

სისტემა მოიცავს რადიოელექტრონული ჩახშობის მოწყობილობასა და რადიოაქტიურ რადარს მოწინააღმდეგის შეიარაღების აღმოსაჩენად, თვალყურის მისადევნებლად და გასანადგურებლად.



**„ამერიკულ ტანკებთან — „აბრამს“ N1A2 SEP-სა და N1A3-თან — ბრძოლაში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, პირველი ვინ დაინახავს მოწინააღმდეგეს“,** — წერს The National Interest-ი.

„ახალი სამართავი ჭურვები შესაძლებლობას აძლევს „აბრამსს“, 12 კმ-ით დაშორებული მიზანი გაანადგუროს, მაგრამ რუსული ტანკებიც აღჭურვეს ტანკსაწინააღმდეგო სამართავი რაკეტებით. მთავარია, ვინ შეამჩნევს მოწინააღმდეგეს პირველი. როგორ გამოავლენს თავს „არმატა“ ბრძოლის ველზე, დამოკიდებულია ტანკის ხელსაწყოებსა და გამომთვლელ ქსელებზე.

რაც შეეხება ამერიკულ ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებს, კერძოდ, TOW-2A-ს, თავდასხმის საშუალებების რადიოელექტრონულ მოწყობილობებზე ზემოქმედების სისტემა საშუალებას მისცემს „არმატას“, თავიდან აიცილოს დაზიანება, თუკი ეკიპაჟი მოასწრებს ტანკის გადაყვანას ახალ პოზიციაზე, სანამ რაკეტა მისკენ მიფრინავს.

რუსული ტანკის პირდაპირი დამიზნებისა და განადგურების სისტემას, თავის მხრივ, აქვს TOW-2A-ს დაზიანების შანსი. დინამიკური დაცვის მოდულური კომპლექსი „რელიკტი“, აგრეთვე, ამცირებს „არმატას“ ჯავშნის დაზიანების ალბათობას.

„რელიკტიც“ რომ არ იყოს, TOW-2A-ს საბრძოლო კუმულაციურმა მუხლმა, საეჭვოა, „არმატას“ ჯავშანი გახვრიტოს.

რაკეტა TOW-2B-ს მეტი შანსი აქვს, „არმატას“ დაარტყას, რადგან ის მიზანს ზემოდან აზიანებს. თუ ასე მოხდა, „აფგანიტი“ და „რელიკტი“ ნაკლებად ეფექტიანი იქნება, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი დაზარალდება ტანკის მხოლოდ შემტევი შესაძლებლობები, მაგრამ ეკიპაჟი უვნებლად გადარჩება და შეძლებს ბრძოლის ველის დატოვებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“, — წერს The National Interest-ში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი.

# ჩეხი გენერლის ანეკდოტი ნატო-რუსეთის შესაძლო ომზე

**ჩეხმა თადარიგის გენერალ-მაიორმა გინეკ ბლაშკომ გამოცემა Parlamentni Listy-სთვის მიცემულ ინტერვიუში ნატოსა და რუსეთს შორის შესაძლო კონფლიქტის დასახასიათებლად ანეკდოტი გამოიგონა.**

ჟურნალისტებმა ჩეხ სამხედროს შეახსენეს, რომ ნატო ცდილობს, იარაღი, მათ შორის, მასობრივი განადგურების საშუალებები, სულ უფრო ახლოს განალაგოს რუსეთის საზღვრებთან და უნდა გვეშინოდეს თუ არა, რომ მოხდება ყველაზე ცუდი — კონფლიქტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და რუსეთს შორის?

ამ კითხვას გენერალმა ანეკდოტით უპასუხა:

„გავრცელდა ასეთი ანეკდოტი: პენტაგონში ობამა და მისი გენერლები კამათობენ და ვერ მიდიან ერთობლივ გადაწყვეტილებამდე — როდის სჯობს რუსეთზე თავდასხმა. ბოლოს ფრანგებს შეეკითხნენ. ფრანგებმა უპასუხეს: „ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება ზამთარში. საქმე ცუდად დასრულდება“.

შემდეგ იგივე კითხვა გერმანელებს დაუსვეს. გერმანელებმა უპასუხეს: „ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ რუსეთზე თავდასხმა არ შეიძლება ზაფხულში. ჩვენ ეს უკვე ვცადეთ“.



ერთ-ერთმა ამერიკელმა გენერალმა წამოაყენა წინადადება ჩინელებისთვის ეკითხათ აზრი, ასეც მოიქცნენ და ჰკითხეს ჩინელებს: „როდის სჯობს რუსეთზე თავდასხმა?“ ჩინელებმა უპასუხეს: „ახლა, ამ წუთას! რუსეთმა დაიწყო პროექტები — „ძალა ციმბირისა“ და „თურქული ნაკადი“, აგრეთვე, კოსმოდრომ „ვოსტოჩნისა“ და ხიდის მშენებლობა ყირიმში, უახლოეს პერიოდში კი რუსებს სურთ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მოდერნიზება, აშენებენ ახალ სასპორტო კომპლექსებს მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ჩასატარებლად, ეძებენ სასარგებლო წიაღისეულს არქტიკასა და ანტარქტიდაში... **მოკლედ, ახლა მათ ძალიან სჭირდებათ ტყვეები, რაც შეიძლება ბევრი.“** — უპასუხა გენერალმა გინეკ ბლაშკამ ჟურნალისტებს.

# ევროკავშირის ქვეყნები ნატოდან გასვლით იმუქრებიან

**ევროკავშირი არ გამორიცხავს, რომ 2 წლის შემდეგ მას თავისი, ნატოსგან დამოუკიდებელი სამხედრო სტრუქტურა ეყოლება, მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ-ის გარეშე ევროარმია „თავშესაქცევი პოლკი“ იქნება.**

ბრიუსელში გრძელდება დისკუსია ევროპის არმიის შექმნის თაობაზე, რომელსაც დაეკისრება ევროკავშირის საშინაო და საგარეო უსაფრთხოების ამოცანების უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული ინიციატივის დამტკიცების შემთხვევაში გაერთიანებული ევროპის სამხედრო ბლოკი შეიძლება 2018 წელს შეიქმნას.

**ევროპის თავდაცვითი პოლიტიკის განვითარებას დიდი ბრიტანეთი ეწინააღმდეგებოდა — ოფიციალურ ლონდონს ნატოსთან შესაძლო კონკურენცია აშფოთებდა, მაგრამ „ბრექსიტის“ შედეგებმა ევროკავშირის ქვეყნებს თავდაცვის სფეროში უფრო მჭიდროდ თანამშრომლობის შესაძლებლობა მისცა.**

მაგრამ, **ექსპერტთა აზრით, ნატოსგან დამოუკიდებელი არმიის შექმნაზე ევროკავშირის განცხადებები მხოლოდ პოლიტიკური თამაშებია და მეტი არაფერი, რადგან ევროკავშირი ერთდროულად ორ სამხედრო სტრუქტურას, უბრალოდ, ვერ შეინახავს.**

„იმის გათვალისწინებით, რომ ნატოს ყველა წევრის ტერიტორია, აშშ-ისა და კანადის გარდა, ევროპის კონტინენტია, ძვირად ღირებული სტრუქტურების შექმნას, რომლებიც ნატოს დუბლირება იქნება, ევროპელები არ დაიწყებენ. მათ ამჟამადაც, საბერძნეთისა და ესტონეთის გამოვლენით, ძლივს შეაქვთ საწევრო გადასახადი ნატოში და „ნატო 2“-ის შენახვას, უბრალოდ, ვერ შეძლებენ“, — განაცხადა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის ინსტიტუტის ექსპერტმა **ალექსანდრე გუსევმა.**

არადა, **ევროარმიის წინაშე, თუკი ასეთი შეიქმნება, არ დგას არანაირი ამოცანა, რომელსაც ის ნატოს კომპეტენციის ზონის გარეთ შეასრულებდა. ყველაზე დიდი ხიფათი, რომელიც ევროპელებს ევროკავშირის საზღვრებს გარედან ემუქრება, ლტოლვილების ნაკადია, მაგრამ სამხედროებისთვის პოლიციელების ფუნქციის შესრულება, სულ ცოტა, დამამცირებელია.**



„გასაგებია, რატომაც განახლდება ხოლმე დროდადრო საუბარი ევროკავშირის არმიის შექმნაზე. ეს კეთდება იმისთვის, რომ ამერიკელებს შეეშინდეთ ბუნტის და თავიანთ მოკავშირეებს აღარ უსაყვედურონ, რომ ისინი არასაკმარის ძალისხმევას იჩენენ თავიანთი „ოჯახის“ შესანახავად, თუმცა ამერიკაშიც იზრდება უკმაყოფილება იმის გამო, რომ ნატოს ბიუჯეტის სამ მეოთხედს აშშ ავსებს“, — ამბობს გუსევი.

სწორედ ამ უკმაყოფილებას ახმოვანებს აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი **დონალდ ტრამპი**, როდესაც მოკავშირეებს მატერიალური მხარდაჭერის შეწყვეტით ემუქრება, ამიტომ, თუკი ევროპელებს მართლა მოუწევთ თავიანთი არმიის შექმნაზე ფიქრი, ეს მოხდება არა იმიტომ, რომ ასე გადაწყვიტეს ბრიუსელში, არამედ იმიტომ, რომ აშშ-მა ისინი ბედის ანაბარა მიატოვა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

43 წლის პატრისია სპანმა კანონი დაარღვია, როცა სისხლისაღმრევი ურთიერთობა დაამყარა თავის ქალიშვილთან, 25 წლის მისტისთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქორწინება რეგისტრირებული იყო 2016 წლის მარტში, სოციალური სამსახურის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დედისა და ქალიშვილის თანაცხოვრების ფაქტი მხოლოდ აგვისტოში გამოავლინეს, როდესაც სპანების ოჯახით დაინტერესდნენ.

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## აშშ-ში დააპატიმრეს ქალი, რომელმაც თავის ვაჟთან და ქალიშვილთან იქორწინა

**სასამართლოში განხილული საქმის ოქმის მიხედვით, 43 წლის პატრისია სპანმა კანონი დაარღვია, როცა სისხლისაღმრევი ურთიერთობა დაამყარა თავის ქალიშვილთან, 25 წლის მისტისთან.**



მიუხედავად იმისა, რომ ეს ქორწინება რეგისტრირებული იყო 2016 წლის მარტში, სოციალური სამსახურის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დედისა და ქალიშვილის თანაცხოვრების ფაქტი მხოლოდ აგვისტოში გამოავლინეს, როდესაც სპანების ოჯახით დაინტერესდნენ. მისტისა და მის ორ ძმას ბებია და ბაბუა ზრდიდნენ, რადგან ბავშვების დედას — პატრისიას, მშობლის უფლება ჩამორთმეული აქვს.



თვითონ ქალი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. ის სასამართლო პროცესზე ამტკიცებდა, რომ კანონი არ დაურღვევია, რადგან იურიდიულად ბავშვების დედა არ არის. ამასთანავე, მისტის დაბადების მოწმობაში პატრისიას სახელი არ არის მოხსენიებული.

ამის მიუხედავად, კომანჩეების საგრაფოს სასამართლომ არადამაჯერებლად ჩათვალა პატრისია სპანის არგუმენტები და მიიღო გადაწყვეტილება, ქალისა და მისი ბიოლოგიური შვილისთვის თავისუფლება აღეკვეთა. დედა-შვილი ინცესტის ბრალდებით ციხეში გამოამწყვდიეს. ამერიკული გამოცემა KROF-ი წერს, რომ სისხლის აღრევის ეს შემთხვევა პირველი არ არის პატრისია სპანის ბიოგრაფიაში, ის 2008 წელს ცოლად გაჰყვა თავის ერთ-ერთ ვაჟს. მოგვიანებით, 2 წლის შემდეგ, ეს ქორწინება სასამართლომ უკანონო საქორწინო კავშირად მიიჩნია და გააუქმა.



## კანადის ხელისუფლებამ ნარკომანებს უფასო ჰეროინი დაურიგა

**კანადის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა, ექიმებს უფლება მისცეს, გამოუწერონ ჰეროინი იმ პაციენტებს, რომლებმაც, ტრადიციული მეთოდებით მკურნალობის მიუხედავად, ვერ შეძლეს ნარკოდამოკიდებულებისგან თავის დაღწევა და ამის გამო კვლავ იტანჯებიან. სამედიცინო დაწესებულებებში მათ მისცემენ ჰეროინის ფარმაცევტულ სახეობას — დიაცეტილმორფინს.**

„კანადის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გააუქმა წინა, კონსერვატიული მთავრობის კანონები, რომლებიც კრძალავდა ამგვარ პრაქტიკას. ეს ნაბიჯი, როგორც მოსალოდნელია, გააფართოებს შესაძლებლობებს სპეციალური კლინიკებისა, რომლებიც ნარკოდამოკიდებულ ადამიანებს ნარკოტიკებით მკურნალობენ“, — იუწყება ბრიტანული გამოცემა The Independent-ი.

უფასო ნარკოტიკის გარდა, ნარკომანებს უსაფრთხო ინიექციასაც სთავაზობენ, რათა დაბინძურებული შპრიცით რომელიმე დაავადება არ გადაედოთ. „მივესალმები ამ გადაწყვეტილებას, ის ნარკომანიისადმი უფრო ჯანმრთელი მიდგომის მაჩვენებელია“, — განაცხადა პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის ჯანმრთელობის მინისტრმა ტერი ლეიკმა.

კანადაში უკვე ლეგალიზებულია სამედიცინო მიზნებისთვის მარიხუანის გამოყენება — როგორც ტკივილის გასაყუჩებლად, ასევე სპაზმისა და გულისრევის წინააღმდეგ. გაისად კანადის მთავრობა აპირებს, პარლამენტს შესთავაზოს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ეს ნარკოტიკული მცენარე თავისუფლად გაიყიდება.

## ბრიტანელმა მამაკაცმა ცოლი EBAY-ზე გასაყიდად «გამოიტანა»



**ვებგვერდ Ebay.com-ზე გამოქვეყნდა განცხადება მამაკაცისა, რომელიც თავის ცოლს ყიდის. 33 წლის ბრიტანელი მამაკაცი საიმონ ო'კეინი ქალაქ უეკფილდიდან განცვიფრდა, როდესაც მისი მეუღლის ფასმა 65 ათას გირვანქა სტერლინგს მიაღწია. ეს თანხა ავტომობილ „იაგუარის“ საშუალო ფასზე მეტია.**

თავის განცხადებაში საიმონ ო'კეინს ჩამოთვლილი აქვს ცოლის ღირსებები და ნაკლოვანებები. და მათ ისე აღწერს, როგორც აღწერენ ხოლმე ნახმარ ავტომობილს. მაგალითად, ცოლის ღირსებების ჩამოთვლისას, მან დაწერა: „დამაკმაყოფილებელი გარეგნობა, ძარაზე სალებავი კარგად არის შენარჩუნებული“. ცოლის სხვა ღირსებებს შორის საიმონ კეინმა აღნიშნა „კერძების მომზადების არცთუ ცუდი უნარი“.

ცოლის ნაკლოვანებების ჩამონათვალში ნათქვამია, რომ „ის ხშირად გამოსცემს ბგერებს, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია, თუ საჭირო აქსესუარებს არ შეიძენ“. და კიდევ: „ზოგჯერ ცოლის მიერ მომზადებული კერძის მირთმევის შედეგად, შესაძლოა, საავადმყოფოში აღმოჩნდე“.





მთლიანობაში კი „ეს არც ისე ცუდი მოდელია, რომელიც გამოადგება ზოგიერთ იღბლიანს“. საიმონ ო'კეინი განცხადების ბოლოს წერს, რომ „საქონელი დაბრუნებას არ ექვემდებარება“.

27 წლის მისის ლეანდრა კეინი, რომელიც კოსმეტოლოგად მუშაობს, ძალიან გამწარდა, როდესაც შეიტყო, რომ ქმარს მისი გაყიდვის სურვილი აქვს, მაგრამ მოგვიანებით ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამის შემდეგ ქმარი მას პოპულარული ბრენდის ხელჩანთას უყიდის.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინმა ბერლინში გამართულ კონფერენციაზე ჟუკოვის მიერ წაკითხული მოხსენების სტენოგრამა გამოითხოვა, რამაც ჟუკოვი ჩააფიქრა. ჟუკოვმა ხელახლა გადაიკითხა თავისი მოხსენება, თითქოს იქ საეჭვო არაფერი იყო. ჩაძინებამდე კი სულ იმაზე ფიქრობდა, რატომ დასჭირდა სტალინს მისი მოხსენება. ბოლოს გაახსენდა თავისი მოხსენებიდან ერთი ფრაზა, რომელიც ბრძოლებში წარმატებებს ასახავდა: „ამ მოვლენებზე განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ომის ყველა ძირითადი საბრძოლო ოპერაცია ჩემი მომზადებულია“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №32-33 (361-362)

# სტალინი და ჟუკოვი

## ნაწილი III

ტრაგედიის მეხუთე მოქმედებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რეჟისორი. მას არა მხოლოდ საომარი მოქმედების სცენები და მიზანსცენები უნდა აეწყო, არამედ გაეხსნა გზა შორეული მომავლისკენ, რომელსაც უამრავი პოლიტიკური და სასიცოცხლო ინტერესები ახლდა. თუ ეს უზარმაზარი ტვირთი ტრაგედიისა, რომელიც კაცობრიობას დაატყდა თავს, ერთი კაცის მხრებს დააწვებოდა, შეიძლებოდა გამარჯვებულისთვის ადვილად გაეხადათ ძლევამოსილის მანტია, ამიტომ გამარჯვებულის ტიტული ხალხს, ერს უნდა მიეკუთვნებოდა, რათა მომავალში ამ უდიდესი მონაპოვრის შესანარჩუნებლად, არა პიროვნებას, არამედ ერს ებრძოლა და ერი ყოფილიყო მისი ინტერესების დამცველი. რეჟისორმა თავისი ჩანაფიქრი ერთ სისტემაში მოიყვანა და ტრაგედიის მეხუთე მოქმედების მთავარი გმირები თავისთან იხმო:

— აი რა, თქვენ გაგებით უნდა მოეკიდოთ იმას, რომ, როდესაც რამდენიმე მილიონი ადამიანი შეიარაღებულია და რამდენიმე სახელმწიფო იბრძვის საერთო ინტერესებისთვის. ამ ომის დამთავრების შემდეგ უბრალო ადამიანს თუ სახელმწიფოს აღეძვრება პირველობის სურვილი, ამიტომ შორს უნდა გავიხედოთ და მტკიცედ დავარწმუნოთ საკუთარი თავი, რომ **პატარა ერებსა და პატარა ერის შვილებს არ შეუძლიათ ამ უზარმაზარი გამარჯვებისა და ამ გამარჯვებით მოპოვებული უზარმაზარი ტვირთის აწევა და მისი მუდმივად ტარება. ჩვენ ეს მოვალეობა დიდ ერსა და დიდ ხალხს უნდა გადავაბაროთ. ამ ომის ბოლო აკორდი რუსმა ერმა და რუსმა ჯარისკაცმა უნდა შეასრულოს,** ამიტომ შემოგთავაზებთ ასეთ სცენარს:

ბერლინში უკვე შესული ბელორუსიის ფრონტი უნდა ჩაიბაროს რუსმა მხედართმთავარმა **ჟუკოვმა, როკოსოვსკიმ** უკან დაიხიოს, ხოლო მარშალმა **კონევმა** ფლანგზე გადაინაცვლოს. ორმა ფრონტმა და ორმა სარდალმა — როკოსოვსკიმაც და კონევმაც უნდა იბრძოლონ მოწინავე საბრძოლო პოზიციებზე ჟუკოვის გასაყვანად, რათა ისტორიას მივცეთ დოკუმენტი, რომ ბერლინი აიღო არა ვინმე სხვამ, არამედ დიდმა რუსმა ხალხმა და მისმა წარმომადგენელმა მარშალმა ჟუკოვმა. ასე გახდება ეს გამარჯვება რუსეთის და ჩვენი მუდმივი საკუთრებაც იქნება, თორემ **ჩვენი მოკავშირეები, რომლებმაც ათასი ხაფანგი და სატყუარა დაგვიგეს ომის განმავლობაში, მომავალში ყველაფერს გააკეთებენ მოვლენების გასაყალბებლად და ამ გამარჯვების საკუთარ თავზე მისაწერად.**

თუ ჩემს წინადადებაზე თანახმა ხართ, სხვა არაფერი დაგვრჩენია, შეხვიდეთ ომის თეატრში და დაიწყოთ მსოფლიოში ჯერ არნახული და არგაგონილი ტრაგედიის მეხუთე მოქმედება.

— თანახმა ვართ, — ერთხმად განაცხადეს ტრაგედიის მეხუთე მოქმედების მონაწილეებმა და თავიანთ „საგრიმიოროს“ მიაშურეს.

ტრაგედიის მეხუთე მოქმედებას მთელი მსოფლიო სულმოუთქმელად ადევნებდა თვალყურს. სათვალთვალო პუნქტებიდან ნათლად ჩანდა, როგორ ცურავდა ქალაქი ბერლინი გამდნარი ლითონის ოკეანეში. რაიხსტაგის თავზე კი გამარჯვების წითელი დროშა ფრიალებდა. ეს იყო 1945 წლის 30 აპრილს — აღდგომის დღეს. მსოფლიო ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა ტრაგედიის ფინალს და დიდხანს არ წყდებოდა ოვაციები.

**1945 წლის 8 მაისს** საფრანგეთის ქალაქ რეიმსში მარშალმა ჟუკოვმა ფელდმარშალ **კაიტელისგან** ჩაიბარა მისი დაშნა და მის მიერვე ხელმოწერილი გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტი, რომელიც ჟუკოვმა თავისი ხელმოწერით დაადასტურა.

**1945 წლის 24 მაისს** მთავარმა რეჟისორმა საზეიმო მარში მოაწყო ქვეყნის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე. თეთრ ცხენზე ამხედრებული საბჭოთა კავშირის სამგზის გმირი, სამამულო ომის ყველაზე დიდი ჯილდოს — „გამარჯვების ორდენის“ ორგზის მფლობელი, გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის მიმღები და აქტზე ხელმომწერი მარშალი ჟუკოვი გამარჯვების აღლუმის მისაღებად გამოვიდა.

ზეიმობდა არა მხოლოდ წითელი მოედანი და დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული სსრკ, არამედ სრულიად მსოფლიო. **მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე მდგარი ამ გამარჯვების მთავარი რეჟისორი და ტრიუმფატორი არც ისე დიდი აღფრთოვანებით დაჰყურებდა მის ფეხებთან დაყრილ უამრავ გერმანულ შტანდარტს** (განსაკუთრებულ დროშას).

**1945 წლის 24 მაისის საღამოს, გამარჯვების აღლუმის შემდეგ, სტალინმა ვახშამი გამართა მთავარსარდლობის პატივსაცემად. სწორედ ამ ვახშამზე გადაულოცა სტალინმა დიდ რუს ხალხს ფაშიზმზე გამარჯვება და მსოფლიომ პირველად მოისმინა სიტყვები „ველიკიი რუსკიი ნაროდ“.**

ასე დასრულდა ეს ხუთმოქმედებიანი უდიდესი ტრაგედია, რომლის აღსაწერად საჭირო იქნებოდა ხუთი შექსპირი, ხუთი სერვანტესი, ხუთი გოეთე, ხუთი რუსთაველი, ხუთი დანტე და ხუთი „რეზო ჭეიშვილი“.

„ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!“

სტალინის ყურადღება მიპყრობილი იყო ომის მიმდინარეობასა და მის შედეგებზე, მაგრამ შეგნებულად თუ შეუგნებლად, ზოგიერთი რამ მაინც განზე რჩებოდა, თუმცა ყველა დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან ყველას ყველაფერი მოეკითხებოდა, ზოგი კი ჯიუტად იმეორებდა, რომ „ომი ყველაფერს ჩამოწერს“.

შვიდი სხვადასხვა ოფიციალური წყარო აწვდიდა ინფორმაციას სტალინს, ყველა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ცნობებს აწვდიდნენ როგორც საგარეო თუ საშინაო საკითხებზე, ასევე მაკონტროლებლებისგან ზღვა ინფორმაციას იღებდა ერთმანეთზე. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სტალინმა ზედმიწევნით იცოდა ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენის თაობაზე.

სტალინმა ისიც იცოდა, როგორ ეჩხუბა ამერიკის ელჩი მეეზოვე ქალს, რომელმაც „შეურაცხყო საბჭოთა მოქალაქე“ (საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამერიკის ელჩის გარეშე მეეზოვესაც კი ვერ ნიშნავს — გრ. ონიანი); რომელიღაც ელჩმა 20 კილოგრამი კარტოფილი რომ ჩამოიტანა უცხო ქვეყნიდან, ვითომ რუსეთში კარტოფილი არ იშოვებოდეს და სხვა ბევრი რამ.

უამრავი ინფორმაცია მოდიოდა ბერლინიდან, სადაც საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ზონას მარშალი ჟუკოვი განაგებდა. წარმოიდგინეთ, მკითხველო, ჟუკოვის უხეშობის პარამეტრები. მას ხომ სტალინის კაბინეტში თუ მის მიღმა სახელი სწორედ უხეშობით ჰქონდა განთქმული. **სტალინი ევროპის ქვეყნების ლიდერებს შეხვედრისას მოკრძალებით აფრთხილებდა, რომ რუსმა ხალხმა და რუსმა ჯარისკაცმა უამრავი სიძნელე, სისხლი და ახლობლების ცხედარი ნახა, ის ნერვებაშლილია და ომში თავგანწირვას, უპირველესად, შურისძიება უბიძგებს, ამიტომ ნუ გაიკვირვებთ, თუ ზოგჯერ იქნება გამოვლინებები ქალებთან უხეშობის, დებოშისა და მოროდიორობისაც კი, მაგრამ ეს იქნება მცირე ხნით, ყველაფერი დაწყნარდება და თავის კალაპოტში ჩადგებაო.** „გაბოროტებულ ჯარისკაცებად ნუ შეაფასებთ საბჭოთა მოქალაქეებს. ისინი შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე და ძალიან კარგი ადამიანები არიან“, — ასე ებოდიშებოდა სტალინი უცხო ქვეყნის ლიდერებს.

**საზოგადოებაში ხშირად ჩნდება კითხვები — რატომ გაანებივრა და გაათავხედა სტალინმა ჟუკოვი? რატომ იყო ის სამჯერ საბჭოთა კავშირის გმირობის ღირსი ან „გამარჯვების ორდენის“ ორგზის კავალერი, გამარჯვების აღლუმის მიმღები ან თუნდაც კაპიტულაციის აქტზე ხელის მომწერი?**

ამაზე მკითხველს უკვე გავეცი პასუხი.

სტალინმა სწორად განსაზღვრა, რომ გერმანელებზე გამარჯვების დიდება რუს ხალხსა და რუს მხედართმთავარს უნდა რგებოდა. თუმცა დღეს, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სამამულო ომი, თითქოს სტალინმა კი არა, რუსმა ხალხმა მოიგო, ამ უზარმაზარ სახელმწიფოსაც კი მოჰპარეს ეს დიადი გამარჯვება და მოკავშირეებმა გაიყვეს.

რა მოჰყვა რუსი კაცის ზომაზე მეტად შექებას და მის გათავხედებას, ამას უფრო დაწვრილებით ქვევით მოგახსენებთ:



**მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე მდგარი ამ გამარჯვების მთავარი რეჟისორი და ტრიუმფატორი არც ისე დიდი აღფრთოვანებით დაჰყურებდა მის ფეხებთან დაყრილ უამრავ გერმანულ შტანდარტს. 1945 წლის 24 მაისის საღამოს, გამარჯვების აღლუმის შემდეგ, სტალინმა ვახშამი გამართა მთავარსარდლობის პატივსაცემად. სწორედ ამ ვახშამზე გადაულოცა სტალინმა დიდ რუს ხალხს ფაშიზმზე გამარჯვება და მსოფლიომ პირველად მოისმინა სიტყვები «ველიკიი რუსკიი ნაროდ»**



**დამარცხებულ გერმანიაში დატრიალებულ ცოდვის ბორბალზე საუბარიც კი მიძნელდება. მოროდიორობამ, ძარცვამ, ყაჩაღობამ, ადამიანების აბუჩად აგდებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ომის დამთავრების პირველ დღეებში სტალინისთვის გაგზავნილ უამრავ დეპეშასა და განუწყვეტელ ზარებს საზღვარგარეთიდან სტალინი დუმილით შეხვდა.**

— აღებულ ბერლინში რუს ჯარისკაცს 48 საათის განმავლობაში ყველაფრის უფლება აქვს, — ფიქრობდა იგი.

48 საათის შემდეგ გამოცემულ საიდუმლო ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ გერმანიის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარისკაცის მიერ ჩადენილი დანაშაული წითელ მოედანზე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია.

**ჟუკოვის იმედით, მის დამქაშებს არ შეუწყვეტიათ გერმანიის მოსახლეობის ძარცვა და ნაძარცვის შინ გაგზავნა. ეს, რა თქმა უნდა, უბრალო ჯარისკაცებს არ ეხელეწიფებოდათ. ამას მხოლოდ უმაღლესი სამხედრო პირები აკეთებდნენ, რომლებსაც შეეძლოთ შესაბამისი ბრძანების გაცემა.**

საბჭოთა საგამომძიებლო ორგანოების წარმომადგენლები ბერლინში ჩავიდნენ და დაიწყო დაუნდო- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჟუკოვთან დაახლოებული რამდენიმე გენერალი მახეში გაება. ბერლინში ჩასული ვიქტორ აბაკუმოვი („სმერშის“ — კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი) ჟუკოვმა დიდხანს აყურყუტა მისაღებში, კაბინეტში შესვლისთანავე კი უბრძანა, — დაუყონებლივ გაეთავისუფლებინა დაკავებული გენერლები და თვითონ 24 საათში დაეტოვებინა ბერლინი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვში ბადრაგით ჩაიყვანდა და მის „ძაღლებს“ მეცხვარის ძაღლებივით ამოხოცავდა.**

◀ბელი ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ. ჟუკოვთან დაახლოებული რამდენიმე გენერალი მახეში გაება. ბერლინში ჩასული **ვიქტორ აბაკუმოვი** („სმერშის“ — კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი) ჟუკოვმა დიდხანს აყურყუტა მისაღებში. **კაბინეტში შესვლისთანავე კი უბრძანა, დაუყონებლივ გაეთავისუფლებინა დაკავებული გენერლები და თვითონ 24 საათში დაეტოვებინა ბერლინი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსკოვში ბადრაგით ჩაიყვანდა და მის „ძაღლებს“ მეცხვარის ძაღლებივით ამოხოცავდა** (მიკვირს: მეცხვარეები ძაღლებს არ ხოცავენ, პირიქით — ლუკმას უყოფენ — გრ. ონიანი).

აბაკუმოვი იძულებული შეიქნა, დაუყონებლივ გაეთავისუფლებინა დაკავებული გენერლები და თვითონაც სასწრაფოდ დაეტოვებინა ბერლინი.

ეს ინციდენტი სტალინს, ალბათ, გაუგებარი არ დარჩებოდა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო იმ დანაშაულებისა, რომელთა შესახებაც ცნობები ბერლინიდან მოდიოდა.

1945 წლის 1 დეკემბერს ჟუკოვმა ბერლინში კონფერენცია ჩაატარა, რომელზეც მიწვეული იყვნენ კოალიციის წევრები, აგრეთვე, მოსკოვის საინფორმაციო სააგენტოები და სამხედრო აკადემიის წევრები.

ცოტა ხნის შემდეგ სტალინმა ბერლინში გამართულ კონფერენციაზე ჟუკოვის მიერ წაკითხული მოხსენების სტენოგრამა გამოითხოვა, რამაც ჟუკოვი ჩააფიქრა. ჟუკოვმა ხელახლა გადაიკითხა თავისი მოხსენება, თითქოს იქ საეჭვო არაფერი იყო. ჩაძინებამდე კი სულ იმაზე ფიქრობდა, რატომ დასჭირდა სტალინს მისი მოხსენება. ბოლოს გაახსენდა თავისი მოხსენებიდან ერთი ფრაზა, რომელიც ბრძოლებში წარმატებებს ასახავდა:

**„ამ მოვლენებზე მე განსაკუთრებით იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ომის ყველა ძირითადი საბრძოლო ოპერაცია ჩემი მომზადებულია“.**

ჟუკოვი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ეს ფრაზა ნამდვილად გააღიზიანებდა სტალინს და შესაბამის პასუხს მიიღებდა, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს და სტალინისგან არაფერი ისმოდა.

„1946 წლის მარტის ბოლოს შემატყობინეს, რომ სტალინმა დარეკა და დაიბარა, რომ გამოჩენისთანავე დავუკავშირდე მას. სასწრაფოდ დამაკავშირეს. სტალინმა მდგომარეობა გამომკითხა, კვლავ თავაზიანად და თქვენობით მესაუბრებოდა. ჩემი მდგომარეობის გაცნობის შემდეგ დაგუდული ხმით მითხრა:

— ამხანაგო ჟუკოვ, სახლში არ გინდათ? როგორ ფიქრობთ, არ დადგა დრო დაბრუნდეთ მოსკოვში? — პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, რომ სტალინმა განაგრძო:

— **ეიზენჰაუერი და მონტგომერი** გერმანიიდან გაიწვიეს, ჩვენც უნდა მივბაძოთ მათ. მოემზადეთ.

ორი-სამი დღის შემდეგ კვლავ დამირეკა სტალინმა:

— რა თანამდებობა გინდათ, დაიკავოთ?

უნდა მეთქვა, რომ სრულიად მაკმაყოფილებს მთავარსარდლის მოადგილეობა, მაგრამ სტალინმა ამის თქმის საშუალება არ მომცა და განაგრძო საუბარი:

— რადგან საომარ მოქმედებებს აღარ ვაპირებთ, მივიღეთ გადაწყვეტილება თავდაცვის სამინისტროს რეფორმის შესახებ მშვიდობიანობის პერიოდში, ამიტომ სახალხო კომისრის პირველი მოადგილის თანამდებობა გაუქმებულია. **ნიკოლაი ბულგანინი** იქნება სახალხო კომისრის მოადგილე საერთო საკითხებში; ვასილევსკი, გადავწყვიტეთ, დავნიშნოთ გენერალური შტაბის უფროსად; **კუზნეცოვი** დარჩება სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლად. როგორ შეაფასებთ, თუ შემოგთავაზებთ სახმელეთო ჯარების სარდლის თანამდებობას?

— დადებითად, ამხანაგო სტალინ, — ვუპასუხე მე.

— ძალიან კარგი, მაშინ მოემზადეთ ახალი თანამდებობის მისაღებად, სასწრაფოდ ჩამოდით მოსკოვში!“

ჟუკოვი მოსკოვში ჩავიდა და ჩაიბარა სახმელეთო ჯარების სარდლის თანამდებობა.

ქვეყანა ომის შემდგომ ჭრილობებს იშუშებდა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა დანგრეული ქალაქებისა და სოფლების, გზების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენითი სამუშაოები. პარალელურად მწყობრში დგებოდა სახელმწიფო დისციპლინა და წესრიგი.

სტალინმა სარდლების თათბირი მოიწვია. თათბირის მონაწილენი პატარა, ერთფანჯრიან, ნახევრადგანათებულ ოთახში შეიკრიბნენ, მაგრამ მკერდზე დაკიდებული და სამხრეებზე მბრწყინავი ოქროს ვარსკვლავები სხვანაირ სინათლეს გამოსცემდნენ ოთახში. სარდლები ხმამაღალი შეძახილებითა და მხიარულებით ესალმებოდნენ ერთმანეთს.

დათქმულ დროს სამხედროები სათათბირო ოთახში მიიწვიეს. სამდივნოს მაგიდას, როგორც ყოველთვის **სერგეი შტემენკო** ეჯდა. რამდენიმე წუთში შემოვიდნენ **მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი** და პოლიტბიუროს სხვა წევრები. ყველა ელოდებოდა სტალინის გამოჩენას, სტალინი იგვიანებდა.

და აი ისიც: ომამდელი ნახევრადსამხედრო ხალათითა და საქაღალდით ხელში. მისი ჩაცმულობა და მკაცრი გამომეტყველება მიანიშნებდა, რომ საზეიმოდ არ იყო განწყობილი, ამას ყველა იქ მსხდომი კარგად ხვდებოდა.

სტალინი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სამდივნოს მაგიდას, საქაღალდე მშვიდად დადო, მიათვალ-მოათვალიერა იქ მსხდომნი და მზერა წამიერად ჟუკოვზე შეაჩერა. ყველა მარშალი და მაღალი ჩინის სამხედრო სტალინს შეჰყურებდა. სტალინმა გამოკვეთილი ქართული აქცენტით საქაღალდეზე მიუთითა:

— ამხანაგო შტემენკო, წაგვიკითხეთ, თუ შეიძლება, ეს დოკუმენტები.

საბჭოს მდივანმა შტემენკომ საქაღალდე გახსნა და დაიწყო კითხვა.

— საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ჯარების მინისტრს, ამხანაგ ი. სტალინს, — გაისმა შტემენკოს ხმა, — ყოფილი სამხედრო ავიაციის მარშლის, ამჟამად პატიმრობაში მყოფ **ნოვიკოვის** განცხადება:

„მე თქვენ წინაშე დამნაშავე ვარ იმ საქმიანობის გამო, რომელიც მოხდა სამხედრო-საავიაციო ძალებში და, ამასთანავე, უპირველესი დამნაშავე ვარ, ვიდრე სხვა ვინმე ამ საქმეში“.

შტემენკო გაჩერდა. სტალინმა ბრძანების ტონით მიმართა:

— განაგრძეთ, განაგრძეთ!

ნოვიკოვი წერდა, რომ, ბევრი დანაშაული ჩაიდინა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ამას გარდა, უამრავი ნაძარცვი ქონება მიითვისა პირადი კეთილდღეობისთვის. ნოვიკოვი აცხადებდა, რომ მან თავი წარმოიდგინა უდიდეს ადამიანად, რომელსაც იცნობენ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ კარგად იცნობს დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **ჩერჩილი** და სხვა ბევრი უცხო ქვეყნის ხელმძღვანელი.

ნოვიკოვი გულწრფელად აღიარებდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას სტალინის მიმართ და განმარტავდა, რომ მას გაცილებით მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი სტალინის წინაშე, ვიდრე მთლიანად სამშობლოსა და პარტიის წინაშე.

**„ახლა საჭიროდ და აუცილებლად ვთვლი, განვაცხადო ჩემი და ჟუკოვის დამოკიდებულების შესახებ: თუ ახლავე არ გამოაშკარავდა ის მავნებლური ჩანაფიქრები და საუბრები, რომლებიც ჩემსა და ჟუკოვს შორის იყო მთელი ომის პერიოდში და ომის შემდეგაც, ამგვარმა ქმედებებმა, რომლებიც ჩაფიქრებულია, შეიძლება ქვეყანა დაღუპოს“.**

ნოვიკოვმა ჟუკოვი დაახასიათა, როგორც თავის თავზე უაღრესად შეყვარებული და პატივმოყვარე ადამიანი, დიდების უკიდურესად მოყვარული კაცი, რომელიც იმის მაგივრად, რომ უზრუნველყოს მთავარსარდლის გარშემო სამხედრო შემადგენლობის დარაზმვა და მისი ავტორიტეტის დაცვა და ამაღლება, პირიქით — ეწევა მის დისკრედიტაციას და თავის მომხრეთა მოზიდვას.



„ბევრ საქმიან თუ კერძო საუბარში ჟუკოვი თავის თავზე მიიწერდა ყველა ბრძოლის დაგეგმვასა და განხორციელებას; იმ ბრძოლებისასაც კი, რომლებშიც თვითონ არ მონაწილეობდა და არც დაუგეგმავს.

ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს, რომ მისი გეგმითა და მისივე შესრულებით განადგურებულია მტერი ლენინგრადთან, სტალინგრადთან, კურსკთან და მისივე გეგმით და მისივე თავგანწირვითაა გადარჩენილი ქალაქი მოსკოვი. ჟუკოვს პრეტენზია აქვს, რომ მისი შედგენილი გეგმებითა და ბრძოლებში მისი მონაწილეობით მოწინააღმდეგის განადგურების გამო ჯილდოვდებოდნენ ფრონტის სარდლები, ხოლო თვითონ ჩრდილში რჩებოდა — ლენინგრადის, სტალინგრადისა და კურსკის ოპერაციების ბრწყინვალედ შესრულების მიუხედავად, მე არავითარი ჯილდო არ მიმიღია, ხოლო ფრონტის სარდლებს რამდენიმეჯერ აქვთ მიღებული მთავრობის ჯილდოებიო.

**«ორმა ფრონტმა და ორმა სარდალმა — როკოსოვსკიმაც და კონევმაც უნდა იბრძოლონ მოწინავე საბრძოლო პოზიციებზე ჟუკოვის გასაყვანად, რათა ისტორიას მივცეთ დოკუმენტი, რომ ბერლინი აიღო არა ვინმე სხვამ, არამედ დიდმა რუსმა ხალხმა და მისმა წარმომადგენელმა — მარშალმა ჟუკოვმა. ასე გახდება ეს გამარჯვება რუსეთის და ჩვენი მუდმივი საკუთრებაც იქნება, თორემ ჩვენი მოკავშირეები, რომლებმაც ათასი ხაფანგი და სატყუარა დაგვიგეს ომის განმავლობაში, მომავალში ყველაფერს გააკეთებენ მოვლენების გასაყალბებლად და ამ გამარჯვების საკუთარ თავზე მისაწერად»**

ჟუკოვმა მომიყვა, რომ მას სტალინმა დაურეკა მოსკოვიდან და ჰკითხა, რა თანამდებობას ისურვებდა, და თითქოს მან, ჟუკოვმა, შესთავაზა, რომ უხელმძღვანელებდა სახმელეთო ჯარებს, რაც სტალინმა შეუსრულა კიდეც. ეს ნაბიჯი ჟუკოვს სამშობლოსა და ჯარების საკეთილდღეოდ არ გადაუდგამს, მან ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ არ მოსწყვეტოდა მასებს და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჰყოლოდა დასაყრდენი ძალა კომისარიატების სახით, თავისი მომხრეების კონსოლიდაციისთვის. ახლა მე მაქვს საშუალება, — მეუბნებოდა ჟუკოვი, — მოვიცვა მთელი ქვეყნის ტერიტორია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ შემთხვევაში. ეს საუბრები ხშირად ძალზე მავნებლური და ძირგამომთხრელი საქმიანობით სრულდებოდა“. წერილის ბოლოს ნოვიკოვი განმარტავდა, რით შეძლო ჟუკოვმა მისი ხელში ჩაგდება და თავის სასარგებლოდ გამოყენება:

**„მე პოლიციელის შვილი ვიყავი, ეს შავ ლაქად მომყვებოდა ჩემი წარსულიდან, რომელსაც 1932 წლამდე ვუმალავდი როგორც ჩემს მეგობრებს, ასევე ჩემს პარტიასა და სამხედრო ხელმძღვანელობას. ეს ცნობილი შეიქნა ჟუკოვისთვის, რომელმაც პირდაპირ მითხრა, რომ ეს არის ჩემი კარიერისა და სიცოცხლის დასასრული, რადგან ასე უტიფრად ვატყუებდი პარტიასა და სახელმწიფოს“.**

შტემენკომ კითხვა დაასრულა და მიუთითა წერილის დაწერის თარიღი — 1946 წლის 30 აპრილი.

სათათბირო ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

**გაგრძელება იქნება**




# ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დოკუმენტებში ამოტივტივდა მემარჯვენე თვალსაზრისის მქონე ბევრი გავლენიანი და მდიდარი ამერიკელის გვარიც: ესენი არიან: სავაჭრო ქსელ HOME DOPOT-ის თანადამფუძნებელი კენ ლანგონი, საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელი პოლ სინგერი, ლას-ვეგასში დიდი კაზინოების მფლობელი შელდონ ადელსონი და მაგნატი კარლ აიკანი. „დღეს მილიონი დოლარი მივიღე ჯონ მენარდისგან“. — აღნიშნავს ერთ-ერთ წერილში უოკერი. მენარდი კი გახლავთ მილიარდერი და მაღაზიათა ქსელ MENARDS-ის მფლობელი.**

# გამოქვეყნებული დოკუმენტები ამხელენ კორპორაციების საიდუმლო გავლენას არჩევნებზე

**ვისკონსინის სასამართლოს მიერ სკოტ უოკერის საქმის დოკუმენტების გამოქვეყნებამ ფარდა აჰხადა დემოკრატიულ პროცესებზე კორპორაციების გავლენას, რომლის შესახებაც საზოგადოებრიობას წარმოდგენა არ ჰქონდა.**

სასამართლოს დოკუმენტები, რომლებიც Guardian-მა მოიპოვა, ამხელენ, რა გავლენას ახდენს კორპორაციული ფული დემოკრატიულ პროცესებზე და იმ ხერხებს, რომლებსაც იყენებენ პოლიტიკოსები, ლობისტები და მოსამართლეებიც კი თანხების შესაგროვებლად.

**„ჯონ დოუს ფაილები“** — ეს არის 1500-გვერდიანი მასალა, რომელიც პროკურატურამ მოიპოვა პოლიტიკური მიზნებისთვის სახსრების შეგროვებისას გამოვლენილი დარღვევების გამოძიებისას. შარშან ვისკონსინის უზენაესმა სასამართლომ ამ დოკუმენტების განადგურების განკარგულება გასცა, მაგრამ მათი ნაწილი შეინახეს და დღეს საინფორაციო საშუალებების ხელში აღმოჩნდა.

**ეს დოკუმენტები ფარდას ხდის იმ სამყაროს, რომელსაც საზოგადოებრიობა იშვიათად ხედავს. ამ სამყაროში დიდი კორპორაციები და ძალიან მდიდარი ადამიანები საიდუმლოდ გადასცემენ მილიონობით დოლარს მესამე მხარეს და ჯგუფებს, რათა გავლენა მოახდინონ არჩევნების შედეგებზე. ეს დოკუმენტები ამტკიცებს იმას, რაზეც ხშირად ლაპარაკობდნენ 2016 წლის წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას: ამერიკული დემოკრატიის გარყვნაზე დიდი ბიზნესის მიერ, რასაც მწვავედ აკრიტიკებენ დონალდ ტრამპი და ბერნი სანდერსი.**



იმ საქმის ჩარჩოებში, რომლის მიხედვითაც, ცოტა ხნის წინათ აშშ-ის უზენაეს სასამართლოში სარჩელი შევიდა, ვისკონსინის 5 პროკურორმა ჩაატარა გამოძიება ამ შტატის გუბერნატორისა და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის — **სკოტ უოკერის** მიერ დანაშაულებრივ ფინანსურ დარღვევებზე წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში.

ამ საქმემ, რომელიც ცნობილია, როგორც „ჯონ დოუს გამოძიება“ (ამ სახელწოდების ფილმის მიხედვით) მწვავე კამათი გამოიწვია კონსერვატორებსა და პროგრესისტებს შორის.

**2015 წლის ივლისში შტატის უზენაესმა სასამართლომ შეაჩერა გამოძიება და განაცხადა, რომ პროკურორებმა არასწორად გამოიყენეს კანონი საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ და შედეგად დაიწყეს იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების დევნა, რომლებიც სრულიად უდანაშაულონი არიან და სამართალდარღვევა არ ჩაუდენიათ. სასამართლომ, აგრეთვე, გასცა განკარგულება გაენადგურებინათ ან დაელუქათ ყველა სამხილი, რომლებიც პროკურორებმა შეაგროვეს.**

**«ჯონ დოუს ფაილები» — ეს არის 1500-გვერდიანი მასალა, რომელიც პროკურატურამ მოიპოვა პოლიტიკური მიზნებისთვის სახსრების შეგროვებისას გამოვლენილი დარღვევების გამოძიებისას. შარშან ვისკონსინის უზენაესმა სასამართლომ ამ დოკუმენტების განადგურების განკარგულება გასცა, მაგრამ მათი ნაწილი შეინახეს და დღეს საინფორაციო საშუალებების ხელში აღმოჩნდა**

ამ დოკუმენტებში არის საქმეები, აგრეთვე, ელექტრონული მიმოწერის ასეულობით გვერდი, რომლებიც პროკურორებმა გამოითხოვეს. მასალებს შორის არის მიმოწერა, რომელიც ეხება უოკერს, მის თანაშემწეებს, კონსერვატორ ლობისტებსა და რესპუბლიკური პარტიის წამყვან მოღვაწეებს, მაგალითად, **კარლ როუვსა** და ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარეს — **რაინს პრიბუსს.**




ამ დოკუმენტებში, აგრეთვე, ფიგურირებს **ტრამპის** გვარიც, რომელმაც, მას შემდეგ, რაც უოკერი ესტუმრა მეხუთე ავენიუზე განლაგებულ შტაბში, 15 ათასი დოლარი გაიღო.

ტრამპთან ერთად დოკუმენტებში ამოტივტივდა მემარჯვენე თვალსაზრისის მქონე ბევრი გავლენიანი და მდიდარი ამერიკელის გვარიც: ესენი არიან: სავაჭრო ქსელ Home Dopot-ის თანადამფუძნებელი **კენ ლანგონი**, საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელი **პოლ სინგერი**, ლას-ვეგასში დიდი კაზინოების მფლობელი **შელდონ ადელსონი** და მაგნატი **კარლ აიკანი**. „დღეს მილიონი დოლარი მივიღე ჯონ მენარდისგან“. — აღნიშნავს ერთ-ერთ წერილში უოკერი. **მენარდი** კი გახლავთ მილიარდერი და მაღაზიათა ქსელ Menards-ის მფლობელი.

დოკუმენტებში არის ახალი მასალებიც უოკერთან მჭიდროდ დაკავშირებული ორგანიზაციების მიერ 750 ათასი დოლარის გადარიცხვის თაობაზე. ეს თანხა გადარიცხა ტყვიის თეთრას დამამზადებელი კომპანია **NL INDUSTRIES**-ის მფლობელმა. იმავე პერიოდში, როდესაც გაიცემოდა შემოწირულობები, რესპუბლიკელების კონტროლს დაქვემდებარებული კონგრესი იღებდა ახალ კანონებს, რომელთა გამოც ტყვიის თეთრათი მოწამლულებს ძალიან გაურთულდათ NL Industries-ისა და სხვა მწარმოებლების სამართლებრივი დევნა (მოგვიანებით ეს კანონები ფედერალურმა სასამართლოებმა გააუქმეს).

**ჯონ დოუს ფაილები წარმოდგენას გვიქმნის მასშტაბურ ძალისხმევაზე სკოტ უოკერის მოკავშირეებისა, რომლებიც ეხმარებოდნენ ვისკონსინის სასამართლოს წევრ დევიდ პროსერს 2011 წელს ამ პოსტზე ხელახლა არჩევაში. თანამზრახველებისა და კამპანიის მონაწილეთა მთელმა ქსელმა კორპორაციული სახსრებიდან 3,5 მილიონი დოლარი მიმართა მოსამართლის წინასაარჩევნო რეკლამის დასაფინანსებლად რადიოსა და ტელევიზიაში. დოკუმენტები აჩვენებენ, რომ ამ მოქმედებებმა დიდი როლი ითამაშეს სასამართლოში მემარჯვენე უმრავლესობის შენარჩუნებაში, შესაბამისად, პროფკავშირების საწინააღმდეგო იმ ზომების გატარებაში, რომლებიც უოკერმა შესთავაზა ქვეყანას.**

„თუ ჩვენ მას (მოსამართლე პროსერს) დავკარგავთ, უოკერის პროგრამა ჩაფლავდება“. — დაწერა მისმა ერთ-ერთმა ელექტრონულ შეტყობინებაში, რომელიც განკუთვნილი იყო გუბერნატორის კანცელარიის ხელმძღვანელობისა და რამდენიმე კონსერვატიული ლობისტისთვის.

2015 წელს მოსამართლე პროსერმა უარი თქვა თვითაცილებაზე იმ საქმის განხილვაში მონაწილეობისგან, რომელიც დაიწყო ჯონ დოუს მასალების მიხედვით. ის შეუერთდა იმ მოსამართლეებს, რომლებმაც გამოიტანეს გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტისა და იმ დოკუმენტების განადგურების შესახებ, რომელთა ნაწილიც Guardian-მა მოიპოვა.

ჯონ დოუს გამოძიება 2012 წელს დაიწყო. როცა უოკერმა და შტატის კიდევ ექვსმა რესპუბლიკელმა სენატორმა ტენდენციური კანონი მიიღეს პროფკავშირების წინააღმდეგ — სახელწოდებით მე-10 აქტი. **პროკურატურამ განაცხადა, რომ გუბერნატორის საარჩევნო შტაბმა შექმნა ლობისტური ორგანიზაციების კარგად ორგანიზებული ქსელი, რომლის მეშვეობითაც, ფართო საზოგადოებისთვის მალულად, შეუზღუდავად გადარიცხავდნენ კორპორაციულ თანხებს.**

უოკერმა და ჯონ დოუს გამოძიების სხვა ფიგურანტებმა ერთხმად განაცხადეს პროტესტი და აღნიშნეს, რომ მათ უსამართლოდ ადანაშაულებენ საფინანსო დარღვევებში. ხაზი გაუსვეს, რომ ამ საქმის გამო ბრალდება არ წაუყენებიათ, და, რომ ვისკონსინის რამდენიმე სასამართლომ, მათ შორის შტატის უმაღლესმა ინსტანციამ, მათ ყველა ბრალდება მოუხსნა.

უოკერის შტაბმა Guardian-ს განუცხადა, რომ ჯონ დოუს გამოძიება „უსაფუძვლო“ იყო, და, რომ შტატის სასამართლოებმა ეს საქმე რამდენჯერმე შეწყვიტეს.

იმ ლობისტურმა ორგანიზაციებმა კი, რომელთა მიმართაც მიმდინარეობდა გამოძიება, განაცხადეს, რომ პროკურატურამ ადამიანები დაადანაშაულა იმაში, რაც შტატის კანონებით დანაშაულად არ ითვლება.

**ედ პილკინგტონი**
**GUARDIAN**
**(დიდი ბრიტანეთი)**

# გერმანიის შს მინისტრი: ქვეყანაში 500-ზე მეტი ჯიჰადისტი იმყოფება

**გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას დე მეზიერმა გაზეთ „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე ამჟამად, სულ ცოტა, 520 „პოტენციური ბოევიკი-ჯიჰადისტი“ იმყოფება.**

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებისადმი მიძღვნილ ინტერვიუში ტომას დე მეზიერმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ველარ დაუბრუნდება იმ მდგომარეობას, რომელიც იყო 2001 წლის 11 სექტემბერს „ალ-ქაიდის“ მიერ განხორციელებულ შეტევამდე.

გერმანიის შს მინისტრმა განაცხადა, რომ მოცემულ მომენტში გერმანიაში 520 „პოტენციური ბოევიკი-ჯიჰადისტი“ იმყოფება, მათ გარდა, გერმანიის მთავრობისთვის ცნობილია კიდევ 360 ადამიანის შესახებ, რომლებსაც კავშირი აქვთ „პოტენციურ ტერორისტებთან“. ამასთანავე, მეზიერმა აღნიშნა, რომ არიან ტერორისტები, რომლებიც მალულად გადადიან ევროპის ტერიტორიაზე და თავდასხმებს აწყობენ ისე, რომ მათი მოქმედების გათვლა შეუძლებელია. ასე ტერორისტებს განეკუთვნებიან ფანატიკოსი-თავითმკვლელები, რომლებიც ხშირად მარტო მოქმედებენ.



**ყოველდღიურმა გაზეთმა AKSAM-მა პირველმა დაარტყა ბართლომე I; რამდენიმე დღის წინათ ამ გამოცემის მოწინავე სტატიაში მოთხრობილი იყო რელიგიური მოღვაწის მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში. ავტორები დეტალურად აღწერდნენ ყველაფერს, მასალას ერთვოდა ფოტოები, რომლებზეც ბართლომე და ფეთჰულაჰ გიულენი ერთად არიან გამოსახულნი.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერდოღანმა სამიზნეში ბართლომე I ამოიღო

**კონსტანტინოპოლის პატრიარქს ჯვარედინი ცეცხლი გაუხსნა თურქულმა პრესამ. ის მასალებს აქვეყნებს ტრიადაზე, რომელიც ამზადებდა შეთქმულებას თურქეთის ლეგიტიმური მთავრობის წინააღმდეგ: გიულენზე, აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და საპატრიარქოზე.**





ამა წლის ივლისში **რეჯებ თაიფ ერდოღანის** რეჟიმის დამხობის მცდელობაში ეჭვმიტანილთა შორის ჟურნალისტებთან, სამხედროებსა და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ეკუმენისტური ეკლესიის პატრიარქიც აღმოჩნდა — ბართლომე I.

იმ ღამის შემდეგ, როდესაც ერდოღანის ხელისუფლებას რამდენიმე საათით დაემუქრა საფრთხე, თურქულმა პრესამ პირველად ამოიღო სამიზნეში ბართლომე I.

**ყოველდღიურმა გაზეთმა AKSAM-მა პირველმა დაარტყა ბართლომე I; რამდენიმე დღის წინათ ამ გამოცემის მოწინავე სტატიაში მოთხრობილი იყო რელიგიური მოღვაწის მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში. ავტორები დეტალურად აღწერდნენ ყველაფერს, მასალას ერთვოდა ფოტოები, რომლებზეც ბართლომე და ფეთჰულაჰ გიულენი ერთად არიან გამოსახულნი.** თუმცა ფოტოები გადაღებულია 1990-იან წლებში, როცა მქადაგებელი გიულენი ჯერ კიდევ არ იყო პენსილვანიაში გადაბარგებული და ერდოღანის მეგობრად და მრჩევლად ითვლებოდა.

Aksam-ი მოგვითხრობს ტრიადაზე, რომელიც შეთქმულებას ამზადებდა ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ: გიულენზე, ცსს-სა და საპატრიარქოზე, რომლის შეთქმულებაში მონაწილეობის მიზეზი, სტატიის ავტორის აზრით, თურქეთისა და რუსეთის ხელისუფლებების დაახლოების გამო, პატრიარქ **კირილეს** ხელმძღვანელობით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და თურქეთის სასულიერო პირების დაახლოებაში უნდა ვეძებოთ. როგორც ცნობილია, რუსეთის პატრიარქს ცუდი დამოკიდებულება აქვს ბართლომე I მიმართ.

მოვლენების რეკონსტრუქციას, რომელსაც გაზეთი აქვეყნებს, საფუძვლად უდევს იემენში აშშ-ის ყოფილი ელჩის — **არტურ ჰიუზის** დოსიე. ამ დოსიეში არსებული მასალების მიხედვით, ჰიუზი ყვება მჭიდრო კავშირის შესახებ გიულენსა და ბართლომეს შორის, თუმცა ვაშინგტონელმა დიპლომატმა ამ დოსიეში მოყვანილი ფაქტები კატეგორიულად უარყო და მიაღწია იმას, რომ სტატია ინტერნეტიდან გააქრეს. მაგრამ შეესაბამება თუ არა დოსიეში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს, ამას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ **ერდოღანის სამიზნეში კონსტანტინოპოლის პატრიარქი აღმოჩნდა, რომელიც განსაკუთრებული სიფრთხილით გამოირჩეოდა შეუმდგარი გადატრიალების მომდევნო კვირებში.**

**ეკუმენისტურ ეკლესიასა და სახელმწიფო დაწესებულებების ქსელს შორის კავშირზე ლაპარაკი იყო იოანე პავლე მეორის პერიოდშიც. იოანე პავლე მეორემ 1998 წელს გაიცნო გიულენი... ბართლომე კი, რომელიც კომენტარისგან თავს იკავებს და, ალბათ, მომავალზე ფიქრობს, კარგად ხვდება, რომ მას, ვინც მის ადგილს დაიკავებს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს თურქეთის მოქალაქეობა, რომელიც ამჟამინდელ პირობებში ადვილი მოსაპოვებელი არ არის**

**სტამბოლში ერდოღანის ტრიუმფით დაბრუნების შემდეგ მის მომხრეთა შორის მყოფმა რელიგიურმა მოღვაწეებმა გაავრცელეს დოკუმენტი, რომელშიც გამოხატავდნენ „ღრმა მწუხარებას ტრაგიკული ინციდენტის გამო, რომელმაც დაარღვია სიმშვიდე მშვენიერ ქვეყანასა და მსოფლიოში“.** ამ დოკუმენტს სხვებთან ერთად ხელს აწერდა ბართლომე I. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. როგორც მიმომხილველები აღნიშნავდნენ, თურქეთის ხელისუფლებამ ისარგებლა შემთხვევით, რომ მკაფიოდ მიეთითებინა კუთვნილ ადგილზე იმ რელიგიური ლიდერისთვის, რომელიც საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს უცხოეთში. წერილიც კი გაუგზავნა რომის კათოლიკურ ეკლესიას, რომელთანაც უკვე წელიწადია, ურთიერთობა გაუფუჭდა, როცა **რომის პაპმა** წმინდა პეტრეს ტაძარში ოსმალეთის იმპერიის პერიოდში სომხების გენოციდზე ილაპარაკა. გადატრიალების წარუმატებელ მცდელობამდე კარგა ხნით ადრე, იმავე Aksam-ში გამოქვეყნდა მასალა გიულენის მიერ ამერიკიდან დაფინანსებულ ეკლესიაზე, რომელსაც, რა თქმა უნდა, „ვატიკანი მიესალმა“ (ასე იყო ნათქვამი სტატიაში). იმავე წყაროს ცნობით, ვატიკანი მიესალმა შეთანხმების გაფორმებას ლევენის კათოლიკურ უნივერსიტეტსა (ბელგია) და პენსილვანიაში გადახვეწილ გიულენს შორის. ამ შეთანხმების მიხედვით, ბელგიაში უნდა მოემზადებინათ იმამები მათ შესაცვლელად, რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ თურქეთში. მაგრამ ეს ინფორმაცია უნივერსიტეტმა უარყო. აღსანიშნავია, რომ **ეკუმენისტურ ეკლესიასა და სახელმწიფო დაწესებულებების ქსელს შორის კავშირზე ლაპარაკი იყო იოანე პავლე მეორეს პერიოდშიც. იოანე პავლე მეორემ 1998 წელს გაიცნო გიულენი.**

საპატრიარქო ჯერჯერობით „მხოლოდ სინანულს“ გამოთქვამს „ცრუ ბრალდებების“ გამო. ნოტაში, რომელსაც ხელს აწერს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი, პროტოპროსვიტერი **დოსითეოს აგნოსტპულოსი**, უარყოფილია შეთქმულებაში მონაწილეობა. საპატრიარქოს წევრები სააგენტო Fides-თან საუბრისას აღნიშნავენ, რომ მომხდარი მოაგონებთ ოპერაციას, რომელიც ბართლომე I მდგომარეობის გასართულებლად დაიწყო. ბართლომე კი, რომელიც კომენტარისგან თავს იკავებს და, ალბათ, მომავალზე ფიქრობს, კარგად ხვდება, რომ მას, ვინც მის ადგილს დაიკავებს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს თურქეთის მოქალაქეობა, რომელიც ამჟამინდელ პირობებში ადვილი მოსაპოვებელი არ არის.

**მატეო მატცუცი**
IL Foglio (იტალია)

**„დიდი ბრიტანეთის სპეციალურმა კომისიამ გამოაქვეყნა მოხსენება ლიბიაში დასავლეთის შეჭრის შედეგების შესახებ“, — იუწყება „ბი-ბი-სი“.**

# ბრიტანეთის პარლამენტმა აღიარა, რომ ლიბიაში შეჭრამ კოლაფსი გამოიწვია

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2011 წელს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მონაწილეობით ლიბიაში დაწყებულმა სამხედრო ოპერაციამ აფრიკული ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კოლაფსამდე მიიყვანა. ამას გარდა, ბრიტანეთის პარლამენტი ხაზს უსვამს, რომ მთავრობა ეყრდნობოდა ცრუ ინფორმაციას, როდესაც დათანხმდა ინტერვენციაზე. ამაზე მოხსენებაში პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობის ყოფილ მეთაურს — **დევიდ კამერონს**, რომელიც აქტიურად უჭერდა მხარს სამხედრო ოპერაციის დაწყებას და მთავარი როლი შეასრულა გადაწყვეტილების მიღებაში. მოხსენებაში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ ლიბიაში შეჭრის ერთ-ერთი ინიციატორი იყო საფრანგეთი.

**2016 წლის დასაწყისში აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის საიდუმლო წერილების მორიგი ულუფის გასაჯაროებისას გამოქვეყნდა მიმოწერა, რომელშიც ლაპარაკია ლიბიის ლიდერის მუამარ კადაფის რეჟიმის დახობაზე და, რომელიც ნათელს ჰფენს დასავლეთის აგრესიის მიზეზებს ლიბიის წინააღმდეგ. უფრო ადრე ბრიტანული მედია წერდა, რომ დაიწყო ასრულება კადაფის წინასწარმეტყველებისა, რომელიც მან დამხობამდე ცოტა ხნით ადრე ბრიტანეთის პრემიერს განუცხადა სატელეფონო საუბრისას.** ეს საუბარი გაიმართა 2011 წლის თებერვლის ბოლოს, როდესაც ლიბიაში სამოქალაქო ომი დაიწყო. პოლკოვნიკმა კადაფიმ ბლერთან საუბრისას განაცხადა, რომ მის ქვეყანას უტევენ ტერორისტული დაჯგუფებები. იმის მსგავსი, როგორც ოსამა ბინ ლადენმა ჩამოაყალიბა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის წინ.





**„ტერორისტების გეგმის მიხედვით, მათ კონტროლი უნდა დაამყარონ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე... მათ სურთ, გააკონტროლონ ხმელთაშუა ზღვა და შემდეგ შეუტიონ ევროპას. ეს აუცილებლად უნდა აუხსნათ საერთაშორისო თანამეგობრობას“.** საუბარი 30 წუთს გაგრძელდა. ლიბიის ლიდერი ამბობდა, რომ ის ცდილობს დაიცვას ლიბია „ალ-ქაიდას“ ბოევიკებისგან, რომლებსაც შემდეგ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები ჩაანაცვლებენ.

**„ჩვენ კი არ ვებრძვით მათ, ისინი გვიტევენ ჩვენ... ლიბიელები დაიღუპებიან... შეტევა კი გავრცელდება ევროპასა და სრულიად მსოფლიოში“,** — განუცხადა კადაფიმ ტონი ბლერს.

ბრიტანეთის პრემიერმა ორჯერ დაურეკა კადაფის და შეეცადა, დაერწმუნებინა, დაეტოვებინა ტრიპოლი.

მოგვიანებით ნატოს კოალიციამ დაბომბა ლიბიის სამთავრობო ჯარების პოზიციები, აგრეთვე, ლიბიის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა და კადაფის ოჯახის წევრების სახლები.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ობამას ადმინისტრაცია დილმა რუსეფის ჩამოშორებას ხელისუფლებიდან, არგენტინის საპრეზიდენტო არჩევნებში მაურისიო მაკრის გამარჯვებასთან ერთად, ლათინურ ამერიკაში თავის მიღწევად მიიჩნევს. ვაშინგტონში არც მალავენ, რომ მორიგი ამოცანა ვენესუელაში ნიკოლას მადუროს დამხობაა. პოლიტოლოგთა პროგნოზებით, ვენესუელის პრეზიდენტზე შეტევა განსაკუთრებით გამწვავდება სექტემბერ-ოქტომბერში.**

# «რბილი» გადატრიალება ბრაზილიაში: იწყება ქვეყნის გაყიდვა

**დილმა რუსეფმა სენატის მიერ მისთვის იმპიჩმენტის გამოცხადების შემდეგ პრეზიდენტის რეზიდენცია — ალდორადა — დატოვა. ბრაზილიის პრეზიდენტის სავარძელი დაიკავა 76 წლის მიშელ ტემერმა, რომელიც, დიდი ხანია, იბრძოდა ამ პოსტისთვის, მაგრამ არასოდეს ჰქონდა საზოგადოების საკმარისი მხარდაჭერა.**




მემარცხენე ძალები ბრაზილიას 13 წლის განმავლობაში მართავდნენ. **ინასიო ლულა და სილვა**, მშრომელთა პარტიის ლიდერი, ორჯერ იყო არჩეული პრეზიდენტის პოსტზე. მისი მმართველობის პერიოდში ბრაზილიაში ჩატარდა სოციალურ-დემოკრატიული რეფორმები და ქვეყანამ ბევრი მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობა მოიპოვა სამხრეთ ამერიკაში. 2011 წელს ლულა და სილვამ საპრეზიდენტო ესტაფეტის ჯოხი დილმა რუსეფს გადასცა. რუსეფის მმართველობის მეორე ვადა 2015 წელს დაიწყო. ამჯერად მისთვის არჩევნებში გამარჯვება რთული აღმოჩნდა — ოპოზიციის კანდიდატ **აესიო ნევესს** ხმების ცოტა რაოდენობით გადაასწრო, რაც ქვეყნის შიგნით ვითარების გამწვავების საწინდარი იყო.

**ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა მსოფლიოს ეკონომიკაში დაწყებულმა კრიზისულმა პროცესებმა. რამდენიმეწლიანი დინამიკური ზრდის შემდეგ ბრაზილიის ეკონომიკის მაჩვენებლები შემცირდა. მოიმატა უმუშევრობის დონემ, ბრაზილიურმა რეალმა თავისი ღირებულების მესამედი დაკარგა დოლარის მიმართ, შეფერხდა მთავრობის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამები (ხშირად — საბოტაჟის გამო). ამ ყველაფერმა შეამცირა ხალხის მხარდაჭერა რუსეფის მიმართ.**

მშრომელთა პარტიის ავტორიტეტი შელახა კორუფციულმა სკანდალებმაც. ოპოზიციურმა მედიასაშუალებებმა, რომლებსაც მედიაჰოლდინგი O'Globo აკონტროლებს, ააგორეს სკანდალი მმართველი პარტიის ფუნქციონერების მიერ კომპანია Petrobras-ის ნავთობდოლარების მითვისებაზე. საქმის მასალების მიხედვით კორუფციაში ჩართული იყო 60-ზე მეტი მაღალჩინოსანი — გუბერნატორები, მეწარმეები, პოლიტიკოსები, გავლენიანი ჟურნალისტები. მიუხედავად იმისა, რომ კორუფციონერთა უმრავლესობა ოპოზიციონერია, სკანდალმა ძალიან დაარტყა რუსეფის რეიტინგს — ის თავის დროზე Petrobras-ის ხელმძღვანელი იყო. ამასთანავე, რუსეფი საბიუჯეტო კანონმდებლობის დარღვევასა და 2014 წლის საარჩევნო პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტის დამალვაშიც დაადანაშაულეს.

**რუსეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში ბევრი პირი მონაწილეობდა. გაზეთ FOLHA DE SAN PAULO-ში გამოქვეყნდა სენატორ რომერუ ჟუკას სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, რომლებიც წარმოდგენას იძლევა შეთქმულების მასშტაბზე. მასში ჩართული იყვნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, დიდი გამოცემები, სამხედროები. რომერუ ჟუკას ერთ-ერთი თანამოსაუბრე ასე აღწერდა ვითარებას: „დილმასთვის გამოსავალი ასეთია — ან ნებაყოფლობითი წასვლა, ან იმპიჩმენტი. ნებაყოფლობითი წასვლა უფრო „რბილი" იქნება. ქვეყანა დამშვიდდება".**

კულისებში ხანგრძლივი მანევრების შედეგად 2016 წლის 12 მაისს დილმა რუსეფი დროებით ჩამოაშორეს პრეზიდენტის პოსტს — სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე. ვარაუდობდნენ, რომ პროცედურას 6 თვე მაინც დასჭირდებოდა, მაგრამ უკვე 31 აგვისტოს ბრაზილიის სენატმა უფლებამოსილება შეუწყვიტა დილმა რუსეფს (მომხრე იყო 61 სენატორი, წინააღმდეგი — 21). იქვე, პრაქტიკულად, შესვენების გამოუცხადებლად, გაიმართა ინაუგურაცია ტემერისა, რომელმაც წარმოთქვა ტრადიციული ფიცი: „მე ვკისრულობ ვალდებულებას, დავიცვა ბრაზილიის ერთიანობა, მთლიანობა და დამოუკიდებლობა".

**ტემერი, თუ შეთქმულთა გეგმებს ვერაფერი დაარღვევს, ქვეყნის სათავეში 2018 წლის 31 დეკემბრამდე დარჩება— სახელმწიფოს მეთაურის ახალ არჩევნებამდე. ეს პერსპექტივა ბევრი ბრაზილიელის გაღიზიანებას იწვევს. ამას მოწმობს საპროტესტო მარშები ტემერის, როგორც „საეჭვო ლეგიტიმაციის მქონე პრეზიდენტის წინააღმდეგ, აღსანიშნავია, რომ ტემერის რეიტინგი 9-12%-ია.**

ახალი პრეზიდენტის მომხრეები ამბობენ, რომ კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა 2020 წლისთვის მოხერხდება, თუკი ჩატარდება „ანტიპოპულისტური" ეკონომიკური რეფორმები, შემცირდება სახელმწიფოს ხარჯები და დამყარდება წესრიგი საგადასახადო სფეროში.

**ტემერმა, რომელიც არ იღლება რუსეფის მთავრობის უუნარობაზე ლაპარაკით, 13 სექტემბერს რეფორმების თავისი პროექტი წარმოადგინა.**

## «ვიკილიქსის» ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ბრაზილიელი პოლიტოლოგები ტემერს დაუფარავად უწოდებენ «აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის ინფორმატორს»

**პროექტში ჩადებულია სახელმწიფო საკუთრების უდიდესი ობიექტების პრივატიზაცია.**



გაზეთ The Globe and Mail-ის მონაცემებით, **ბრაზილიის სახელმწიფო აქტივების პრივატიზაციით მიღებული თანხა 24 მილიარდ დოლარს მიაღწევს. გაიყიდება ორი პორტის ტერმინალები და 4 აეროპორტი პორტუ-ალეგრიში, სალვადორში, ფლორიანოპოლისსა და ფორტალეზეში. პრივატიზებას დაექვემდებარება, აგრეთვე, ჰიდრო და ენერგიის გამანაწილებელი სადგურები, სარკინიგზო მაგისტრალები, უფლება ნავთობსაბადოების მართვის შესახებ. კერძო ფირმებს შესთავაზებენ სხვადასხვა პერსპექტიულ პროექტს — ახალი გზების მშენებლობიდან სამთომომპოვებელი ქარხნების გახსნამდე.**

ქვეყნის საკვანძო ინფრასტრუქტურული ობიექტების გაყიდვის გეგმას ტამერი წარადგენს (და როგორც ჩანს, შეათანხმებს) აშშ-ში: ის მონაწილეობას მიიღებს გაეროს გენერალური ასამბლეის მუშაობაში.

ბრაზილიის ახალი ხელისუფლება ფსონს ვაშინგტონთან დაახლოებაზე დებს. **„ვიკილიქსის" ვებგვერდზე ბრაზილიაში აშშ-ის საელჩოს ანგარიშების გამოქვეყნების შემდეგ გაირკვა, რომ მიშელ ტემერს, დიდი ხანია, მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამერიკელ დიპლომატებთან. ის აშშ-ის საელჩოში გამართული ოფიციალური მიღებების მუდმივი სტუმარი იყო, თუმცა ზოგიერთი შეხვედრა „არაოფიციალურადაც" იმართებოდა.** ამ შეხვედრების გაშიფრული ანგარიშების ნაწილი მოდიოდა სან-პაულუში მდებარე აშშ-ის გენერალურ საკონსულოზე, ამასთანავე, გაგზავნილი დოკუმენტების ადრესატებს შორის მითითებული იყო აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამხრეთის სარდლობა მაიამიში. ამერიკელები, კერძოდ, დაინტერესებულნი იყვნენ პრეზიდენტ ინასიო ლულა დუ სილვას პოლიტიკის ისეთი ასპექტებით, როგორიც არის რუსული იარაღის შეძენა. **„ვიკილიქსის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ბრაზილიელი პოლიტოლოგები ტემერს დაუფარავად უწოდებენ „აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის ინფორმატორს".**

ამერიკელ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებთან სანდო ურთიერთობა აქვს, აგრეთვე, **ალოისიო ნუნესსაც** — სენატორს, პარტია „ბრაზილიის დემოკრატიული მოძრაობის" წევრს, რომელშიც გაერთიანებულია ტემერი. ნუნესი დილმა რუსეფის იმპიჩმენტის მთავარი ორგანიზატორი იყო. ტემერის დავალებით სწორედ ის წავიდა ვაშინგტონში სხვადასხვა საკითხის შესათანხმებლად. ნუნესი სამი დღის განმავლობაში მართავდა კონსულტაციებს აშშ-ის სენატის საერთაშორისო საკითხების კომიტეტის წევრებთან, აგრეთვე, ლობისტური ორგანიზაცია Albright Stonebridge group-ის წარმომადგენლებთან, რომელსაც აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი **მადლენ ოლბრაიტი** ხელმძღვანელობს. ნუნესი, აგრეთვე, შეხვდა ბრაზილიაში აშშ-ის ყოფილ ელჩს, ამჟამად სახელმწიფო მდივნის მოადგილეს პოლიტიკურ საკითხებში — **ტომას შენონს.**

**ტემერის დაჯგუფების მიერ აშშ-ის ინტერესების სასარგებლოდ განხორციელებული „რბილი" გადატრიალება, ბრაზილიის საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციაზეც აისახება. თავიანთ ჰიბრიდულ ომში ბრიქსის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა) წინააღმდეგ აშშ-მა დამხმარე ძალა მიიღო. ამჟამად არც ის არის ნათელი, როგორ განვითარდება და როგორ გარდაიქმნება ბრაზილიის გეგმა სამხრეთ ამერიკის თავდაცვის საბჭოს კონსოლიდაციის შესახებ, რომელიც პოტენციურად დასავლეთ ნახევარსფეროში აშშ-თან დაპირისპირების ცენტრად უნდა ქცეულიყო.**

ობამას ადმინისტრაცია დილმა რუსეფის ჩამოშორებას ხელისუფლებიდან, არგენტინის საპრეზიდენტო არჩევნებში **მაურისიო მაკრის** გამარჯვებასთან ერთად, ლათინურ ამერიკაში თავის მიღწევად მიიჩნევს. ვაშინგტონში არც მალავენ, რომ მორიგი ამოცანა ვენესუელაში **ნიკოლას მადუროს** დამხობაა. პოლიტოლოგთა პროგნოზებით, ვენესუელის პრეზიდენტზე შეტევა განსაკუთრებით გამწვავდება სექტემბერ-ოქტომბერში.

მიშელ ტემერი და მისი გარემოცვა სწრაფად ჩაერთო ვენესუელის დესტაბილიზაციის კამპანიაში. მაგალითად, **ჟოზე სერამ**, ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მოუწოდა ვენესუელაში რეფერენდუმის ჩატარებისკენ, რათა სწრაფად მოხდეს პოსტიდან ნიკოლას მადუროს გადაყენება, „რომელმაც ქვეყანას ავტორიტარული რეჟიმი მოახვია თავს".

თვით მადურომ კი ზუსტად შეაფასა კონტინენტზე შექმნილი სიტუაცია. **„ბრაზილიაში საპარლამენტო გადატრიალება მიმართულია არა მხოლოდ დილმა რუსეფის, არამედ ლათინური ამერიკის ყველა მემარცხენე ძალის წინააღმდეგ. ვენესუელის პრეზიდენტმა სოციალურ ქსელში დაწერა: „ჩვენ სოლიდარულები ვართ დილმა რუსეფისა და ბრაზილიელი ხალხის მიმართ, ჩვენ ვგმობთ მემარჯვენე ძალების ამ ოლიგარქიულ გადატრიალებას".**

ტემერი აცნობიერებს, რომ ნეოლიბერალური პროექტის სარეალიზაციოდ მოსახლეობის მხარდაჭერა არ ეყოფა. ის ჩქარობს, თავისი „გარდაქმნა" მანამდე დაიწყოს, სანამ მისი ოპონენტები გადაეწყობიან (ეს უკვე ხდება) და კონტრშეტევაზე გადავლენ.

ბრაზილიის ახალი რეჟიმი ცდილობს, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს ძალაუფლება. შეიარაღებული ძალებისა და პოლიციის მხარდაჭერა მას თითქმის უზრუნველყოფილი აქვს, მაგრამ ძალის გამოყენების ვარიანტებზე ჯერ მხოლოდ კულისებში მსჯელობენ.

„ჯერჯერობით ცხადი არ არის, მიდის თუ არა ბრაზილია დიქტატურისკენ, — წერს ბრაზილიელი პოლიტოლოგი, პროფესორი **ემირ სადერი**, — დემოკრატიას ბრაზილიაში მტკიცე ტრადიციები არ აქვს. ბოლო 90 წლის განმავლობაში საყოველთაო არჩევნებით არჩეულმა მხოლოდ სამმა პრეზიდენტმა დაასრულა საპრეზიდენტო ვადა. 30 წლის განმავლობაში კი ქვეყანა დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის გარეშე ცხოვრობდა. ხალხის მიერ არჩეული 4 პრეზიდენტი კი მემარჯვენეებმა დაამხეს".

როგორც უნდა განვითარდეს მემარჯვენე ძალების მიერ მოწყობილი გადატრიალება ბრაზილიაში, ჩანს, რომ ქვეყანაში მასობრივი უკმაყოფილებისა და ახალი რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლების ფონზე ხანგრძლივი საშინაო პოლიტიკური კონფლიქტი იწყება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს აშშ სირიის სამოქალაქო ომში ჩაერია. ამასთანავე, ამ კონფლიქტში ირანის — სირიის მეზობელი ქვეყნის — ჩარევა განიხილება, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ ამ ქვეყანას არ აქვს კეთილსინდისიერი მიზნები. ამერიკელი ქორები ზუსტად ასევე, აღმაშფოთებლად აფასებენ რუსეთის ჩარევასაც და ამ სახელმწიფოს მოქმედებაში ხედავენ ოდიოზურ მოტივებს, მიუხედავად იმისა, რომ სირია მხოლოდ 600 მილით არის დაშორებული რუსეთის სამხრეთი საზღვრიდან, ხოლო სირიის ხელისუფლება, ათეულობით წელია, რუსეთის მოკავშირეა.**



# აღმოსავლეთ გერმანიაში ადგილობრივები მიგრანტებს დაუპირისპირდნენ

**„აღმოსავლეთ გერმანიის ქალაქ ბაუტცენში შეტაკება მოხდა მიგრანტებსა და ადგილობრივ ულტრამემარჯვენეებს შორის", — იუწყება ტელერადიოკომპანია MDR.**

შეტაკებაში მონაწილეობდა რამდენიმე ათეული ლტოლვილი და 80-მდე ადგილობრივი. თავდაპირველად დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ და ბოთლებს ესროდნენ, მაგრამ დაახლოებით 100 პოლიციელის გამოჩენის შემდეგ კონფლიქტი გაღრმავდა — ლტოლვილებმა სამართალდამცველებს შეუტიეს და მათი ხელკეტებით ცემა სცადეს, შემდეგ კი ბოთლები დაუშინეს. ადგილობრივებმა კი პასუხად მიგრანტების ცემა დაიწყეს. მას შემდეგ, რაც პოლიციელებმა შეძლეს მოჩხუბართა გაშველება, გადაწყვიტეს ლტოლვილები საცხოვრებელ ადგილამდე მიეცილებინათ, მაგრამ ულტრამემარჯვენეებმა მათ თავი არ დაანებეს — გაჰყვნენ მიგრანტებს და სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ, აგრეთვე, ქვები დაუშინეს სასწრაფო დახმარების მანქანას, რომელიც ერთ-ერთი დაჭრილი მიგრანტის კლინიკაში გადასაყვანად მივიდა.

ამა წლის თებერვალში ბაუტცენში ლტოლვილთა მშენებარე თავშესაფარი დაწვეს. ხანძრის სალიკვიდაციოდ მისულ მეხანძრეებს, ადგილობრივები ხელს უშლიდნენ ცეცხლის ჩაქრობაში.

# აშშ-ის თვითკმაყოფილება თავისი განსაკუთრებულობის შესახებ ახლომხედველური და სახიფათოა

**The National Interest-ი წერს ამერიკულ ფარისევლობაზე, როდესაც ლაპარაკია უცხოურ „პროვოკაციებზე". ამერიკაში არსებობს რწმენა, რომ ყველაფერი, რასაც აშშ სამხედრო თვალსაზრისით აკეთებს საერთაშორისო არენაზე, არათუ მიუღებელია, არამედ კრიტიკასაც არ უნდა დაექვემდებაროს.**



ამ ლოგიკით, ვაშინგტონსა და მის მოკავშირეებს სრული უფლება ჰქონდათ, 1990 წელს აემოქმედებინათ „არასაფრენი ზონები", რათა გავლენა მოეხდინათ ბოსნიის კონფლიქტის შედეგებზე. ამას გარდა, აშშ-ს სრული უფლება ჰქონდა, ასეთივე შეზღუდვა დაეწესებინა ერაყშიც.

ანალოგიური ლოგიკით, **დღეს აშშ სირიის სამოქალაქო ომში ჩაერია. ამასთანავე, ამ კონფლიქტში ირანის — სირიის მეზობელი ქვეყნის — ჩარევა განიხილება, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ ამ ქვეყანას არ აქვს კეთილსინდისიერი მიზნები. ამერიკელი ქორები ზუსტად ასევე, აღმაშფოთებლად აფასებენ რუსეთის ჩარევასაც და ამ სახელმწიფოს მოქმედებაში ხედავენ ოდიოზურ მოტივებს, მიუხედავად იმისა, რომ სირია მხოლოდ 600 მილით არის დაშორებული რუსეთის სამხრეთი საზღვრიდან, ხოლო სირიის ხელისუფლება ათეულობით წელია, რუსეთის მოკავშირეა.**

ყველა ამერიკული მედიასაშუალება სირიის კონფლიქტში განიხილავს რუსეთის ჩარევას, როგორც სრულიად არალეგიტიმურს, ამერიკელთა ინტერვენცია კი 6000 მილით დაშორებულ ტერიტორიაზე მიიჩნევა როგორც არა მხოლოდ აუცილებელ ზომად, არამედ სტრატეგიულად და მორალურად საჭირო ღონისძიებად.

ასეთი **ორმაგი სტანდარტები აშკარაა ამერიკელი სამხედრო ხომალდების განლაგების მიმართაც სამხრეთ ჩინეთის, ბალტიისა და შავ ზღვებში. აშშ-ის მთავრობის მხრიდან გამუდმებით ისმის, რომ რუსეთის თვითმფრინავები და გემები სდევნიან ამერიკულ ხომალდებს. მაგრამ არ შეიმჩნევა იმის გაცნობიერებაც კი, რომ მოსკოვს სამართლებრივი უფლება აქვს, თავის საზღვრებთან ახლოს ამერიკელთა სამხედრო ოპერაციები ეროვნული უსაფრთხოებისთვის შექმნილ მუქარად განიხილოს.**

ირანის, რუსეთისა და ჩინეთის შემთხვევაში **ამერიკელებმა უნდა წარმოვიდგინოთ: რა რეაქცია ექნება აშშ-ს, თუ სხვა სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალები დაუპატიჟებელი სტუმრებივით გამოჩნდებიან ჩვენს ტერიტორიულ წყლებთან ახლოს და ამას გააკეთებენ არაერთხელ, ვაშინგტონის უარყოფითი რეაქციის მიუხედავად? ამას ხომ აშშ-ის ხელისუფლება და ხალხი მეგობრულ საქციელად არ ჩათვლიან. წარმოიდგინეთ მათი რეაქცია, თუკი, მაგალითად, ჩინეთის სამხედრო ხომალდები „ნავიგაციის თავისუფლების" სახელით რეგულარულად დაიწყებენ სამხედრო სწავლების ჩატარებას მექსიკის ყურეში.**

ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა და მასმედიამ უფრო ღრმად უნდა გაათვითცნობიერონ, როგორ აღიქვამენ სხვა სახელმწიფოები და ხალხები აშშ-ის სამხედრო მოქმედებებს. თვითკმაყოფილი განცხადებები, რომ „ჩვენ კარგი ბიჭები ვართ, ამიტომ პროვოკაციულსა და არამართებულს არაფერს ვაკეთებთ", ეს ახლომხედველობის გამოვლენაა და ძალიან სახიფათოა.

სხვა ქვეყნების აზრით, აშშ-ის „გონივრული" მოქმედებები მათთვის სერიოზული საფრთხეა. და, რისკების მიუხედავად, ამ ქვეყნებიდან რამდენიმეს უკვე აღარ სურს, ქედი მოიდრიკოს ამერიკის წინაშე.

**The National Interest**

# აშშ იძულებულია, დატოვოს რუსეთის სამხრეთი საზღვარი

**„საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა და ოპერაცია „შეუმუსვრელი თავისუფლება" ავღანეთში აშშ-ისთვის მხოლოდ საბაბი იყო შუა აზიაში შესასვლელად", — განაცხადა ყირგიზეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა (1990-2005) „რია ნოვოსტისთვის" 15 სექტემბერს მიცემულ ინტერვიუში.**



2001 წელს ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დაწყების წინ აშშ-მა სამხედრო ბაზები შექმნა ყირგიზეთსა და უზბეკეთში. მაგრამ, აკაევის აზრით, ამერიკელებს ერთდროულად რამდენიმე მიზანი ჰქონდათ დასახული — საკუთრივ ტერორიზმთან ბრძოლის გარდა, აშშ-ს სურდა, სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში ფეხი მოეკიდებინა და გამაგრებულიყო.

**— 2001 წელს პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, ცენტრალური აზიის ქვეყნების ხელმძღვანელებმა, მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს ლიდერმა, ყველამ დაუჭირა მხარი ჯორჯ ბუშის მოწოდებას, ჩამოეყალიბებინათ საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიცია, რადგან ამ ტერაქტიდან მიღებული შთაბეჭდილება ძალიან ძლიერი იყო... მაგრამ შემდეგ ადამიანებმა დაინახეს, რომ ამერიკელებს ბევრი მიზანი ჰქონდათ, და ისინი სულაც არ აპირებდნენ საერთაშორისო ტერორიზმის განადგურებას ყველგან და ყველაფერში.**

**მსოფლიოს ზოგიერთ ადგილას კი პირიქით — ხელს უწყობდნენ ტერორისტული დაჯგუფების შექმნას თავიანთი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის".** — განაცხადა აკაევმა.

ეს თვალსაზრისი ახალი არ არის. **ექსპერტები კარგა ხანია, ლაპარაკობენ რუსეთისა და ჩინეთის ალყაში მოქცევის ამერიკულ სტრატეგიაზე, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი განკუთვნილია, სახელდობრ, ცენტრალური აზიისთვის, როგორც პლაცდარმისთვის „ევრაზიის გულში", რათა სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური საშუალებებით განხორციელდეს ზემოქმედება რუსეთზე, ჩინეთზე, ირანსა და სრულიად ევრაზიის კონტინენტზე. მაგრამ, მიუხედავად სხვადასხვა პროგრამის ამოქმედებისა, მათ შორის, პენტაგონის ხაზით (კონტრტერორისტული პარტნიორობის ფონდი და ა.შ.), ამერიკელები იძულებული შეიქნენ, დაეხურათ ავიაბაზები უზბეკეთსა (ჰანაბადში) და ყირგიზეთში („მანასი").**

როგორია დღეს აშშ-ის პოზიციები ცენტრალურ აზიაში?

რეგიონის პოსტსაბჭოთა ისტორიაში ამერიკელთა პოლიტიკა რამდენჯერმე შეიცვალა. თავდაპირველად ამუშავდა ცენტრალური აზიის ქვეყნებში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ფართომასშტაბიანი პროგრამა. მის ჩარჩოებში სახელმწიფოების ტერიტორიებზე მუშაობა დაიწყო სხვადასხვა ორგანიზაციამ და კომერციულმა ფონდმა. ისინი თანამშრომლობდნენ განათლების სისტემის წარმომადგენლებთან, გარკვეულ როლს თამაშობდნენ მოქმედი რეჟიმების ოპოზიციის გაძლიერებაში. ამის ნათელი მაგალითია ყირგიზეთი, სადაც ე.წ. ტიტების რევოლუცია ასეთი ორგანიზაციების მუშაობის შედეგად მოაწყვეს. თუმცა ამ პერიოდში ამერიკელებს არასოდეს უთქვამთ უარი მოქმედ ხელისუფლებებთან— ავტორიტარულ რეჟიმებთან — კონსტრუქციულ ურთიერთობაზე. ასეთი ურთიერთობის გამოცდილება ამერიკელებმა სამხრეთ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში შეიძინეს. და მათი ეს პოლიტიკა დღემდე არ შეცვლილა. ბევრ სახელმწიფოსთან გაფორმდა ხელშეკრულება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გარკვეულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის შესახებ. რეგიონის სახელმწიფოები დიდი ხნის განმავლობაში ერთდროულად თანამშრომლობდნენ რუსეთთან, კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების ორგანიზაციისა („ტაშკენტის პაქტი") და ნატოს სტრუქტურებთანაც, რათა მაქსიმალურად გამოეყენებინათ რესურსი იმ საფრთხეების წინააღმდეგ, რომელიც მოდიოდა ავღანეთიდან.

21-ე საუკუნის დასაწყისში კი ვითარება შეიცვალა. **აშშ-სთვის ცენტრალური აზიის სახელმწიფოები პოტენციურ მოკავშირეებად იქცნენ ავღანეთის ტერიტორიაზე თალიბების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების ჩატარების საქმეში.** ამიტომ გაჩნდა ცენტრალურ აზიაში ამერიკული სამხედრო ბაზები და დაიწყო ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა. სწორედ აქედან იღებს სათავეს აშშ-ის ინტერვენცია ამ ქვეყნების სიღრმეში, რაც ბევრ ქვეყანაში ძალიან არ მოეწონათ. მაგალითად, **თურქმენეთმა, საერთოდ, არ დაუშვა უცხო ორგანიზაციები თავის ტერიტორიაზე, უზბეკებმა ჯერ უფლება მისცეს, ემუშავათ, შემდეგ კი დახურეს, ყაზახები კი ამ ორგანიზაციებს მკაცრად აკონტროლებენ. მოკლედ, თითოეულმა ქვეყანამ თავისი მექანიზმი გამოიმუშავა აშშ-ის მხრიდან ე.წ. რბილი ძალის წინააღმდეგ.**

ბოლო ხანს რეგიონში ამერიკელთა პოლიტიკას ციებცხელება შეეყარა. ეს გამოიწვია ბარაკ ობამას დაპირებამ, რომ ავღანეთიდან ჯარს გაიყვანდა, რაც ძალიან რთული საქმეა. აშშ-ს ეშინია ავღანეთიდან ჯარის სრულად გაყვანის, რადგან ასეთ შემთხვევაში მის მიერ ხელდასხმული რეჟიმი შეიძლება დაემხოს. შექმნა ქაოსისა, რომელიც რეგიონული მოთამაშეების — რუსეთის, ჩინეთისა და ინდოეთის — მოსაგვარებელი იქნება, ამერიკელთა ინტერესებში თითქმის არ შედის.

ამის გამო ამერიკელები ბოლომდე ვერ გარკვეულან რა სურთ, მიიღონ ავღანეთისგან, მით უმეტეს, შუა აზიის ქვეყნების ლიდერებისგან. ეს ყველაფერი გადაწყდება აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ — ახალი გუნდი შეიმუშავებს პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს ამერიკელთა დიპლომატიასა და სამხედრო პოლიტიკას ცენტრალურ აზიაში.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელები რეგიონში შეავიწროვეს რუსებმა და განსაკუთრებით — ჩინელებმა, რომლებმაც შეისყიდეს სხვადასხვა საბადო, საწარმო თუ ნედლეული.

**Poilitobzor.net**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მჯერა, რომ ლევან კალაძის გატაცების საქმეში ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და კალაძეების ყოველ ნაბიჯს გულდასმით აკონტროლებდნენ. უფრო მეტიც, სამწლიანი გამუდმებული მცდელობის შემდეგ ამ ჯგუფმა (ვგულისხმობ მაღალჩინოსნებსა და მათი დავალებით მოქმედ კრიმინალებს) მიზანს მიაღწია და კალაძეებს 200 000 დოლარი დასტყუა“.**

# ზურაბ დგებუაძე: კარლო კალაძე ტელეფონიდან მიყვიროდა, — თუ საქმეს არ ჩამოშორდები, იმ საფლავში დაგმარხავ, რომელსაც ასე თავგამოდებით ეძებო

**ბატონი ზურაბ დგებუაძე, შინაგან საქმეთა ექსმინისტრის — ვანო მერაბიშვილის ყოფილი თანაშემწე და ლევან კალაძის გატაცების საქმეში კალაძეების ადვოკატი, 9 წლის განმავლობაში გერმანიაში ცხოვრობდა პოლიტიკური დევნილის სტატუსით. ის პოლკოვნიკ ბათუ საღინაძის ინტერესებს იცავდა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. ცოტა ხნის წინათ კი ბატონი ზურაბი სამშობლოში დაბრუნდა...**

**— ბატონო ზურაბ, უცხოეთში გატარებული წლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდით. რას განიცდით?**

— უცნაური განცდა დამეუფლა. არასდროს ვყოფილვარ ამდენ ხანს უცხოეთში. 9 წლის შემდეგ პირველად დავეშვი თბილისის აეროპორტში და თურქმა სტიუარდესამ მშობლიურ ენაზე მომილოცა მშვიდობიანი დაფრენა. თბილსსაც უფრო აღმოსავლური ელფერი დაჰკრავს. თუმცა ჩემი მშობლიური უნივერსიტეტისა და უმაღლესი სასწავლებლების კედელებზე გამოკიდებული აზრებიდან შევიტყვე, რომ ახლა იქ ამერიკულ დიპლომსა და განათლებას იძლევიან. როგორ გგონიათ, კომუნისტების პერიოდში ვინმეს ანალოგიური საქციელი რომ ჩაედინა და ოდნავ შეცვლილი ტექსტით მიეწერათ, ცოდნის ტაძრებში რუსულ დიპლომსა და განათლებას ვიძლევითო, რა მოხდებოდა?

**— ალბათ, დიდი სტუდენტური მღელვარება აგორდებოდა.**

— ჰო, დიდი ამბავი ატყდებოდა, ახლა კი ვითომც არაფერი. ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ, მეორე მხრივ, სრულიად ლოგიკურიც. აღარ გვაქვს ლენინის ქუჩა, სამაგიეროდ, გვაქვს საქართველოს დიდი „მეგობრისა და დემოკრატის“ — ჯორჯ ბუშის ქუჩა. აღარ გვაქვს ლენინის ძეგლი, სამაგიეროდ, გვაქვს დიდი „მსახიობ-პოლიტკოსისა“ და „ბოროტების იმპერიასთან მებრძოლი რაინდის“ — **რონალდ რეიგანის** ძეგლი. თუ ამ ყველაფერს იმასაც დავუმატებთ, რომ სტალინის ძეგლი მისი მშობლიური ქალაქიდან ავიღეთ, ქუთაისში კი ფაშიზმზე გამარჯვების მემორიალი ავაფეთქეთ და უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლეც შევწირეთ, მაშინ ამერიკანიზაციას ჩვენში ღრმად გაუდგამს ფესვები.

**— როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს ასეთი სწრაფი სახეცვლილების მიზეზი?**

— მონური ფისქოლოგია. სადაც ძალაა, იმ ორბიტაზე ტრიალებს სუსტიც... ალბათ, ვერც ერთი სხვა ერის შვილი ვერ შექმნიდა ისეთ გენიალურ ნაწარმოებს, როგორც არის „ყვარყვარე თუთაბერი“.

**— სხვა კიდევ რა გეცათ თვალში?**

**— ჩემს მეხსიერებაში ახალგაზრდობის პერიოდიდან ჩარჩენილი „დავარცხნილი“, მშვიდი თბილისური გარემოს ნაცვლად, ირგვლივ ქაოსი, კვამლი და ჭუჭყი დამხვდა. თვალში განსაკუთრებით მეცა ქალაქის ცენტრალურ უბნებში წამოჭიმული უგემოვნო და ერთმანეთზე მიტმასნილი მონსტრი ნაგებობები. ქუჩებსა და ტროტუარებზე, ტრამვაი-ტროლებუსის ნაცვლად, ხმაურიანი ყვითელი ავტობუსები და ძველი მანქანების ფახფახი.**

**— და მაინც ის თქვენი სამშობლოა...**

— და გიყვარს ისეთი, როგორიც არის — კვამლიანი და ჭუჭყიანი. თუმცა, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ჩვენ, მკვიდრმა მოსახლეობამ, მალე სამშობლოშიც ემიგრანტებად ვიგრძნოთ თავი.

**— ასე საგანგაშოდ გვაქვს საქმე?**

— სამწუხაროდ, ამის ნიშნები აშკარაა. ჩვენებურები უცხოეთში გარბიან, ფულიანი უცხოელები აქ ჩამოდიან, დროსაც ატარებენ და ბიზნესსაც მართავენ. **„ავადსახსენებელ“ საბჭოთა სივრცეში ქართველებს საქმოსნებად გვიცნობდნენ, დასავლეთში კი კრიმინალების ან, უკეთეს შემთხვევაში, მოსამსახურეების იმიჯი გვაქვს. სხვა საგანგაშო ტენდენციაც შეიმჩნევა: გაჭირვებას გამოქცეული ქართველი ქალების არცთუ მცირე ნაწილი უცხოელებზე თხოვდება და ისედაც საგანგაშოდ შემცირებული ერის შვილები სხვა ჯიშს ვამრავლებთ.** არ გეგონოთ, რომ პირწავარდნილი ნაციონალისტი ვარ, ყველას აქვს უფლება, თავის ბედი ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლს დაუკავშიროს, ამაში დასაგმობი არაფერია. უბრალოდ, გააჩნია მოტივიაციას — რატომ აკეთებ ამას და იმასაც, რომ ჩვენ, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მყოფი ერის შვილებს, ცოტა სხვაგვარი პოზიაცია უნდა გვქონდეს. დღეს ებრაელი ერი არ იარსებებდა, დემოგრაფიული საკითხებისადმი მკაცრი კოსერვატიული დამოკიდებულება რომ არ ჰქონოდა.

**— 9 წლის განმავლობაში უცხოეთში ცხოვრობდით და ამ ხნის განმავლობაში იქ წარმატებული ქართველები და ქართული ოჯახები არ შეგხვედრიათ?!**



ზურაბ დგებუაძე

**«2001 წლის 4 ივლისს ვაზისუბანში, საცხოვრებელ კორპუსებთან ახლოს, ხევში, ლევან კალაძის გვამი იპოვეს. ჩემი ღრმა რწმენით, შემთხვევის ადგილზე მისულმა პროკურატურის გამომძიებელმა და სხვა სამართალდამცავებმა წინასწარგანზრახვით მიიჩნიეს ახალგაზრდა კაცის ცხედარი დაუდგენელ პიროვნებად და მუხათგვერდის სასაფლაოზე დამარხეს»**

— რა თქმა უნდა, გვყავს ისეთებიც, რომლებმაც თავიანთი ნიჭითა და შრომით ევროპული განათლება მიიღეს, ქართული ოჯახიც შექმნეს და საუკეთესო სპეციალისტებიც არიან. მაგლითად, გერმანიის იმ ქალაქში, რომელშიც მე ვცხოვრობდი, ასეთი ქართველები მოვიძიე და ჩემს გერმანელ მეგობრებთან ერთად გერმანულ-ქართული ცენტრი დავაფუძნეთ. ამ ცენტრში არიან საუკეთესო პროგრამისტები, ინჟინრები, იურისტები. სწორედ ასეთ კვალიფიციურ სპეციალისტებზე დგას დღეს გერმანიის სახელმწიფო. ასეთი კადრები სახელმწიფოს უდიდესი კაპიტალია, ჩვენ კი ამ კაპიტალს არ ვუფრთხილდებით და ვფანტავთ.

**— და რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის?**

— ჩვენ მიერ გერმანიაში დაფუძნებული გერმანულ-ქართული ცენტრის მიზანი, გარდა ქართულ-გერმანული კავშირების ხელშეწყობისა, ემიგრანტების საქართველოში დაბრუნებაა. აქცენტი სწორედ წარმატებული თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნებაზე კეთდება. ამ თემაზე ჯერ კიდევ 3 წლის წინათ ვესაუბრე გერმანიაში საქართველოს ელჩს — ბატონ **ლადო ჭანტურიას.** შევხვდი მაღალი რანგის გერმანელ პოლტიკოსებსაც. ჩემი პოზიაცია ბატონ ლადოსთან ასე ჩამოვაყალიბე: იქნებ ქართული სატვისტომოები და გერმანულ-ქართული ორგანიზაციები გაგვეერთიანებინა ერთობლივ საკოორდინაციო საბჭოში, რომელიც საშუალებას მოგვცემდა, კონტაქტი დაგვემყარებინა წარმატებულ თანამემულეებთან; შეგვექმნა უცხოეთში მოღვაწე ქართველების ერთიანი საინფორმაციო ბაზა, შემდეგ ერთობლივად გვეფიქრა, როგორ შეიძლება საქართველოში მათთვის სათანადო პირობების შექმნა და ქვეყნის სამსახურში ჩაყენება-მეთქი. ანალოგიურად ვიმოქმედებდით სხვა ქვეყნებშიც.



ლევან კალაძე

**თანამემულეების საზღვარგარეთიდან გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად დაბრუნებით კი სასიკეთოდ შევცვლიდით უმწვავეს დემოგრაფიულ მდგომარეობას.**

**— მაგრამ გერმანიის სახელმწიფოს ხელს აძლევს, თუნდაც არაგერმანელი, მაგრამ მაღალკვალიფიციური კადრების ქვეყნიდან გადინება?**

— დღეს გერმანიასა და ევროპის სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს ორი დიდი პრობლემა აქვთ: ერთი მხრივ, დაბალი შობადობის ფონზე წარმოქმნილი დემოგრაფიული პირამიდა აიძულებს გერმანელებს, უცხოელ მაღალკვალიფიციურ კადრებს გაუხსნას გზა და დაასაქმოს. მეორე მხრივ, მიგრაციის ტალღა უდიდეს პრობლემებს უქმნის მათ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ჯერ კიდევ 3 წლის წინათ ამ თემაზე ვესაუბრე გერმანიის ბუნდესტაგის, ანუ გერმანიის პარლამენტის გავლენიანი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს — ქალბატონ **კაროლა რაიმანს.**

**— რომელ პარტიას წარმოადგენს ბუნდესტაგში ქალბატონი კაროლა რაიმანი?**

— კაროლა რაიმანი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეა გერმანიის ბუნდესტაგში. გერმანიის ამჟამინდელ კოალიციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატებს წამყვანი პოსტები უკავიათ. მაგალითად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე **ზიგმარ გაბრიელი** გერმანიის ვიცეკანცლერია, ამასთანავე — ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრიც. სოციალ-დემოკრატი **ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი** საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობს, ხოლო **მარტინ შულცი** ევროპალამენტის პრეზიდენტია. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ერთ-ერთი ძველი და გამორჩეული პარტიაა ევროპაში. მათ ჰყავდათ საქვეყნოდ ცნობილი ლიდერები: **ფერდინანდ ბებელი, ვილი ბრანდტი, ჰელმუტ შმიდტი.** საზოგადოდ, თუ გერმანიასა და ევროპაში ადამიანის უფლებები და სოციალური გარანტიები მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი, ამაში ლომის წილი სწორედ სოციალ-დემოკრატებს მიუძღვის.

**— ქალბატონ რაიმანთან რა საკითხებზე ისაუბრეთ?**

— შეხვედრის თემა ის საკითხები იყო, რომლებიც მტკივნეულია არა მხოლოდ ქართული რეალობისთვის, არამედ ევროპისთვისაც. ეს არის ემიგრაციით გამოწვეული სირთულეები. აქცენტი იმაზე გავაკეთე, რომ მიგრაციის ყოველდღიურად მზარდი და საშიში კერები სწორედ ის ქვეყნებია, რომლებშიც უმძიმესი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური გარემო არსებობს. გაუსაძლის ყოფას გამოქცეული მილიონობითი ადამიანი კი საიმედო ადგილს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეძებს. მივუთითე იმაზეც, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა ორივე მხარის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, თუ ევროკავშირსა და, კონკრეტულად, გერმანიას სურს, ევროპაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა გამოსწორდეს და არ დამძიმდეს, საჭიროა, სათანადო დახმარება აღმოუჩინონ პრობლემურ ქვეყნებს. სანამ კონკრეტულ საკითხზე გადავიდოდი, ქალბატონ რაიმანს განვუცხადე, თქვენთან სახელისუფლო ცვლილებებს პოლიტიკური მიწისძვრები არ მოსდევს, სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესები აქ მყარად არის დაცული-მეთქი.

**— რას ეფუძნება ეს დაცულობა?**

— პროფესიონალიზმითა და პატიოსნებით გამორჩეულ საჯარო მოხელეთა ინსტიტუტს. სწორედ მათზე დგას სახელმწიფო. მაგალითად, გერმანელ მოხელეს თავისი პოლიტიკური თვალსაზრისი, თუნდაც პოლიტიკური კუთვნილება, ხელს არ უშლის, დაკისრებული საქმე პირნათლად შეასრულოს, რადგან მას ხელშეუხებლობის გარანტია აქვს. ასე რომ, იქ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მოსვლა ვერც საჯარო მოხელის პირად ინტერესებს აზიანებს და ვერც სახელმწიფოს. ხელშეუხებლობისა და პროფესიონალიზმის საკითხი განსაკუთრებით საქართველოსნაირი ქვეყნებისთვის არის საჭირბოროტო. შემდეგ ქალბატონ რაიმანს ვუთხარი, ძალიან მომწონს გერმანული კანონმდებლობა საჯარო მოხელის შესახებ და კარგი იქნება, თუ მას საქართველოშიც დავამკვიდრებთ-მეთქი.

**— რა გიპასუხათ გერმანელმა პარლამენტარმა?**

— ჩემი მოსაზრება საინტერესოდ მიიჩნია და დამპირდა, რომ ამ შემოთავაზებას აუცილებლად განიხილავდა კოლეგებთან ერთად. იმაზეც შევთანხმდი, რომ იგი ჩვენს ელჩს — ლადო ჭანტურიასაც შეხვ-

**ალარ გვაქვს ლენინის ქუჩა, სამაგიეროდ, გვაქვს საქართველოს დიდი „მეგობრისა და დემოკრატის“ — ჯორჯ ბუშის ქუჩა. ალარ გვაქვს ლენინის ძეგლი, სამაგიეროდ, გვაქვს დიდი „მსახიობ-პოლიტკოსისა“ და „ბოროტების იმპერიასთან მებრძოლი რაინდის“ — რონალდ რეიგანის ძეგლი. თუ ამ ყველაფერს იმასაც დავუმატებთ, რომ სტალინის ძეგლი მისი მშობლიური ქალაქიდან ავიღეთ, ქუთაისში კი ფაშიზმზე გამარჯვების მემორიალი ავაფეთქეთ და უდანაშაულო დედა-შვილის სიცოცხლეც შევწირეთ, მაშინ ამერიკანიზაციას ჩვენში ღრმად გაუდგამს ფესვები.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დებოდა, რომელიც გამოცდილი იურისტია და ჩემს პოზიცებს იზიარებდა.

**— შედგა ბატონი ლადოსა და ქალბატონი რაიმანის შეხვედრა?**

— ეს შეხვედრა ჩემი ინიციატივით გაიმართა.

**— თქვენ წლების განმავლობაში იცავდით ჯერ კალაძეების ინტერესებს, შემდეგ — პოლკოვნიკ ბათუ საღინაძის. მოგვიანებით ვანო მერაბიშვილის თანაშემწედ დაინიშნეთ და ამ სტატუსით განაგრძობდით ლევან კალაძის საქმეზე მუშაობას. რა შეგიძლიათ თქვათ ამ გახმაურებულ საქმეზე, ბოლომდე გახსნილია?**

— ეჭვი, რომ ლევან კალაძის გატაცების საქმე ბოლომდე არ არის გახსნილი, თვითონ კახა კალაძესაც აქვს. მაგალითად, ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში მან განაცხადა: „დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს, ასე ვთქვათ, მასშტაბური საქმე მხოლოდ ოთხმა ადამიანმა გააკეთა. არ არის გამორიცხული, რომ ამ საქმეში იმდროინდელი მაღალჩინოსნები ყოფილიყვნენ ჩართული“.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

**— მჯერა, რომ ლევან კალაძის გატაცების საქმეში ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ და კალაძეების ყოველ ნაბიჯს გულდასმით აკონტროლებდნენ. უფრო მეტიც, სამწლიანი გამუდმებული მცდელობის შემდეგ ამ ჯგუფმა (ვგულისხმობ მაღალჩინოსნებსა და მათი დავალებით მოქმედ კრიმინალებს) მიზანს მიაღწია და კალაძეებს 200 000 დოლარი დასტყუა.**

**— რა გაძლევთ ამ დასკვნის საფუძველს?**

— მოვლენების განვითარების ქრონოლოგია, საქმეში არსებული მასალები და ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაცია. დავიწყოთ ლევან კალაძის გატაცების ეპიზოდიდან.

**არსებობს ჩვენება საავადმყოფოს დარაჯისა, რომელიც დეტალურად აღწერს 2001 წლის 23 მაისს ლევან კალაძის გატაცებას და გამტაცებლის გარეგნობას. არსებობს ჩვენებები ჯიხურის გამყიდველისა, რომელიც, ასევე, დეტალურად აღწერს იმ პიროვნების ფიზიკურ მონაცემებს, რომელმაც მისგან მოქალაქე ხოშტარიას პასპორტი წაიღო. უფრო მეტიც, ჯიხურის გამყიდველმა ამოიცნო კიდეც ის პიროვნება, რომელმაც მისგან „გირაოდ ჩადებული“ პასპორტი „გაიტანა“. გამოძიების მიერ კი დადგენილია, რომ ხოშტარიას პასპორტით შეძენილი სიმბარათით დამნაშავეები კალაძეებს უკავშირდებოდნენ.** დამნაშავეები **კარლო კალაძესა** და მისი ოჯახის წევრებს კატეგორიულად აფრთხილებდნენ, თავი დაენებებინათ პრეზიდენტთან და მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრებისთვის, რადგან „მისი შვილის ბედი ფეხებზე ეკიდათ იმ ორგანოს და ჭკუის დამრიგებლებს, რომლებიც ამ საქმით იყვნენ დაინტერესებულნი“. უფრო მეტიც, დამნაშავეებმა კარლო კალაძეს პირდაპირ განუცხადეს: **„მამა კარლო, იმოქმედე მხოლოდ შენი ტვინით. რაიმე სამწუხარო ფაქტი რომ არ მოხდეს, ჩვენი მითითებები უნაკლოდ უნდა შეასრულო, პატარა შეცდომის შემთხვევაში, შენს შვილს ველარ იხილავ. გიმეორებთ, კონტაქტზე გამოვდივართ საბოლოოდ, იცოდე, ფულის ამღებებმა შენი შვილის ადგილსამყოფელი არ იციან და რაიმე გაუთვალისწინებელი რომ მოხდეს, ჩათვალე, შვილი აღარ გეყოლება“.**

აი ასეთი იყო დამნაშავეთა კატეგორიული მოთხოვნა და მუქარა. საქმეშია გატაცებული ახალგაზრდის გულისშემძვრელი წერილები და ვიდეოკასეტა. გატაცებული ბიჭი ოჯახსა და ახლობლებს ემუდარებოდა: **„ჩემო საყვარელო ოჯახო, ძალიან გთხოვთ, გამათავისუფლოთ ამ მდგომარეობიდან, ვარ ძალიან ცუდად, მაწუხებს გული, ნაოპერაციებმაც შემაწუხა, გემუდარებით ყველას... სამი თვის ხელფასისთვის ნუ გამწირავ, საყვარელო ოჯახო, ჩემო საყვარელო ძამიკო, ძალიან შეუძლოდ ვარ, ჩქარა, ჩქარა გამათავისუფლეთ“.** სამწუხაროდ, კალაძეებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს: კარლო კალაძე დანომრილი ფულითა და „ოპერატივნიკების არმიით“ ხობში ფულის გადასაცემად წავიდა და ოპერაციაც ჩაიშალა.

**— რატომ?**

— წინასწარ „დამუშავებული“ ფულის გადაცემა და საქმის გახსნა არც შემსრულებლებს აძლევდა ხელს, არც ორგანიზატორებს და არც ამ საქმით დაინტერესებულ მაღალჩინოსნებს.

**— გამოდის, სიცოცხლის გადასარჩენად გამტაცებლის ყველა პირობა უნდა შევასრულოთ და მის ნებას დავყვეთ. ეს ხომ დანაშაულის წახალისებაა?**

— გეთანხმებით, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რა ხდება ჩვენ გარშემო?

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— როცა მაფიოზური მეტასტაზები საზოგადოებას ახრჩობს, ხელისუფლება გახლეჩილია და ძალაუფლებისთვის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს, როცა თვითონ პოლიციის მაღალჩინოსნები დეპუტატებს არათუ მუქარას უთვლიან, არამედ იტაცებენ, ცემენ და ამ გახმაურებული საქმეების გამო არავინ ისჯება, როცა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ისედაც მიზერულ ხელფასს თვეობით ვერ იღებენ, დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები კი ბიზნესში ცხვირს ყოფენ და საქმეებს არჩევენ, ასეთ დროს მეტი სიფრთხილე გმართებს და შვილის სიცოცხლე სასწორზე არ უნდა დადო.

**— თქვენს ინტერვიუებში ხშირად უსვამდით ხაზს, რომ ლევან კალაძის გატაცება მხოლოდ კრიმინალური აქტი არ ყოფილა და ამ დანაშაულს პოლიტიკური მოტივიც ჰქონდა.**

— ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ამაზე დაუფარავად საუბრობენ ექსპერტები და მაღალი დონის პროფესიონალები, თუმცა, ჩემი აზრით, ზოგიერთი შეფასება აშკარად ტენდენციურია. ავიღოთ თუნდაც კავკასიის საკითხებში ცნობილი ექსპერტის — **მამუკა არეშიძის** პოზიცია. აი, რას წერს ბატონი მამუკა ამ საკითხზე: „იმ ტოტალურ გატაცებებს, რომლებიც ხდებოდა, პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. სერიოზულად მუშაობდა „ფე-ეს-ბე“ და რუსეთის სხვა სპეცსამსახურები. მათ საქმიანობას რამდენიმე მიზეზი ედო საფუძვლად. რუსეთი საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ტერორისტულ იმიჯს უქმნიდა; ქმნიდა ფონს, რომ საქართველოში უცხოელი ბიზნესმენებისთვის საშიში გარემო იყო. და მესამე — ეს იყო ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ჩეჩნების, რომელთა დაცვასაც საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებდნენ, ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატის წამყვან წევრებად გამოცხადება. ამ დიდი პოლიტიკური ინტერესების განხორციელებაში ქართველი მაღალჩინოსნებიც მონაწილეობდნენ. მუშაობდა კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში, სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენელთა გარდა, ხელისუფლების გაცილებით მაღალი ეშელონის ჩინოსნებიც იყვნენ“.

**— რატომ მიგაჩნიათ მამუკა არეშიძის ეს პოზიცია ტენდენციურად?**

— სამწუხაროდ, საქართველო მხოლოდ ერთი ქვეყნის სპეცსამსახურების პოლიგონი არ არის. საერთოდ, **პროფესიონალებისთვის ცნობილია, რომ სახელმწიფოს დასასუსტებლად და იქ სასურველი მარიონეტული ხელისუფლების დასასმელად უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები შეგნებულად ქმნიან რევოლუციურ სიტუაციებს. რევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა კი სწორედ კრიმინალური ბუმის ხელოვნურად გამოწვევაა.** თუ თვალს გადავავლებთ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე გაჩაღებულ ფერად რევოლუციებს, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აქ რუსეთის როლი უმნიშვნელოა. ჩემს პოზიციასთან ახლოს არის თუნდაც ისეთი მაღალი დონის პროფესიონალისა და გამოცდილი ოპერატიული თანამშრომლის განცხადება, როგორიც არის ვიცეპოლკოვნიკი **დავით გაგნიძე**. ის ლევან კალაძის გატაცების საქმეზე იმ ჯგუფში მუშაობდა, რომელთანაც შს მინისტრის თანაშემწედ ჩემი მუშაობის მოკლე პერიოდში მქონდა შეხება. სხვათა შორის, ჩემ შემდეგ მასაც სერიოზული პრობლემები შეექმნა და ეს პრობლემაც კალაძის საქმეზე მოპოვებულ უმნიშვნელოვანეს ინფორმაციასა და მტკიცებულებებს უკავშირდება. ბატონი დავითის პოზიცია კი საქართველოში გატაცებების ბუმის თაობაზე ასეთია: **„რეზონანსული გატაცებები ძირითადად დაიწყო და მას შემდეგ იმატა, რაც ვანო მერაბიშვილმა ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განცხადება გააკეთა ვაშინგტონში... ვანო მერაბიშვილის მიერ აშშ-ში გაკეთებული განცხადება ერთგვარი სიგნალი იყო. ამის შემდეგ გაიტაცეს ესპანელი ბიზნესმენები, შემდეგ გაიტაცეს ხალილოვი, 2001 წლის 23 მაისს გაიტაცეს ლევან კალაძე, 2002 წელს გაიტაცეს არასრულწლოვანი მარიამ გოგინაშვილი, ამ პერიოდში მოხდა პიტერ შოუსა და „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლის — პროკოფიევას გატაცება. უკვე უცხოელებსაც იტაცებდნენ. ყველაფერი კი შევარდნაძის დისკრედიტაციისთვის კეთდებოდა და მიაღწიეს შედეგსაც, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც ყველა იმაზე საუბრობდა, რომ შევარდნაძეს ქვეყნის მართვა აღარ შეეძლო“.**

**— და ეს ყველაფერი „ვარდების რევოლუციით“ დასრულდა.**

— ფაქტია, „ვარდების რევოლუციას“ მოჰყვა „ნარინჯისფერი რევოლუცია“ უკრაინაში და რევოლუციის ჩირაღდანმა არაბულ სამყაროშიც გადაინაცვლა.

**— ისევ კალაძის საქმეს დავუბრუნდეთ, როგორ განვითარდა მოვლენები?**

— სამწუხაროდ, ამ საშიშ დინებაში მოქცეული ახალგაზრდა კაცის ბედი ტრაგიკულად დასრულდა. ლევან კალაძის გატაცებიდან 17 დღეში, 2001 წლის 11 ივნისს, მარცხისთვის განწირული ხობის ოპერაცია ჩაიშალა. 2001 წლის 4 ივლისს კი ვაზისუბანში, საცხოვრებელ კორპუსებთან ახლოს, ხევში, ლევან კალაძის გვამი იპოვეს. ჩემი ღრმა რწმენით, შემთხვევის ადგილზე მისულმა პროკურატურის გამომძიებელმა და სხვა სამართალდამცავებმა წინასწარგანზრახვით მიიჩნიეს ახალგაზრდა კაცის ცხედარი დაუდგენელ პიროვნებად და მუხათგვერდის სასაფლაოზე დამარხეს.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ეს გვამი ჩვეულებრივი არ იყო და მისგან კიდევ შეიძლებოდა დიდი ფულის გაკეთება. აბა, სხვანაირად როგორ უნდა ავხსნათ ის, რომ ვაზისუბნის ხევში ნაპოვნი პიროვნების გვამი შემოსილი იყო ძვირფასი ტანსაცმლით, ის კი ჩვეულებრივ „ბომჟად“ აღიქვეს?! როგორ, სამართალდამცავებს არ უნდა შეემოწმებინათ, ხომ არ იყო მიცვალებული რომელიმე გახმაურებული საქმის მსხვერპლი?! ეს ხომ მათი ვალდებულებაა?!

**— თქვენ „ხმამაღალ“ განცხადებას აკეთებთ, ალბათ, ამ საქმეში კონკრეტული დამნაშავეებიც გეცოდინებათ.**

— ლევან კალაძის გატაცების საქმეზე 2006 წლიდან დღემდე გაზეთებში: „ასავალ-დასავალში“, „რეზონანსში“, „საქართველო და მსოფლიოში“, „ყველა სიახლეში“ ჩემი არაერთი ვრცელი და დეტალური ინტერვიუა გამოქვეყნებული. თითქმის ყველა კონკრეტული პირი დავასახელე, მაგრამ...

**— მაგრამ გამოძიება ამ მიმართულებით არ იძვრის?**

— 2006 წლიდან ამ საქმეს ჩამომაშორეს და შემდეგ როგორ წარიმართა გამოძიება, ვერაფერს გეტყვით.

**— ცნობილია, რომ პოლკოვნიკ ბათუ საღინაძეს, რომელიც ლევან კალაძის გატაცების საქმეს იძიებდა, დიდი პრობლემები შეექმნა. სააკაშვილის რეჟიმმა 67 წლის დამსახურებული სამართალდამცველი ჯერ უკანონოდ გამოასახლა ოჯახთან ერთად სახლიდან, შემდეგ დაიჭირა და 7-წლიანი სასჯელიც მოახდევინა. თქვენ იძულებული შეიქენით, ქვეყანა დაგეტოვებინათ და გერმანიაში პოლიტიკური თავშესაფარი მოგეთხოვათ. როგორი რეაქცია ჰქონდათ ამ ყველაფერზე კალაძეებს, თუ შეეცადეთ ამ ხნის განმავლობაში მათთან კონტაქტის დამყარებას?**

— კახა კალაძეს, წინასწარი შეთანხმებით, 2007 წლის აპრილში ჩავაკითხე მილანში, მაგრამ იქ არ დამხვდა. ვფიქრობ, შეხვედრას თავი აარიდა. მეორედ, 9 წლის შემდეგ, 2015 წლის 17 სექტემბერს, ვცადე, შევხვედროდი გამინისტრებულ ყოფილ ფეხბურთელს და სამსახურში მივაკითხე. მითხრეს, ბატონი მინისტრი დაკავებულია და ვერ მიგიღებთო. არადა, **ძალიან მინდოდა, კახა კალაძისთვის მეკითხა, ამ ხნის განმავლობაში რატომ არ დაინტერსდა იმ ადამიანების ბედით, რომლებსაც მისი ოჯახური ტრაგედიის გამო ამდენი უსიამოვნება შეემთხვათ.** ნაცვლად თანადგომისა, რატომ მემუქრებოდა მამამისი **კარლო კალაძე** და რატომ ითხოვდა დაჟინებით, ამ საქმეს ჩამოვშორებოდი. წარმოიდგინეთ, პოლკოვნიკი ბათუ საღინაძის მიმართ ხელისუფლება გაუგონარ უკანონობას სჩადის, მე კი, შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწეს, ვანო მერაბიშვილის დანაშაულებრივი გარემოცვა მემუქრება და კარლო კალაძე მათთან უნისონში ტელეფონიდან მიყვირის, — თუ საქმეს არ ჩამოშორდები, იმ საფლავში დაგმარხავ, რომელსაც ასე თავგამოდებით ეძებო.



## «ძალიან მინდოდა, კახა კალაძისთვის მეკითხა, ამ ხნის განმავლობაში რატომ არ დაინტერსდა იმ ადამიანების ბედით, რომლებსაც მისი ოჯახური ტრაგედიის გამო ამდენი უსიამოვნება შეემთხვა. ნაცვლად თანადგომისა, რატომ მემუქრებოდა მამამისი კარლო კალაძე და რატომ ითხოვდა დაჟინებით, ამ საქმეს ჩამოვშორებოდი»

ესაუბრა
**თემურ ბერიძე**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ მიმდინარეობას და მოძრაობას დიდად შეუწყო ხელი ისეთმა ფილმებმა როგორიც არის: „ჰარი პოტერი“ და „ბეჭდების მბრძანებელი“, სწორედ ამ ფილმებმა შეუწყო ხელი ნეოპაგანისტური სუბკულტურის პოპულარიზაციას ევროპასა და მსოფლიოში. ეს მოძრაობა დაუფარავად აცხადებს, რომ ისტორიული წარმართული რწმენა უნდა იყოს მიღებული თანამედროვე ევროპაში.**



მწვანე ჯვარი

# ნეოპაგანიზმი – მსოფლმხედველობა, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს

**ბოლო წლებში ევროპის რიგ ქვეყნებში სწრაფად ვრცელდება ნეოპაგანიზმი, იგივე კერპთაყვანისმცემლობა. XXI საუკუნეში ის ისლამის შემდეგ ყველაზე სწრაფად მზარდ რელიგიურ მიმდინარეობად იქცა. თანამედროვე კერპთაყვანისმცემლობა, ანუ ნეოპაგანიმზი წარმოადგენს მსოფლმხედველობას, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს და ცხოვრების წესს. პაგანისტების აზრით, პაგანიზმი — ესაა ღრმაშინაარსიანი რელიგიური მსოფლმხედველობა და მას შეუძლია წინ წამოიწიოს თანამედროვე ეპოქაში. ღმერთმა დაგვიფაროს!**
**ამ მიმდინარეობას და მოძრაობას დიდად შეუწყო ხელი ისეთმა ფილმებმა როგორიც არის: „ჰარი პოტერი“ და „ბეჭდების მბრძანებელი“, სწორედ ამ ფილმებმა შეუწყო ხელი ნეოპაგანისტური სუბკულტურის პოპულარიზაციას ევროპასა და მსოფლიოში. ეს მოძრაობა დაუფარავად აცხადებს, რომ ისტორიული წარმართული რწმენა უნდა იყოს მიღებული თანამედროვე ევროპაში.**

ნეოპაგანიზმის მიმდინარეობებიდან გამოიყოფა **სტაროვერები** და **როდნოვერები** (სლავი პაგანისტები), **ნორდიკები** (სკანდინავიელი პაგანები), **ოდინისტები** (გერმანულენოვანი ხალხები), **დრუიდისტები** (ბრიტანელი და კელტი პეგანები) და **ჰელიოპაგანები** (ბერძენი პაგანისტები), ასევე სხვა წვრილი და მცირერიცხოვანი წარმართული ჯგუფები.

პაგანიზმის მიმდევრები ეყრდნობიან წინარე ქრისტიანული ფოლკლორული ეთნოგრაფიული წყაროების სხვადასხვა სახეს. ისინი ცდილობენ, დაიცვან სულიერება და რაც შეიძლება ზუსტად აღადგინონ მკვიდრი ეთნიკური რელიგიები. რეკონსტრუქციას უწევენ რა ძველ წინარექრისტიანულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, გამოირჩევიან სხვა ევროპელი მოქალაქეებისგან ჩაცმის სტილით, გარეგნობითა და სამკაულებით. აკადემიური კვლევების შემდეგ დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ გარდა ამ რეგიონული დასახელებების (სტაროვერები, ოდინისტები, დრუიდისტები და სხვ.) განსხვავებებისა, პაგანიზმი გამოირჩევა სხვადასხვა განშტოებითაც. მაგ. ანიმიზმი, ტოტემიზმი, პოლითეიზმი, პანთეიზმი, მონოთეისტური პაგანიზმი და სხვ.

**პაგანიზმისა და ქრისტიანობის ურთიერთდამოკიდებულება რთული და დაძაბულია. ეს დაძაბულობა განსაკუთრებით შეიმჩნევა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებსა და ნეოპაგანისტურ მიმდინარეობებს შორის.** მეცნიერი, მკვლევარი **ითან დოილი** აცხადებს, რომ პაგანიზმი შეიძლება შევადაროთ აბრაამისეულ რელიგიებს და მათ სტრუქტურას. მკვლევარი **გრეჰემ ჰარვი** ახასიათებს პაგანიზმს, როგორც ერთიან რელიგიას, რომელშიც გამოიყოფა ისეთი ჯგუფები და მიმდინარეობები, როგორიცაა ვიკა, დრუიდიზმი და ა.შ.

**ნეოპაგანიზმის ყველაზე ცნობილი და გავრცელებული მიმდინარეობებია:**

## სკანდინავიური პაგანიზმი (გერმანული ჰეტენიზმი)

სკანდინავიაში პაგანისტებს შორის თითქმის სრულად დომინირებს გერმანული ჰეტენიზმი. მის მომხრეებს უწოდებენ „ფოლკეტროს“ (ხალხური რწმენა). იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სკანდინავიურ მითოლოგიასთან, ვალჰალასთან, კეთილი და ბოროტი ძალების, სამოთხისა და ჯოჯოხეთის რწმენასთან და სულის უკვდავებასთან.

## სტაროვერიზმი და როდნოვერიზმი (სლავური პაგანიზმი)

როდნოვერები ძირითადად ეთნიკური რუსები, ბელარუსები და უკრაინელები არიან. ისინი, სხვა ევროპელი პაგანისტებისგან განსხვავებით, ეროვნულ სამოსს ატარებენ, რომლითაც თავიანთ ეროვნულ იდენტობას უსვამენ ხაზს. მეორე დიდი ჯგუფი სლავი სექტანტებისა არიან სტაროვერები, რომლებიც ხშირად ერევათ ხოლმე ათეისტ ან პაგანისტ მოსახლეობაში.

**სტაროვერები უძველესი მორწმუნე ხალხია.** ისინი არ არიან პაგანისტები, ქრისტიანები არიან — თუმცა მისდევენ უძველეს ქრისტიანულ რწმენას, სახარებასა და ფსალმუნებს, არ აღიარებდნენ ხატებსა და ჯვრებს. მათ სარწმუნოებით და იდეოლოგიურად არანაირი საერთო არ აქვთ როდნოვერებთან.

**სტაროვერები** 1666 წელს დაუპირისპირდნენ რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას, გამოეყვნენ მას, როგორც სექტა, ხოლო მოგვიანებით რუსეთის იმპერატორსაც აღარ ემორჩილებოდნენ, რის გამოც ისინი იმპერატორმა სხვადასხვა პროვინციაში გადაასახლა. სტაროვერები დღემდე ცხოვრობენ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, კარელიასა და ვოლგისპირეთის სოფლებში. ისინი XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში, ახალციხის მაზრაში ჩამოასახლეს, მაგრამ საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ მათ დატოვეს საქართველო, მასიური მიგრაცია მათ 90-იან წლებში განახორციელეს. დღეს საქართველოში სტაროვერები აღარ ცხოვრობენ.





ოსური პაგანიზმი

## კელტური ნეოპაგანიზმი

ესაა ბრიტანეთისა და ირლანდიის კუნძულებზე მცხოვრები ხალხების ფართოდ გავრცელებული უძველესი რწმენა, რომელიც ეფუძნება კელტურ ფოლკლორს, უძველეს რიტუალებს და ცოცხალ ტრადიციებს. იგი უარყოფს ეკლექტიციზმს და ნეოპაგანისტების თემში კულტურულ მითვისებას. იგი იყოფა შემდეგ მიმდინარეობებად: კელტური ნეოშამანიზმი, კელტური ვიკა და ნეოდრუიდიზმი.

## ბერძნული პოლითეიზმი (ელინიზმი)

ელინიზმი საბერძნეთის ეთნიკური რელიგიაა, ასევე ცნობილია, როგორც დოდეკათეიზმი — „თორმეტღმერთიანობა“. ელინიზმი მოიცავს ოლიმპოს თორმეტი ღმერთის რწმენას, ასევე უძველესი საბერძნეთის ფასეულობებს. იგი ძველ საბერძნეთში აღმოცენდა და მეოცე საუკუნიდან დაიწყო მისი რეკონსტრუქცია. მათ აღადგინეს ძველი საკულტო შენობები, რიტუალები და სამოსელი. მოძრაობის ლიდერები აცხადებენ, რომ **2005 წელს ამ რელიგიას 2 000 მიმდევარი ჰყავდა, ხოლო დაახლოებით 100 000 ადამიანი გარკვეულ ინტერესს ამჟღავნებდა მის მიმართ. ელინიზმი არის ყველაზე გავრცელებული ტერმინი და გამოიყენება როგორც თანამედროვე პოლითეისტური რელიგიის იდენტიფიკატორი.** ისინი მწვავედ უპირისპირდებიან მართლმადიდებლობას და ზოგადად ქრისტიანობას.

## პაგანიზმი კავკასიაში

პაგანიზმი არა იმ მასშტაბით და სახით, როგორც ევროპაში, მაგრამ კავკასიაში მაინც არსებობს, თუმცა მიძინებულია და მხოლოდ ერთეულებს (ისიც სოფლებში) სჯერა წარმართული ღვთაებების. მას შემდეგ, რაც კავკასიაში აბრაამისეული რელიგიები (ისლამი, ქრისტიანობა, იუდაიზმი) გავრცელდა, იმდენად შემცირდა პაგანიზმის არეალი, რომ იგი მხოლოდ მთაში შემორჩა, ისიც საკმაოდ დიდხანს, ფაქტობრივად, XIV საუკუნემდე. მას შემდეგ კი, რაც მთაში ქრისტიანობა და ისლამი გავრცელდა (სამხრეთით — ქრისტიანობა, ჩრდილოეთით — ისლამი), ისინი ადგილობრივ რელიგიურ წარმართულ რიტუალებს შეერწყა და ასე თუ ისე შეინარჩუნა თავის იდენტობა. დღემდე მორწმუნე ქრისტიანებს სწამთ, რომ ცხვრის დაკვლა ეკლესიის ეზოში ცოდვებისგან გაათავისუფლებთ, რადგან ცხვარი უცოდველი ცხოველია. ეს, რა თქმა უნდა, ცრუ რწმენაა და ასოცირდება მსხვერპლის შეწირვასთან, რასაც უდიდესი ხნის ისტორია აქვს მთის ხალხებში.

წინარე ქრისტიანულ საქართველოში ღვთაებებს ხშირად ადამიანსაც სწირავდნენ, რომელიც ან სნეული უნდა ყოფილიყო ან დატყვევებული მეომარი მტრის ბანაკიდან. პაგანიზმი დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული და შემორჩენილია ოსეთსა და დაღესტანში (რამდენიმე აულში, სადაც ცივილიზაციას არ შეუღწევია). რაც შეეხება საქართველოს, აქ მხოლოდ მთებში და ისიც ქრისტიანულ ტრადიციებშია შერწყმული და ერთს მეორისგან რთულად თუ გაარჩევთ. უძველეს დროში, როგორც პაგანისტების უმრავლესობას, კავკასიელ პაგანისტებსაც სწამდათ ბუნების ძალებისა და ციური სხეულების. საქართველოში არსებობდა მზის ღვთაება ქალის სახით, ასევე — მთვარის ღმერთი, რომელსაც მამაკაცის სახე ჰქონდა. არსებობდა დიონისესმაგვარი ღვთაება, რომელიც ღვინის კულტურასთან და მის სმასთან იყო კავშირში.

ღვინოს საქართველოში წარმართობის ეპოქაშიც სვამდნენ. ეს რიტუალი გაზაფხულის ბუნიობას მასობრივ ღრეობასა და წარმართულ ორგიაში გადაიზრდებოდა ხოლმე, როდესაც სპეციალურ სარიტუალო ნიღბებს იკეთებდნენ (ქალები — მზის ნიღბებს, კაცები — მთვარის ნიღბებს) და ღამის ორგია დილით სრულდებოდა. რადგან ნიღბები მთელ სახეს ფარავდა, შეუძლებელი იყო ორგიისას მონაწილეთა ვინაობის გაგება. სექსუალურ პარტნიორს, მხოლოდ მისი სქესი შეიძლებოდა სცოდნოდა ერთი შეხედვით, ნიღბის მიხედვით. ეს ტრადიცია ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად მოისპო, მას შემდეგ, რაც ღვინის სმას უკვე სხვა უფრო წმინდა და საკრალური რელიგიური დანიშნულება მიეცა, როგორიცაა, მაგალითად, სუფრისა და თამადის ინსტიტუტი. ამის შემდეგ წარმოიშვა სადღეგრძელოები და ჩამოყალიბდა ქართული სუფრა, ხოლო ღვინით გალეშვა ღრეობები და მასიური ორგიები საკარნავალო სპეციალური ნიღბებით წარსულს ჩაბარდა. თუმცა დიდი რაოდენობით ღვინის მიღება კარგა ხანს მაინც საპატიო მოვლენად ითვლებოდა. ღრეობა უკვე მხოლოდ ქეიფის გაგრძელებად იქცა და მან პირვანდელი სახე დაკარგა.

**რაც შეეხება ჩრდილოკავკასიურ პაგანიზმს, აღსანიშნავია დაღესტნური ტომების ადგილობრივი რწმენები, რომლებიც ასევე მჭიდრო კავშირში იყო ქართულ კერპთაყვანისმცემლობასთან**. ხოლო დასავლეთ კავკასიაში არსებობდა დამოუკიდებელი კერპები და პაგანისტური ხალხური სარწმუნოება, რომელიც აფხაზურ-ადიღეურ (ჩერქეზული მოდგმის) ხალხებში იყო გავრცელებული. იგი ღრმად იყო ფესვგადგმული ჩერქეზებში, ადიღეელებში, აფხაზებსა და უბიხებში და, ისლამის გავრცელების მიუხედავად, მაინც შეინარჩუნეს ადგილობრივმა ხალხებმა. ცნობილია, რომ უბიხების მთავარი ღვთაება თხის ფორმის ნაკეთობა იყო, რომელსაც „ბითხას“ ეძახდნენ. მას ქურუმიც ჰყავდა, რომელიც ძალიან მხცოვანი იყო. აფხაზებსა და აბაზებს შორის გავრცელებული იყო **ჰაბიზმი**.

ჰაბიზმი ემყარებოდა ტოტემურ პაგანიზმს (ტოტემი, როგორც კერპის თაყვანისცემა), მაგრამ ისლამის გავლენის გაძლიერებამ მისი მიმდევრების რაოდენობა შეამცირა ჩერქეზული მოდგმის ხალხებში. ჩერქეზთა გენოციდისა და აფხაზთა თურქეთში ▶

**ჯვრის იმ კუთხეში, სადაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები გადაიკვეთება, ჩვენს ბიოსფეროში სამყაროდან შემოსული ენერგია ჰორიზონტალურ ნაკადად წარმოიქმნება. და ჯვრის სწორედ ეს ადგილი მარჯვნივ და მარცხნივ უთვალავ, მილიარდობით დამუხტულ ნაწილაკს გადმოაფრქვევს. ნაწილაკები გამოიფრქვევა კონებად, ხოლო დიდ დღესასწაულებსა და ღვთისმსახურების დროს ჯვრიდან გვირგვინისებური გამოსხივება შეინიშნება.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



სტაროვერიზმი



სკანდინავიური პაგანიზმი

◀ გადასახლების შემდეგ კიდევ უფრო შემცირდა კავკასიელი პაგანისტების რაოდენობა, ხოლო უბიხების, შაფსუღების, ჯიქების და აბაზების გაქრობამ თითქმის საბოლოოდ დაუსვა წერტილი ამ მიმდინარეობას. თუმცა შემორჩნენ ადამიანთა მცირე ჯგუფები, როგორც თანამედროვე აფაზეთში, ისე ჩერქეზეთსა და ადიღეაში, რომლებიც ფარულად თუ ღიად ატარებდნენ რიტუალებს და თაყვანს სცემდნენ პაგანისტურ ღვთაებებს. კომუნისტურმა ათეისტურმა იდეოლოგიამ კიდევ ერთი დიდი დარტყმა მიაყენა პაგანისტებს. მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტები ჩრდილოეთ კავკასიაში წმინდა გრაალს ეძებდნენ და აქტიურად თანამშრომლობდნენ პაგანისტ ჩერქეზული მოდგმის ხალხებთან (აფხაზები, ადიღეები, ყაბარდოელები, ჩერქეზები). ამის გამო საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა ყველას, ვინც წარმართულ მორწმუნეობაში შეამჩნია. კიდევ უფრო რთული პერიოდი კავკასიურ პაგანიზმს 21-ე საუკუნეში უდგას, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში ვრცელდება რადიკალური ისლამი და ვაჰაბიზმი. მაგ. 2010 წელს ყაბარდო ჩერქეზეთის ეთნოგრაფი არსენ ციპინოვი, რომელიც წერდა წიგნს ჩერქეზულ ტრადიციულ რწმენაზე (პაგანიზმი), მოკლული იქნა რადიკალი მუსლიმის მიერ, რომელმაც იგი მკვლელობამდე ერთი თვით ადრე გააფრთხილა, შეეწყვიტა კავკასიური ადგილობრივი რიტუალების შესახებ წიგნის წერა, რომელიც ისლამს „საფრთხისა და დარტყმის ქვეშ დააყენებდა“. დღეს ჩრდილოეთ კავკასიაში პაგანიზმი ასე თუ ისე ცოცხლობს და მას მაინც ჰყავს მიმდევრები, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია, რადგან უსაფრთხოების გამო ბევრი პაგანისტი არ აცხადებს ღიად ამის შესახებ. უკანასკნელი ცნობებით, 2003 წელს აფხაზეთის მოსახლეობის 8% აღიარებს აფხაზურ ტრადიციულ ხალხურ სარწმუნოებას — ჰაბიზმს. ყაბარდო-ბალყარეთში მოსახლეობის 3%-ია პაგანისტი (მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებნი); ხოლო ყარაჩაი-ჩერქეზეთში, 2012 წლის სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის 12% პაგანისტია.

ოსური ნეოპაგანიზმი სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: „მართალი რწმენა“. 2012 წლის მონაცემებით, ჩრდილოეთ ოსეთის (ალანიის) მოსახლეობის 29% (?!) აღიარებს ხალხურ რწმენას (პაგანიზმს). ოსები წარმომავლობით ირანულენოვანი ხალხია. ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში ადრეულ შუა საუკუნეებში დასახლდნენ და თან მოიტანეს თავიათი რწმენა ბუნების ძალებისა და წინაპართა სულებისადმი. ოსების რელიგიას ყველაზე ნაკლებად შეუშალა ხელი რუსულმა იმპერიულმა ომებმა XIX საუკუნეში და მეორე მსოფლიო ომმა. რუსებმა მეთოდურად გაავრცელეს მართლმადიდებლობა წარმართ ოსებში, მაგრამ რელიგიური ნიშნით ერთგული მოკავშირეები არ შეავიწროვეს, რადგან მუსლიმურ ჩრდილოეთ კავკასიასთან საბრძოლველად რუსების ერთადერთი მოკავშირე იყვნენ ოსები. ოსები სწორედ ამ ადგილობრივი რწმენით ახერხებენ ეთნო-ნაციონალურ იდენტიფიცირებას რუსებისგან რადგან მართლმადიდებლობის მასობრივად დანერგვა მათ რუსებთან ასიმილაციის წინა პირობა იქნებოდა. ეს მათ მშვენივრად იციან და ჯიუტად იცავენ წინაპართა სარწმუნოებას.

**პაგანისტების მოძრაობა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, აქტიური XXI საუკუნეში მხოლოდ ქრისტიანულ ქვეყნებშია.** ესენია ევროპის ქვეყნები, რუსეთი, ბრაზილია, აშშ-კანადა, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ნეოპაგანიზმს არ უკავშირდება აფრიკული პოლითეიზმი და ინდიელთა ადგილობრივი რელიგიები, არც ინდოეთსა და ინდოჩინეთში არსებული ხალხური რელიგიები (მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნობისა). ბოლო პერიოდში ნეოპაგანიზმი მხოლოდ ქრისტიანულ და ვეროპულ სუბკულტურად არის წარმოდგენილი.

**მაინც ვინ არიან ევროპელი ნეოპაგანისტები? ქრისტიანული ეკლესია არც ამ საკითხშია ერთსულოვანი. კათოლიკები მათ სექტანტებად აღიქვამენ, ხოლო მართლმადიდებლები პაგანისტების ამ მიმდინარეობაში დემონური ძალების თაყვანისმცემლებს ხედავენ.** აღიქვავენ რა ტოტალურ დესტრუქციულ ძალად და არა რელიგიურ სექტად (როგორც კათოლიკები), თვლიან, რომ **ესაა ევროპის დექრისტიანიზაციის გაგრძელება** (დასაწყისი, დიდი ხანია, დასრულდა ლიბერალური მსოფლმხედველობის გავრცელებით და ოჯახის თუ ეკლესიის ინსტიტუტების ნგრევით).

სწორედ მაგიურ რიტუალებს ახორციელებენ ნეოპაგანიზმის მიმდევრები. მათ ჰყავთ ქურუმი, რომელიც ატარებს სხვადასხვა რიტუალს; იყენებს პენტაგრამას, როგორც სიმბოლოს. პაგანისტი ქალები ხშირდ არიან შემჩნეული ე.წ. კუდიანობაში, ანუ ჯადოქრობაში (რთული დასაჯერებელია XXI საუკუნეში, თუმცა ფაქტი ჯიუტია), ხოლო ქრისტიანულ ეკლესიას დაწყევლილი ჰყავს წარმართები, როგორც სატანური ბნელი ძალები, რომლებიც ქრისტიანული სარწმუნოებისთვის დამანგრეველ ძალას წარმოადგენენ.

პაგანისტები ხშირად მართავენ მსვლელობებს ვეროპის ქალაქებში და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად პოპულარული მიმდინარეობა გახადონ იგი ღმერთისგან მივიწყებულ გაათეისტებულ ბებერ კონტინენტზე. მათი შეკრების ძირითად ადგილს ტყეები და ეკოლოგიური პარკები წარმოადგენს. პაგანისტების ფერია მწვანე, რადგან იგი ხაზს უსვამს მათ მჭიდრო კავშირს ბუნებასთან. წრეში ჩასმული მწვანე ჯვარი პაგანისტების სიმბოლოა.

# ჯვარი — დედამიწაზე სასიცოცხლო ძალების კვების ერთ-ერთი ძლიერი გამოვლენა

**რუსმა მეცნიერებმა კვანტური ფიზიკის პოზიციებიდან შეისწავლეს ჯვარი და გამაოგნებელ დასკვნამდე მივიდნენ. მათმა ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ფ. ი. შიპუნოვმა ამ შედეგების შესახებ საქვეყნოდ განაცხადა. 1994 წელს კი შიპუნოვი გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.**

აი, რა აღიარა მეცნიერმა:

„ჩვენი ცდებით დამტკიცდა, რომ პლანეტაზე ჯვარი ერთადერთი მექანიზმია, რომელიც დამუხტულ ნაწილაკებს წარმოქმნის, ანუ ჩვენი სიცოცხლისთვის უზრუნველყოფს ელექტრულ კვებას, რომლის გარეშეც არც ერთ ცოცხალ უჯრედს არ შეუძლია არსებობა. ყველაზე საინტერესო კი აი, რა არის — **ჯვრის იმ კუთხეში, სადაც ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები გადაიკვეთება, ჩვენს ბიოსფეროში სამყაროდან შემოსული ენერგია ჰორიზონტალურ ნაკადად წარმოიქმნება. და ჯვრის სწორედ ეს ადგილი მარჯვნივ და მარცხნივ უთვალავ, მილიარდობით დამუხტულ ნაწილაკს გადმოაფრქვევს. ნაწილაკები გამოიფრქვევა კონებად, ხოლო დიდ დღესასწაულებსა და ღვთისმსახურების დროს ჯვრიდან გვირგვინისებური გამოსხივება შეინიშნება.**

**მერე ჯვრის ვერტიკალური შემადგენლიდან ეს ენერგია ტაძრის სივრცეში ხვდება და იქ ელექტრული ენერგიის უზარმაზარ პოტენციალს ქმნის. ამიტომაც ტაძარი, თანამედროვე კვანტური მექანიკის თვალსაზრისით, ენერგიის უზარმაზარ გამომსხივებელს წარმოადგენს. ეს გამოსხივება დიდ მანძილზე ვრცელდება და, ფაქტობრივად, თავის გარშემო არსებული სივრცის მთელ ელექტრომაგნიტურ სტრუქტურას გარდაქმნის. ამას შემდეგ უზარმაზარი ძალის უფრო ფაქიზი ველების გარდაქმნაც მოსდევს, ანუ ტაძრის გარშემო სივრცე მთლიანად იცვლება.**

...ჯვრები თვით მიტოვებულ ტაძრებშიც კი გამოასხივებს ენერგიას. ყველა ჯვარი გამოასხივებს ენერგიას; ყველაზე ძლიერად კი — ოქროსი, სხვა ლითონის — შედარებით ნაკლებად... გამოასხივებს ხის ჯვარიც.

ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ჯვრის ვერტიკალური ნაწილი კოსმოსურ რადიაციას იღებს, ჰორიზონტალური ნაწილი კი მას დედამიწის ზედაპირზე გადაასხივებს. ჯვარი წარმოადგენს ელექტრული მუხტების ყველაზე ძლიერ გამასხივებელს და, სხვათა შორის, მაცოცხლებელი მუხტებისას, რომელთა რაოდენობა დედამიწაზე არ კმარა. ეს წმინდა ფიზიკური მოვლენაა. ჯვარი — ეს არის დედამიწაზე სასიცოცხლო ძალების კვების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამოვლენა. მეორე ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს“.



**ჯვარი პატიოსანი, სვეტიცხოველი.**
**საუკუნეებგამოვლილი ჯვარი პატიოსანი დღესაც სასწაულებრივად კურნავს სასოებითა და რწმენით მიახლოვებულთ.**



**ამ ჯვრით თამარ მეფე ჯარს ლოცავდა.**
**„როგორც კი ამ ჯვარს ხელი ვახლე, იმ ადგილიდან, სადაც ძელიცხოვლის ნაწილია დატანებული, დიდი ენერგია ვიგრძენი“ — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.**

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძაღლები სიტყვას თუ ვერ ამბობენ, არ ნიშნავს იმას, რომ მისი შინაარსი არ ესმით. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ჩვენი სიტყვიერი მოწოდების პასუხად ისინი ჯდებიან, დგებიან, გიწვდიან თათს და ა.შ.**

# კამპუსი, რომელიც ფანტასტიკური ბლოკბასტერის კოსმოსურ ხომალდს მოგაგონებთ

**მეცნიერები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს კორპორაცია Apple-ს კამპუსის მშენებლობას, რომელიც თავისი იერითა და შთამბეჭდავი გრანდიოზული მოცულობით ფანტასტიკური ბლოკბასტერის კოსმოსურ ხომალდს მოგაგონებთ.**



დაახლოებით 2 წელიწადში Apple-მა შეძლო კოლოსალური სამუშაოს ჩატარება. ახალი კამპუსის ფართობი 260 ათასი კვ მეტრია, ხოლო ოთხსართულიანი წრიული შენობის ქვეშ გაკეთებული „პარკინგი“ თანამშრომელთა ავტომობილებისთვისაა გათვალისწინებული. შენობაში მუშაობა ერთდროულად 14 ათას ადამიანს შეეძლება.

კამპუსის გარშემო დამატებით სხვა ნაგებობებსაც აშენებენ, მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა ელექტროსადგურს. პროექტის ღირებულება 5 მილიარდი დოლარია, მშენებლობა კი წლეულს დასრულდება. დიზაინი ეკუთვნის ბრიტალელ არქიტექტორს — **ნორმან რობერტ ფოსტერს**.

ლორდ ფოსტერს ბრიტანეთში ბევრი სუპერვარსკვლავ არქიტექტორს უწოდებს მისი პოპულარობის გამო.

ლორდ ფოსტერს წარმატებული კარიერა მოუტანა პროექტებმა, როგორიცაა კომერცბანკის ცათამბჯენი ფრანკფურტში, ლონდონის ათასწლეულის ხიდი, სიტი-ჰოლი ლონდონში, ჰერსტ ტაუერი ნიუ იორკში, ბეიჯინის საერთაშორისო აეროპორტი, საერთაშორისო ტერმინალი ჩინეთში და სხვ.



# მეცნიერმა სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით სხეულში ბაქტერია შეიყვანა

**ერთი წლის წინათ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის კათედრის გამგემ ანატოლი ბრუშკოვმა ინიექციით საკუთარ ორგანიზმში 3,5 მლნ წლის ბაქტერია შეიყვანა და ეს, როგორც თვითონ ამბობს, სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით გააკეთა.**

ანატოლი ბრუშკოვი განმარტავს, რომ ბაქტერია იაკუტიაში აღმოაჩინეს, სადაც მუდმივ ყინვასა და სიცივეში ადამიანები იმაზე დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მათი მეზობლები. ცხადია, საკუთარი თავის ინფიცირებამდე მეცნიერმა კვლევები მღრღნელებზე ჩაატარა. შედეგი გასაოცარი აღმოჩნდა — ბაქტერიის შტამით ინფიცირების შემდეგ ასაკოვანი მღრღნელები თავს უკეთ გრძნობდნენ და ჯანმრთელი ახალი თაობის გამრავლებაც შეეძლოთ. ხოლო მარცვლოვან კულტურებში ბაქტერიის შეყვანამ მცენარის ზრდის სტიმულირება მოახდინა.

რაც შეეხება მეცნიერის ჯანმრთელობას, თავად ამბობს, რომ თავს გაცილებით მხნედ გრძნობს, აღარ იღლება და რომ მისი შრომისუნარიანობა გაიზარდა.

ბრუშკოვი ახლა იმაზე ფიქრობს, გამოიკვლიოს, თუ რა მიზეზი აფერხებს უჯრედების დაბერებას. ამის შემდეგ კი შესაძლებელი გახდება ამ რესურსის მიზანმიმართულად გამოყენება — სიცოცხლის არა მხოლოდ 20%-ით გახანგრძლივება, არამედ სანამდეც გვენდომება.

# ბუნებაში ჟირაფის, ერთი კი არა, რამდენიმე სახეობაა

**ახლახან მეცნიერებმა ჟირაფების დნმ-ის შესწავლით ფრიად საინტერესო სიახლე აუწყეს საზოგადოებას — თურმე ბუნებაში ჟირაფის 4 სახეობაა, რომელთა ურთიერთშეჯვარება ველურ ბუნებაში არ ხდება.**



„ეს გასაოცარი აღმოჩენაა“, — ამბობს ფრანკფურტის უნივერსიტეტის გენეტიკოსი, კვლევის ხელმძღვანელი **აქსელ იანკე** და დასძენს, რომ ჟირაფები საკმაოდ მოძრავნი არიან, საკმაოდ გავრცელებულნიც; თუკი მოისურვებდნენ, მათ სხვადასხვა სახეობას შეჯვარების უამრავი შანსი ჰქონდათ ველურ ბუნებაში.

მაგრამ რა უშლიდა ხელს?

შესაძლოა, მდინარეები ან სხვა ფიზიკური ბარიერები.

გენეტიკური მრავალფეროვნების განსაზღვრის მიზნით, კვლევისას 190 ჟირაფის დნმ შეისწავლეს. ოთხნაირი შედეგი მიიღეს, რომლებიც მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ცალკეულ სახეობებს. ეს ჟირაფები ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც მურა დათვი თეთრისგან.

მკვლევართა წინადადებით, ამიერიდან ამ ცხოველის მოხსენიება ზოგადად **ჟირაფის** სახელწოდებით, არ იქნება მართებული.

მათი შემოთავაზება ჟირაფების სახეობათა მიხედვით ასეთია:

**1. სამხრეთის ჟირაფი**, რომელიც უპირატესად სამხრეთ აფრიკაშია გავრცელებული, ნამიბიასა და ბოტსვანაში;

**2. ჟირაფი მასაი**, რომელიც ტანზანიაში, კენიასა და ზამბიაში ცხოვრობს;

**3. ბადისებრი მოხატულობის ჟირაფი**, რომელიც კენიის, სომალისა და სამხრეთ ეთიოპიის ბინადარია;

**4. ჩრდილოეთის ჟირაფი**, რომელიც ჯოგებად ცხოვრობს კონტინენტის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილებში.

რაც შეეხება **ნუბიის ჟირაფს**, რომელიც ეთიოპიასა და სამხრეთ სუდანშია გავრცელებული, ის ჩრდილოეთის ჟირაფის ქვესახეობაა.

ეს კვლევა საკმაოდ დამაჯერებლად მიაჩნია ნიუ იორკში არსებული ამერიკის რეალური ისტორიის მუზეუმის ბიოლოგს — **ჯორჯ ამატოს.** სწორედ ის აწარმოებდა აფრიკის ველური ბუნების გენეტიკის ფართო კვლევას.

მეცნიერის აზრით, ჟირაფების ყველა სახეობა დაცული უნდა იქნას.

განსაკუთრებულ ყურადღებას კი ჩრდილოეთისა და ბადისებრი მოხატულობის ჟირაფები საჭიროებენ, რადგან თითოეული მათგანის რაოდენობა საკმაოდ შემცირებულია — 10 ათასზე ნაკლებია. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ჟირაფთა საერთო რაოდენობა 140 ათასამდე შემცირდა, ამჟამად კი 80 ათასამდეა. ამის მიზეზი, ძირითადად, ნადირობა და ბინადრობის ადგილის დაკარგვაა.

# ძაღლებს იმაზე მეტი ესმით, ვიდრე გვგონია

**დაჯექი! ადექი! კარგი ბიჭი ხარ!
ბევრი ჩვენგანი ასე ელაპარაკება თავის ოთხფეხა მეგობარს — ძაღლს. ბოლოს ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მათ მართლაც შეუძლიათ თუნდაც ნაწილობრივ გაგება იმისა, რასაც ვეუბნებით; განსაკუთრებით კი ყურადღებას ამახვილებენ, თუ როგორ ვეუბნებით.**



„სიტყვები ბუნების მიერ ადამიანისთვის ბოძებული საჩუქარია, რომელსაც ისინი ერთმანეთთან ურთიერთობაში იყენებენ, მაგრამ სინამდვილეში ძაღლებსაც შეუძლიათ სიტყვის შინაარსისა და ინტონაციის გაგება და ამას ადამიანივით აკეთებენ“, — ამბობს ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ნეირობიოლოგი, მკვლევარი **ატილა ანტიკსი.**

მეცნიერებს დიდხანს მიაჩნდათ, რომ ენის ძირითადი სამშენებლო მასალის — სიტყვების შედგენა ადამიანის ტვინის მექანიზმს შეუძლია მხოლოდ. სიტყვები ხომ ბგერებია, ამბობს ანტიკსი, მაგრამ ძაღლები სიტყვას თუ ვერ ამბობენ, არ ნიშნავს იმას, რომ მისი შინაარსი არ ესმით. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ჩვენი სიტყვიერი მოწოდების პასუხად ისინი ჯდებიან, დგებიან, გიწვდიან თათს და ა.შ.

იმის გასარკვევად, თუ რომელი სიტყვიერი სიგნალები ესმით ძაღლებს, ექსპერიმენტისთვის ანტიკსმა და მისმა ჯგუფმა 13 სხვადასხვა ჯიშის ძაღლი შეარჩიეს — კოლით დაწყებული და ოქროსფერი რეტრივერით დამთავრებული. ძაღლებს ასწავლეს 7 წუთის განმავლობაში სკანერის ქვეშ გაუნძრევლად წოლა. შემდეგ რთავდნენ ძაღლების მწვრთნელის ხმის ჩანაწერს. სანამ ძაღლები უსმენდნენ, მეცნიერები მათი ტვინის აქტივობას ზომავდნენ; ამოწმებდნენ სიტყვებისა და ინტონაციის ცალკეულ კომბინაციებს. მაგ., ერთი ჩანაწერი იყო შექება „ყოჩაღ!“ — აღფრთოვანებით წარმოთქმული; მომდევნო ჩანაწერებში იგივე ნათქვამი იყო ნეიტრალური ინტონაციით ან გაუგებრად.

შემოწმების შედეგებმა აჩვენა, რომ ძაღლები, ისევე, როგორც ადამიანები, ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს იყენებენ სიტყვების მნიშვნელობის გასააზრებლად, მარჯვენათი კი ინტონაციას აანალიზებენ. ექსპერიმენტისას, როცა დადებითი სიტყვები დადებითი ინტონაციით იყო წარმოთქმული, ძაღლის ტვინში დოფამინური დაჯილდოების ცენტრი აქტიურდებოდა; როცა დადებითი სიტყვები ნეიტრალურად იყო ნათქვამი, დაჯილდოების ცენტრი ნაკლებად აქტიური იყო; გაუგებრად ნათქვამზე კი ცენტრი საერთოდ არ რეაგირებდა.

„ძაღლები ძალიან ჭკვიანები არიან, — ამბობს ანტიკსი, — საჭირო ინტონაციით წახალისება მათზე ისე მოქმედებს, როგორც სხვა ჯილდო, მაგ., საჭმლის მიცემა ან ზურგზე ხელის გადასმა“.

ეს შედეგები წინამორბედ შედეგებს ეყრდნობა, რომლებმაც აჩვენა, რომ ძაღლებს შეუძლიათ არავერბალური სიგნალების გადამუშავება ხმის ინტონაციის მიხედვით, — ამბობს **ვიქტორია რეტკლიფი**, საკესის უნივერსიტეტში ცხოველთა ქცევის მკვლევარი.

კერძო კვლევის შედეგად რეტკლიფმა დაადგინა, რომ ძაღლები ერთმანეთისგან ასხვავებენ ქალისა და მამაკაცის ხმებს და წინადადების ინტონაციაც ესმით, თუნდაც უცხო ენაზე ნათქვამის.

ასე რომ, ძაღლებს იმაზე მეტი ესმით, ვიდრე ჩვენ გვგონია, მაგრამ დღემდე არ ვიცით, რის ინტერპრეტირებას ახდენს ძაღლის ტვინი, როცა ესმის „ყოჩაღ!“. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სიტყვებს ისინი თავისებურად აღიქვამენ. ევოლუციის თვალსაზრისით, ეს პროცესი, შესაძლოა, შორს გასცდეს პრიმატებს და მიგვიყვანოს ყველა ძუძუმწოვრის საერთო წინაპართან.

ინსულინის წარმომქმნელი უჯრედების გადანერგვას ადამიანისთვის არაადამიანისგან ეწოდება სახეობათაშორისი ტრანსპლანტაცია, მაგრამ მას, ისევე როგორც გადანერგვის სხვა ნებისმიერ ოპერაციას, აქვს სერიოზული ნაკლი — ესაა ორგანიზმის მიერ ტრანსპლანტანტის მოცილება.მსგავსი რამ რომ არ მოხდეს, მეცნიერთა ჯგუფმა, ჰუბერტ ცესა და ევგენი ხარლამპიევის ხელმძღვანელობით, მოიფიქრა უჯრედების „შეფუთვა“ დამცავ გარსში, რომელიც წარმოადგენს ინერტულ თხელ პოლიმერულ ორშრიან მასალას.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დიაბეტის დამარცხება ღორის კუჭქვეშა ჯირკვლის გადანერგვით




**შაქრიანი დიაბეტი დღეს ყველაზე საშიში დაავადებაა და ძნელად ექვემდებარება მკურნალობას. ყოველწლიურად მისგან ათასობით ადამიანი იღუპება. მაგრამ ალაბამის უნივერსიტეტის მეცნიერთა ძალისხმევით, შესაძლოა, დიაგნოზი „შაქრიანი დიაბეტი“ აღარ იქნეს განაჩენი.**

შაქრიან დიაბეტთან ბრძოლისთვის კუჭქვეშა ჯირკვლის, რომელიც გამოიმუშავებს ინსულინს, გადანერგვის მეთოდი არახალია. ამ უჯრედებს უწოდებენ **ლანგერგანსის კუნძულებს** და ისინი აქვს არა მხოლოდ ადამიანს, არამედ სხვა ძუძუმწოვრებსაც. ინსულინის წარმომქმნელი უჯრედების გადანერგვას ადამიანისთვის არაადამიანისგან ეწოდება სახეობათაშორისი ტრანსპლანტაცია, მაგრამ მას, ისევე როგორც გადანერგვის სხვა ნებისმიერ ოპერაციას, აქვს სერიოზული ნაკლი — ესაა ორგანიზმის მიერ ტრანსპლანტანტის მოცილება.

მსგავსი რამ რომ არ მოხდეს, მეცნიერთა ჯგუფმა, **ჰუბერტ ცესა** და **ევგენი ხარლამპიევის** ხელმძღვანელობით, მოიფიქრა უჯრედების „შეფუთვა“ დამცავ გარსში, რომელიც წარმოადგენს ინერტულ თხელ პოლიმერულ ორშრიან მასალას.

საექსპერიმენტო ოპერაციები ჩატარდა თაგვებზე. შედეგი: უჯრედები ბრწყინვალედ ასრულებდა თავის ფუნქციას, ხოლო იმუნიტეტის დაქვეითების მიზნით მედიკამენტების გამოყენება საჭირო არ შეიქნა.

ტესტირებისას საცდელ თაგვებს უნერგავდნენ არა მხოლოდ თაგვების უჯრედებს, არამედ ღორისასაც. ორივე შემთხვევაში შედეგი ერთნაირი იყო.

მეცნიერებმა ადრეც სცადს რაღაც მსგავსის გაკეთება, გამოიყენეს რა უჯრედების გარსად გელის სქელი ფენა, მაგრამ მაშინ ეს უშედეგო აღმოჩნდა. მოცემულ შემთხვევაში კი აბსოლუტურად განსხვავებული ტექნოლოგია გამოიყენეს — თხელი ფენა, რომლის ერთ-ერთი შემადგენელია 30 ნანომეტრი სისქის ტანინი, რომელიც უჯრედს 5 ფენად ფარავს. ამ „ღვეზელის“ თითოეული ფენა ერთმანეთთან წყალბადური ბმებით არის დაკავშირებული, ხოლო მასალა ხელს არ უშლის მასში ჰაერისა და საკვების ნუტრიენტების (საკვები პროდუქტების შემადგენლობაში შემავალი ორგანული და არაორგანული ნივთიერებები (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები და სხვ.), რომლებიც ორგანიზმის მიერ გამოიყენება თავისი ცხოველქმედების უზრუნველსაყოფად; საკვები ნივთიერებები, რომლებიც შეიწოვება ნაწლავების საშუალებით. წარმოიქმნება საჭმლის მონელების პროცესში, რასაც ხელს უწყობს ნაწლავის ნორმალური ფლორის სიმბიოზური მიკროორგანიზმები) შეღწევას.

# ირანელი ინჟინერი რობოტი-მშენებლის შექმნას გეგმავს

**ჭკვიანი მანქანის შექმნაზე, რომელიც ერთ დღეში მთელ შენობას ააშენებს, მუშაობს სპეციალისტთა ჯგუფი ირანელი პროფესორის ბეხროკ კხოშნევისის ხელმძღვანელობით.**




მშენებლობა ძვირად ღირებული, სახიფათო საქმიანობაა, ამბობს ინჟინერი, და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს მშენებლობაზე უბედური შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის სტატისტიკა. სწორედ ამიტომ მას აუცილებლად მიაჩნია, რომ ამ საქმეში გამოყენებული უნდა იქნას რობოტები.

ირანელი ექსპერტი-რობოტოტექნიკოსი **კხოშნევისი** 20 წელზე მეტია, მუშაობს პროექტზე, რომელიც ამ პრობლემას გადაჭრის. მის მიერ შემუშავებული მეთოდი უფრო სწრაფია, ზუსტი და იაფი, ვიდრე მისი სხვა ანალოგები, და კიდევ, მისი გამოყენება კოსმოსშიაც იქნება შესაძლებელი.

ინჟინერმა განაცხადა, მისი პროექტით **ნასაც** დაინტერესდა. როგორც ჩანს ეს გამოგონება ნამდვილად გამოყენებული იქნება სხვადასხვა პლანეტაზეც.

ამჟამად მეცნიერთა ჯგუფს შექმნილი აქვს რობოტი, რომლის სიმაღლე 180 სანტიმეტრია და 100 კგ-ს იწონის. რობოტს სურენა III ჰქვია. თავის წინამორბედთან შედარებით, რომლის ნომერია II, გაცილებით ბევრი საინტერესო რამ შეუძლია. იგი გაცილებით სწრაფად მუშაობს, შეუძლია 31 მოძრაობის შესრულება და წამში გადაადგილდება 7 დიუმის სიჩქარით. ეს ცუდი არ არის, მაგრამ სურენა III არ იცის შენება.

მომავლისთვის მეცნიერები გეგმავენ, დაგროვებული მასალა შეაჯერონ და ბოლოსდაბოლოს შექმნან რობოტი, რომელსაც შენებაც ეცოდინება. მთავარი ამოცანაა — შექმნა მანქანისა, რომელიც შეძლებს დღეში მაღალი, 200-მეტრიანი კონსტრუქციების აღმართვას. ამჯერად კი გადაწყვიტეს, შექმნან პატარა რობოტი-მშენებლები ასევე შედარებით პატარა ობიექტების ასაშენებლად.



# როგორ გავასუფთავოთ კომპიუტერის კლავიატურა

**კომპიუტერის კლავიატურა ერთ-ერთი რთულად გასაწმენდი ნივთია, თუმცა თუ ძველ ან საგანგებოდ ამ საქმეებისთვის ნაყიდ კბილის ჯაგრისს დავიხმართ, ამ პრობლემას საკმაოდ მარტივად და ეფექტურად მოვაგვარებთ — ის ცოცხივით დაგვის კლავიატურას და ძალიან კარგად მოაშორებს მას ზედმეტ მტვერს.**



# მსოფლიოში ყველაზე მახინჯი ქალი

**17 წლის ლიზი ველასკესი ყველაზე მახინჯი ქალია მსოფლიოში.** ეს წოდება სწორედ საზოგადოებამ მიანიჭა ლიზის. მას მემკვიდრული დაავადება აქვს, რაც მისი გენებისა და ქრომოსომების არასწორი თანწყობის შედეგია. ლიზი 30 კგ იწონის. ლიზის ადრე რცხვენოდა თავისი გარეგნობის, მაგრამ ახლა მიაჩნია, რომ „გვირაბის ბოლოს სინათლე ჩანს“.

# შეცდომები, რომლებსაც ტელეფონის დამუხტვისას ვუშვებთ

**თანამედროვე ტელეფონის მომხმარებლები ხშირად ჩივიან იმაზე, რომ სმარტფონების აკუმულატორები ძალიან მალე იცლება და დილით დამუხტული მოწყობილობა საღამომდეც ვერ ძლებს. სინამდვილეში ეს მხოლოდ ჩვენი ბრალია.**



ყველანაირად უნდა მოვერიდოთ სმარტფონის ხშირ-ხშირად ნაწილ-ნაწილ დამუხტვას. სწორედ ეს არის მთავარი შეცდომა!

Battery University-ს საიტზე, რომელიც აკუმულატორების მწარმოებელი კომპანია Cadex-ის მიერ არის შექმნილი, დეტალურადაა აღწერილი სმარტფონებში გამოყენებული ლითიუმ-იონური აკუმულატორის ე.წ. სტრესი. ადამიანის მსგავსად, გამუდმებულ სტრესზე ელემენტიც რეაგირებს სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითებით, ამიტომ თუ გსურთ, სმარტფონის აკუმულატორი დიდხანს გემსახუროთ, სწორად უნდა დამუხტოთ.

**როცა სმარტფონი სრულად არის დამუხტული, ნუ დატოვებთ მას დენის წყაროში ჩართულს.**

Cadex-ის მონაცემებით, უკვე დამუხტული ტელეფონის ენერგიის წყაროში ჩართული დატოვება, როგორც ამას ღამე ხშირად ვაკეთებთ, აკუმულატორს აზიანებს. როცა ტელეფონი 100%-ით იმუხტება, იგი იწყებს ელექტრობის მიღებას მცირე იმპულსებით, რომლებიც ეხმარება მუხტის დონის მაქსიმუმზე დაჭერაში.

ამგვარად, ელემენტი ამ დროს სტრესულ სიტუაციაშია. ეს კი აკუმულატორს აფუჭებს. ამიტომ, როცა ტელეფონი მთლიანად დაიმუხტება, გამორთეთ დენის წყაროდან. თქვენ თავად ხომ არ ისურვებდით მთელი ღამის განმავლობაში, ძილის გარეშე, შეუსვენებლად იმუშავოთ და კუნთები დაჭიმული გქონდეთ?!

**უმჯობესია, ტელეფონი არ დაიმუხტოს 100%-ით.**

**CADEX ამტკიცებს, რომ ელემენტისთვის არათუ არ არის საჭირო, არამედ სასურველიც არ არის ბოლომდე დამუხტვა.** ეს იმიტომ, რომ ბოლო სტადიაზე აკუმულატორი იმუხტება მაღალი ძაბვით, ეს კი მისთვის საზიანოა.

ამიტომ **თუ გსურთ, რომ ტელეფონი ერთგულად გემსახუროთ, უმჯობესია, დღეში რამდენჯერმე მცირე დროით დამუხტოთ.**

ყველაზე კარგია, თუ დამუხტავთ ტელეფონს მაშინ, როცა მუხტის დაახლოებით 10% აქვს დაკარგული.

ეს, ერთი მხრივ, გაახანგრძლივებს სმარტფონის ელემენტის მოქმედების ვადას.

**გქონდეთ ტელეფონი გრილად.** ტელეფონის ელემენტი მგრძნობიარეა გადახურების მიმართ. მაგალითად, კომპანია Apple რეკომენდაციას იძლევა, დამუხტვისას მოხსნათ ტელეფონს საფარები — ისინი ცუდად ატარებს სითბოს და ხელს უწყობს iPhone-ის გადახურებას. ხოლო თუ ტელეფონს პირდაპირ აცხუნებს მზე, აუცილებლად გადააფარეთ რაიმე. ამგვარად ელემენტი უფრო ჯანსაღი იქნება და დიდხანს გაძლებს.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




*** 1866 წლის 21 სექტემბერს ბრომლიში (დიდი ბრიტანეთი) დაიბადა ინგლისელი მწერალი და პუბლიცისტი, სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანების ავტორი ჰერბერტ ჯორჯ უელსი.**

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „დროის მანქანა", „ექიმი მოროს კუნძული", „უჩინარი ადამიანი", „სამყაროთა ომები", „ომი ჰაერში", „ფორტუნის ბორბალი" და სხვ.

გარდაიცვალა 1946 წლის 13 აგვისტოს.



რუბრიკა „ქრონოგრაფში" გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები



***1900 წლის 23 სექტემბერს ქუთაისში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მსახიობი, საქართველოსა და სსრკ-ის სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მისი იდეურ-მხატვრული ტრადიციების ერთ-ერთი შემქმნელი და დამამკვიდრებელი ვერიკო (ვერა) ანჯაფარიძე.**

ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ს. აიდაროვისა (მოსკოვში) და გ. ჯაბადარის (თბილისში) დრამატულ სტუდიებში. 1920-1926 წლებში იყო რუსთაველის სახელობის, ბათუმისა და თბილისის „მუშათა თეატრების" მსახიობი; 1932-33 წლებში მუშაობდა მოსკოვის „რეალისტურ თეატრში"; 1933 წელს თბილისში დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლომდე ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებში: „სასტუმროს დიასახლისი" (მირანდოლინა); „ჰამლეტი" (ოფელია); „ურიელ აკოსტა" (ივდითი); „ოტელო" (დეზდემონა); „სულელი" (ლიზი); „ნინოშვილის გურია" (გინატრე); „მარგარიტა გოტიე" (მარგარიტა); „მოკვეთილი" (ჯავარა); „მისი ვარსკვლავი" (დარეჯანი); „მარიამ სტიუარტი" (მარიამ სტიუარტი); „მაკბეტი" (ლედი მაკბეტი); „პიგმალიონი" (მისის ჰიგინზი) და სხვ.

შექმნა განუმეორებელი ეკრანული სახეები: რუსუდანი („გიორგი სააკაძე"); ჰანსის დედა („ბერლინის დაცემა"); ოთარაანთ ქვრივი („ოთარაანთ ქვრივი"); კნეინა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"); პელაგია („შეხვედრა წარსულთან"); მგზავრი („მონანიება") და სხვ.

გარდაიცვალა 1987 წლის 30 იანვარს.



*** 2002 წლის 25 სექტემბერს ირკუტსკის ოლქში (რუსეთის ფედერაცია) ქალაქ ბოდაიბოსა და დასახლებულ პუნქტ ბალახნინსკს შორის, მდინარე ვიტიმის რაიონში ჩამოვარდა დედამიწის თავზე, 30 კმ სიმაღლეზე აფეთქებული გიგანტური მეტეორიტი.**

აფეთქების სიმძლავრე 200 ტ ტროტილის ეკვივალენტი იყო. ვიტიმის მეტეორიტი სიდიდითა და აფეთქების სიმძლავრით მეორეა დედამიწაზე ჩამოვარდნილ ციურ სხეულთა შორის რუსეთის ტაიგაში ჩამოვარდნილი ტუნგუსკის მეტეორიტის შემდეგ.

ვიტიმის აფეთქება 150 კმ-ის მანძილიდან ჩანდა, აფეთქებისგან წარმოქმნილი ბიძგები კი 20 ათას კვ მეტრის ფართობზე იგრძნობოდა.



*** 1897 წლის 25 სექტემბერს ნიუ ოლბანიში დაიბადა გამოჩენილი ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1949 წ.) უილიამ კატბერტ ფოლკნერი.**

მის კალამს ეკუთვნის რომანები: „ხმაური და მრისხანება", „პილონი", „აბერლომ, აბერლომ", „ქალაქი", „სინათლე აგვისტოში", „ველური პალმები" და სხვ.

გარდაიცვალა 1962 წლის 6 ივლისს.



*** 1906 წლის 25 სექტემბერს სანკტ-პეტერბურგში დაიბადა რუსი საბჭოთა კომპოზიტორი, პედაგოგი, პროფესორი, სსრკ-ის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი დიმიტრი შოსტაკოვიჩი.**

ავტორია 15 სიმფონიის, 8 კონცერტის, 3 ოპერის, 3 ბალეტის, კამერული მუსიკისა და კინოფილმებისთვის შექმნილი უამრავი ნაწარმოების.

დიმიტრი შოსტაკოვიჩის პოპულარული ნაწარმოებებია: ოპერები — „ცხვირი", „მცენსკის მაზრის ლედი მაკბეტი" და „მოთამაშენი". ბალეტები — „ოქროს საუკუნე" და „ნათელი ნაკადული".

გარდაიცვალა 1975 წლის 9 აგვისტოს.

*** 1934 წლის 26 სექტემბერს მოსკოვში დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი, სსრკ-ის სახალხო არტისტი ოლეგ ბასილაშვილი.**

შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „ძოწის სამაჯური", „ცოცხალი ლეში", „სიყვარულის მონა", „სამსახურებრივი რომანი", „შემოდგომის მარათონი", „ვაგზალი ორისათვის", „ბანდიტური პეტერბურგი", „იდიოტი", „ოსტატი და მარგარიტა" და სხვ.





*** 1948 წლის 23 სექტემბერი საღეჭი რეზინის შექმნის თარიღად ითვლება.**

სწორედ ამ დღეს ამერიკელმა ჯონ კურტისმა თავის სახლში პირველად დაამზადა თანამედროვე საღეჭი რეზინი — კანფეტის სახეობა, რომელიც შედგებოდა არასაკვები ელასტიკური მასალისა და სხვადასხვა არომატული ნივთიერებისგან.

პირველი საღეჭი რეზინი კი თარიღდება ჩვ.წ.აღ-მდე VII-II საუკუნეებით. ის გათხრებისას იპოვეს ჩრდილოეთ ევროპაში. ის ფისისგან იყო დამზადებული.

საღეჭ რეზინს 1869 წელს ახალი სიცოცხლე შთაბერა **ტომას ადამსმა**, რომელმაც მის შემადგენლობას არომატიზებული ექსტრაქტი დაუმატა, შემდეგ კი სერიული წარმოებისთვის მოწყობილობა შექმნა.



*** 1898 წლის 26 სექტემბერს ნიუ იორკში დაიბადა ამერიკელი კომპოზიტორი და პიანისტი ჯორჯ (იაკობ) გერშვინი.**

მან, საერთო ჯამში, დაწერა დაახლოებით 300 სიმღერა, მათ შორის ისეთი ჰიტები, როგორებიცაა „ფანტასტიკური რიტმი", „სვანი", „მე დავიჭირე რიტმი" და სხვ.

მისი შექმნილია მუსიკა მიუზიკლებისთვის: „როზალი" და „შენზე ვმღერი".

საორკესტრო ნაწარმოებები: „რაფსოდია ბლუზის სტილში"; სიმფონია პოემა „ამერიკელი პარიზში". მისი ყველაზე პოპულარული ნაწარმოები კი არის ოპერა „პორგი და ბესი".

გარდაიცვალა 1937 წლის 11 ივლისს.

*** 1896 წლის 24 სექტემბერს სენტ-პოლში (მინესოტა) დაიბადა ამერიკელი მწერალი ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი.**

მისი პოპულარული რომანებია: „სამოთხის ამ მხარეს"; „მშვენიერები და დაწყევლილები"; „ნაზია ღამე" და „დიადი გეტსბი"; დაწერა მოთხრობა „ბენჯამინ ბტანის იდუმალი ისტორია".

გამოსცა მოთხრობების კრებულები: „ემანსიპირებულები და ღრმადმოაზროვნენი", „მოთხრობები ჯაზის ეპოქაზე" და სხვ. ტერმინი „ჯაზის ეპოქა" მისი შემოღებულია.



გარდაიცვალა 1940 წლის 21 დეკემბერს.



*** 1818 წლის 25 სექტემბერს ინგლისელმა ექიმმა ჯეიმს ბლანდერმა ადამიანს პირველად გადაუსხა სისხლი ადამიანისგან.**

ბრიტანელმა მეანმა ბლანდერმა პაციენტს, რომელიც მშობიარობის შემდეგ სისხლისგან იცლებოდა, მისი ქმრის ორგანიზმიდან სისხლი შპრიცით ამოიღო და გადაუსხა.



*** 1852 წლის 24 სექტემბერს ფრანგმა გამომგონებელმა და ჰაერნაოსანმა ანრი ჟიფარმა პირველად იფრინა (პარიზის თავზე) დირიჟაბლით. საფრენი აპარატის სიჩქარე საათში 11 კმ იყო.**



**ამ პერიოდში წარმატებას მიაღწევენ ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ შექმნილ პრობლემებზე სწრაფი რეაგირების უნარი და შეუძლიათ პასუხისმგებლობის დაკისრება. სასიკეთო პერიოდია კუროსა და მორიელის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**21 - 27 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

დაძაბული პერიოდია. წინდაუხედავი საქციელით ბევრ რამეს გააფუჭებთ. შესაძლოა, გარშემო მყოფთა კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვიოთ. ეს იქნება კრიტიკა, რომელიც საშუალებას მოგცემთ, გააანალიზოთ თქვენი შეცდომები და მართებული დასკვნები გამოიტანოთ. ენერგიის შესუსტება, აგრეთვე, ტონუსისა და ყურადღების დაქვეითება ცუდად აისახება თქვენს კარიერაზე.

ნუ შეეცდებით ურთიერთობის გარკვევას საყვარელ ადამიანთან. ასეთი მცდელობა კიდევ უფრო გაამწვავებს ურთიერთობას. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ მშობლების მიმართ.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი, განსაკუთრებით — 21-22 სექტემბრის პერიოდში.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 სექტემბერი.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

დადებითი პერიოდია. მოგეცემათ შემოქმედებითი პოტენციალის, ორგანიზატორული უნარის სრულად გამოვლენის შანსი და ბევრი იდეის განხორციელებას შეძლებთ. დასახული მიზნებისკენ წარმატებით სვლაში კი ოჯახის წევრები და მეგობრები დაგეხმარებიან.

დაქორწინებულ კუროებს ბევრ საზრუნავს გაუჩენენ სასკოლო ასაკის შვილები. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა უპრობლემოდ წარიმართება, მარტოხელა კუროებს კი ძველი თაყვანისმცემელი შეახსენებს თავს.

დაიცავით კვებისა და ძილის რეჟიმი. სუნთქვითი ვარჯიშების შესრულება და ბუნების წიაღში გასეირნება გუნებას გამოგიკეთებთ.

**დადებითი დღე: 22 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 სექტემბერი.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ყველა და ყველაფერი თქვენ წინააღმდეგ აღდგა: ჭორებმა, ინტრიგებმა, დაპირებების შეუსრულებლობამ შეიძლება ძალიან გაგაღიზიანოთ, მაგრამ ხელს ნუ ჩაიქნევთ — შექმნილი სიტუაცია გააანალიზეთ, შეცდომები გამოასწორეთ და გრძნობებში კარგად გაერკვიეთ.

საყვარელ ადამიანთან მოსალოდნელია კონფლიქტი, მიზეზი თქვენი წინდაუხედავი საქციელი ან სიტყვები იქნება; ან მოთოკეთ ემოციები, ან მზად იყავით კომპრომისისთვის.

გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას და დაიცავით კვების რეჟიმი — თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და მაღალკალორიულ საკვებს.

**დადებითი დღე: 21 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 სექტემბერი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

მკაფიოდ დაგეგმილი მოქმედებებით შეძლებთ ბევრი ჩანაფიქრის რეალიზებას. ყურადღებით გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებზეც ხელის მოწერას აპირებთ, რადგან დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა.

რთული გადაწყვეტილებების მიღებამდე რჩევა გამოცდილ ადამიანებს ჰკითხეთ.

იმ კირჩხიბმა, რომლის გულიც თავისუფალია, შესაძლოა, გარშემო მყოფთა შორის იპოვოს ადამიანი, რომელსაც ბედს დაუკავშირებს.

მაღალია სისხლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. კირჩხიბებმა, რომლებსაც რამდენიმე ასეთი დაავადება აწუხებთ, აუცილებლად უნდა გაიარონ ექიმთან კონსულტაცია.

**დადებითი დღე: 20 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 18 სექტემბერი.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

მოგიწევთ ბევრი დროისა და ენერგიის დახარჯვა ფინანსური მდგომარეობის სტაბილურობის შესანარჩუნებლად. მოთოკეთ ემოციები, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან.

დაქორწინებული ლომებისთვის ოჯახის წევრებთან ურთიერთობა შესანიშნავი განტვირთვა იქნება დაძაბული სამუშაოს შემდეგ.

საყვარელი ადამიანები თქვენ მდგომარეობას გაითვალისწინებენ და სითბოსა და მზრუნველობას არ მოგაკლებენ.

ლომები, რომლებსაც არტერიული წნევა აწუხებთ, აუცილებლად უნდა გაესინჯონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 24 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 სექტემბერი.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

თუ შეეცდებით, თქვენი არა მხოლოდ ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, არამედ შეცდომებიც სხვებს დააკისროთ, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, რადგან ყველაფერი მალე გამჟღავნდება და შესაძლოა, კოლეგები დაგიპირისპირდნენ, ამას კი რეპუტაციის შელახვა მოჰყვება.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი. დაქორწინებულმა ქალწულებმა თავი უნდა შეიკავონ მეუღლის გაკრიტიკებისგან, რადგან ამას მწვავე კონფლიქტი მოჰყვება. მარტოხელებმა კი შეიძლება სამსახურებრივი რომანი გააჩაღონ.

მაღალია ღვიძლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. უარი თქვით ალკოჰოლზე, ყავასა და სიგარეტზე.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 სექტემბერი.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

მოერიდეთ ცვლილებებს ნებისმიერ სფეროში, რადგან შეიძლება ისეთი შედეგი ვერ მიიღოთ, როგორსაც ელოდით. თქვენი ექსცენტრიკული საქციელი კოლეგებს გაანაწყენებს და შესაძლოა, მწვავე კონფლიქტში ჩართულიც აღმოჩნდეთ. შეიძლება შეხვდეთ გავლენიან ადამიანს, რომელიც პერსპექტიულ პროექტში მონაწილეობას შემოგთავაზებთ.

საყვარელი ადამიანის ყურადღება და მზრუნველობა პრობლემებს დაგავიწყებთ, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდება — ცხოვრება რეალობაში დაგაბრუნებთ.

თქვენ ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 24 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 22 სექტემბერი.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

რთული, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერი პერიოდია, თუკი, რა თქმა უნდა, მზად ხართ სირთულეების დასაძლევად და წარმატების მისაღწევად.

გამორიცხული არ არის უთანხმოება კოლეგებთან, ამის მიზეზი კი მზის ქვეშ ადგილის მოპოვების თქვენი ძლიერი სურვილი იქნება.

შეეცადეთ, გარშემო მყოფები არ გაანაწყენოთ და საკუთარი ინტერესები დიპლომატიური მეთოდებით დაიცვათ.

დაქორწინებული მორიელები შეეცდებიან, ახალი შტრიხები შეიტანონ მეუღლესთან ურთიერთობაში. მარტოხელა მორიელები კი ახალგაცნობილ თაყვანისმცემელთან ურთიერთობის გაღრმავებას მოისურვებენ.

დიდია თირკმლის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. შეეცადეთ, ჩაიტაროთ მავნე ნივთიერებებისგან ორგანიზმის გამწმენდი პროცედურები.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 სექტემბერი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

სამსახურში შეიძლება შეგექმნათ პრობლემები, მაგრამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. შეეცადეთ, დაკისრებული მოვალეობები პუნქტუალურად შეასრულოთ და უკეთეს პერიოდს მოთმინებით დაელოდოთ.

პრობლემების დაძლევაში საყვარელი ადამიანი მხარში ამოგიდგებათ — მისგან დიდ სითბოსა და მზრუნველობას იგრძნობთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებს.

ამ პერიოდში მოწყვლადია ძვლოვანი სისტემა, განსაკუთრებით — ხელის მტევნები და ხერხემალი. იმ მშვილდოსნებს, რომლებსაც რევმატიზმი აწუხებთ, გაავდრების გამო, შესაძლოა, ტკივილი დაეწყოთ.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 სექტემბერი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

გამოგიჩნდებათ ბევრი საქმე, რომელთა შესრულებაც უამრავ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული, ყველაფერი ისე არ გამოგივიდეთ, როგორც ვარაუდობდით, გააანალიზეთ შექმნილი ვითარება და განსაზღვრეთ, საით და ვისთან ერთად უნდა იაროთ მომავალში.

ამ დაძაბულ პერიოდში მხარში ამოგიდგებათ საყვარელი ადამიანი. დიდ მხარდაჭერას იგრძნობთ მეგობრებისა და ნათესავებისგანაც, რაც გადაწყვეტილებების მიღებას გაგიადვილებთ.

მაღალია ტრავმირების ალბათობა — გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისა და ავტომობილის მართვისას.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 სექტემბერი.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

მოგიწევთ ფინანსური საკითხების მოგვარებასა და ავტორიტეტის შენარჩუნებაზე ზრუნვა. თქვენ ძალიან შფოთავთ მატერიალური საკითხების გამო და ეს არის ძირითადი მიზეზი კოლეგებსა და ახლობლებთან უთანხმოებისა, ამიტომ დაწყნარდით და მშვიდად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

მარტოხელა მერწყულებს გაუჩნდებათ ცხოვრების მეგზურის პოვნის შანსი. ამიტომ შინ ტელევიზორთან ნუ დაჯდებით. წადით ახლობლებთან ან ნაცნობებთან სტუმრად, გამოფენაზე, კონცერტზე, თეატრში.

შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას, ხოლო, თუ მკერდის არეში ტკივილს იგრძნობთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

**დადებითი დღე: 24 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 სექტემბერი.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

მოგიწევთ პასუხისმგებლობის დაკისრება არა მხოლოდ თქვენს, არამედ ახლობელთა საქმეების შესრულებაზე. ეს ძალიან გაგაღიზიანებთ და არ არის გამორიცხული, სწორედ თქვენი გაღიზიანება დაედოს საფუძვლად უთანხმოებას, რომელიც კონფლიქტში გადაიზრდება.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი. დაქორწინებულმა თევზებმა ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას თავი უნდა შეიკავონ ემოციების ამოფრქვევისგან — საქმის გარჩევა და დამნაშავის ძებნა კარგს არაფერს მოგიტანთ.

დიდია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 22 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 სექტემბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# ჰილარი კლინტონს მოჩვენებითი პარანოია დაემართა



„გენერალი ჯეიკ რიპერი: — მანდრეიკ, გახსოვს, რას ამბობდა ჟორჟ კლემანსო ომზე?
კაპიტანი ლაიონელ მანდრეიკი: — არა, არ მახსოვს.
გენერალი ჯეიკ რიპერი: — იგი ამბობდა, რომ ომი ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, სამხედროებს რომ ვანდოთ.
ასი წლის წინათ იგი შეიძლება მართალი იყო, მაგრამ ამჟამად... ასეთი საქმე პოლიტიკოსებს არ უნდა ვანდოთ! მათ დრო არ აქვთ, არც გამოცდილება ჰყოფნით, არც სტრატეგიულად აზროვნების უნარი. არ შემიძლია ვიჯდე და ველოდო, სანამ კომუნისტური იდეები, კომუნისტური დოქტრინა, კომუნისტური რევოლუცია და საერთაშორისო კომუნისტური შეთქმულება ჩვენი სხეულების ფასდაუდებელ სითხეებს გააბინძურებს და ამოწოვს“
*(„დოქტორი სტეინჯლავი, ანუ აღარ მეშინია და შევიყვარე ბომბა“ (1964 წ.).*

იმ დროს, როცა ჩვენი სხეულების ფასდაუდებელ სითხეებს აღარ ემუქრებიან დიდი და ცუდი რუსები და მათი დასაბამიდანვე ცბიერი მთავრობა, ჩვენი პოლიტიკური სისტემა აშკარად გახდა კრემლის სამიზნე. სწორედ ამაზე ლაყბობენ დაუსრულებლად ჰილარი კლინტონი და მისი პოლიტიკური საცდელი ჭიაყელების გუნდი.

**კლინტონის საარჩევნო შტაბსა და მის გამპიარებლებს რომ უსმენ, მათ, ვინც თავს გვასაღებს კორპორაციული მედიის ჟურნალისტებად, იფიქრებ, აშშ-ის საარჩევნო პოლიტიკის ბრძოლის ველზე უკვე დაიწყო მესამე მსოფლიო ომი.**

**ეს შემთხვევითი არ არის. კლინტონის საარჩევნო შტაბს წინა პლანზე გამოაქვს შოვინიზმის, პარანოიისა და შეთქმულების თეორიის ყველაზე უარესი ფორმები, რათა ამომრჩევლების ყურადღების მიღმა დატოვოს პოლიტიკური სკანდალების სერია, რომლებიც თან სდევს თეთრ სახლში მისი დაბინავების მცდელობას.**

აშშ-ის დემოკრატიული პარტია გაურიგდა ჰილარი კლინტონის შტაბს იმ მიზნით, რომ **ბერნი ანდერსის** კამპანიის საბოტაჟი მოეწყო? იცით, აქ აშკარად პუტინის ხელი ურევია! ბილ კლინტონის ფონდი მხილებულია კორუფციულ სქემებში მონაწილეობაში, რომელშიც მსოფლიოს გავლენიანი პოლიტიკოსები არიან ჩათრეული? — უეჭველია, ეს ბორშჩის მხვრეპავი ყოფილი კომუნისტების ხრიკებია. ჰილარიმ კანონის დარღვევით გაანადგურა მის კერძო სერვერში უკანონოდ შენახული ელექტრონული წერილები? — ეს მისი შავკანიანი წინამორბედის ბრალია, მაგრამ პუტინიც რაღაცნაირად უეჭველად დგას ამ ყველაფრის უკან.

საქმე ის არის, რომ ყველაზე ჭკუათხელი ადამიანები მოხიბლა ჰილარის გარეგნულად ბრწყინვალე პროპაგანდამ. უფრო ჭკვიან ან ზომიერად **ინფორმირებულ პოლიტიკურ მიმომხილველებს ესმით, რომ რუსეთის ჯაშუშურ საქმიანობაზე აქცენტირება გამიზნულია საიმისოდ, რათა ამომრჩეველმა ყურადღება არ მიაქციოს იმ ფაქტს, პრეზიდენტობის ქალბატონი კანდიდატი ცოტა რამ სასარგებლოს რომ ჰპირდება ამერიკელების უმრავლესობას.**

სიცრუის გასაღებს ამერიკული ინფორმაციის მომხმარებელი იპოვის კლინტონის საარჩევნო კამპანიის საიტზე, რომელზეც განთავსებული თითქმის ყველა პოლიტიკური შეთავაზება სრული სიცრუეა. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ჰილარის მოწოდება „სამართლიანი საგადასახადო სისტემისკენ“ და მისი ირონიული ციტატა: „აღმაშფოთებელია, რომ მილიარდერებსა და მულტიმილიონერებს შეუძლიათ ითამაშონ სხვა წესებით, ვიდრე მშრომელთა ოჯახები თამაშობენ, როცა მათ მიერ გადასახადის სამართლიან წილზეა ლაპარაკი“. **ეს მართლაც აღმაშფოთებელია, ქალბატონო სახელმწიფო მდივანო, მაშინ, როცა თავად ბრძანდებით მულტიმილიონერი და ისე იხდით საკუთარ „სამართლიან წილს“, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ.**

იქნებ, სწორედ ასეთი უხერხული ჭეშმარიტების დაფარვას ცდილობს კლინტონის მედიამანქანა რუსეთის დადანაშაულების აკვიატებული იდეის დაუღალავი გამეორებით?! პატივცემულო კანდიდატო, რუსები კი არ ამხელენ თქვენს სიცრუესა და ორპირობას, არამედ ამერიკელები, რომლებსაც შერჩათ სამართლიანობის განცდა და პატიოსანი თამაშის რწმენა.

**ხომ არ სურს ჰილარის, მიიღოს დარტყმა საკუთარ თავზე და განმარტოს, როგორ აპირებს ამერიკის წარმოების აღდგენას, როცა ეკონომიკურმა ღონისძიებებმა, რომლებიც მისი ხელშეწყობით განხორციელდა, სულ ცოტა, 700 ათასი სამუშაო ადგილის გაუქმება გამოიწვია ძირითადად წარმოებაში, ხელფასების, დახმარებების მოცულობის შემცირება მილიონობით მექსიკური წარმოშობის მუშებისთვის, რომლებიც დღეს განტევების ვაცებად იქცნენ ამერიკელი მშრომელების უმრავლესობისთვის.**

კლინტონელები თანდათან იხრებიან „ცივი ომის“ დროინდელი დემაგოგიისკენ: რუსეთის ხატებას იყენებენ, როგორც მბრწყინავ ობიექტს, რომელიც ამერიკელი ლიბერალების თვალწინ არის დაკიდებული და მათ ინფანტილურ მზერას იპყრობს.

**სანამ კლინტონელები მოწონების ნიშნად ერთმანეთს მხარზე ხელს დაჰკრავენ, ეგებ სჯობს, დაფიქრდნენ — ხომ არ არის ჰილარი ის მელა, რომელიც საქათმის ყარაულად გაამწესეს?**

კლინტონებისთვის დამახასიათებელი ორპირობით ლაპარაკობს ქალბატონი ჰილარი „რასობრივი სამართლიანობის“ შესახებ. საინტერესოა, ითვალისწინებს თუ არა ეს პოლიტიკა სატუსაღო-სამრეწველო კომპლექსის დემონტაჟს, რომლის არქიტექტორები ის და მისი ქმარი არიან.

საგარეო პოლიტიკა, რომელიც ჰილარის პროგრამაში ერთხელ არის ნახსენები, წარმოდგენილია, როგორც შოვინისტური განცხადება: **„ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, ყველაზე უფრო გაწვრთნილ, შეიარაღებულ და ძლევამოსილ ჯარს, რომელიც ოდესმე ყოფილა მსოფლიოში... და მე მთელი გულით მჯერა, რომ ამერიკა არის განსაკუთრებული ქვეყანა“**. დაუმატეთ ამას ცოტა ნეოკოლონიალიზმი, ჰუმანიზმის ეგიდით ჩაგვრის გაღრმავება და ექსპლუატაციის გაძლიერება და ხელთ გექნებათ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის უცუდესი ასპექტების რეცეპტი. კლინტონის საგარეო პოლიტიკა ემსგავსება ნეოკონსერვატული სისხლისღვრისა და ლიბერალურ-იმპერიალისტური მოლოდინების ცეცხლმფრქვეველ ქიმერას.

„ცივი ომის“ პერიოდში რკინის ფარდის ორივე მხარეს იყვნენ გონიერი ადამიანები, რომელთა წყალობით არ დაინგრა მსოფლიო. სამწუხაროდ, თითქმის 50 წლის შემდეგ მოგვევლინა **„ქაოსის დედოფალი“ ჰილარი კლინტონი**, რომელიც ნახმარი მანქანების გამყიდველის მსგავსად ცდილობს, გაასაღოს ომი და მშვიდობა ხმის მიცემის კაბინების სივრცეში.

და რა შუაში არიან რუსები?!

ეს რუსეთის კი არა, ჩვენი ბრალია, — წერს ამერიკული **„ქაუნთერ ფანჩი“**.





# ობამა თავის შემცვლელს 20 ტრილიონი დოლარის ვალს უტოვებს

**2017 წელს აშშ-ის სახელმწიფო ვალი მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ზღურბლს — 20 ტრილიონ დოლარს გადააჭარბებს. ეს ზღვარი გადალახული იქნება ახალი პრეზიდენტის არჩევიდან ერთი თვის თავზე, — იტყობინებოდა გასულ ხუთშაბათს ვაშინგტონის The Bipartisan Policy Center.**

ვალი მაქსიმუმს მარტის შუა რიცხვებში მიაღწევს, ამტკიცებენ ექსპერტები. ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ, თუ ახალი მთავრობა ვერ შეასრულებს პროგრამას, ფინანსთა სამინისტროს „ექსტრაორდინალური ღონისძიებების“ განხორციელება მოუწევს.

მაგრამ, მათივე განმარტებით, ვალის ოდენობა ამ შემთხვევაში მეორადია, რადგან იგი (ვალი) მთლიანად ვირტუალურია, რაც ნიშნავს, რომ ორი მესამედი შიგა ვალია: ერთი უწყებისა მეორისადმი, ერთი კომპანიისა მეორისადმი, მოქალაქეთა ვალები ბანკებისადმი და ა.შ., ანუ ფედერალური მთავრობა ამ ვალებზე პასუხს არ აგებს.

აშშ-ის ვალი, სხვა მთავრობებისთვის გადასახდელი, ამ 20 ტრილიონის მხოლოდ ერთი მესამედია, მაგრამ დარჩენილი 7 ტრილიონიც აშშ-ის მთავრობის საფიქრალი არ არის. სხვა სახელმწიფოთა ვალები, რომლებიც ამერიკელებს უნდა გადაუხადონ, გაცილებით მეტია.

ექსპერტები ამბობენ, რომ კრედიტორი ქვეყნები არ შეთანხმდებიან აშშ-ის გასაკოტრებლად და ერთდროულად არ მოითხოვენ, დაუბრუნოს შტატებმა ვალი, რადგან მაშინ აშშ აღებული ვალის დაუყოვნებლივ გადახდას მოითხოვს.

დღეისთვის აშშ-ის ვალი 19,5 ტრილიონ დოლარზე მეტია (მშპ-ს 105 პროცენტზე მეტი). ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში ეს ციფრი თითქმის ორჯერ — 10,63 ტრილიონი დოლარით გაიზარდა.

# ბათუმში თურქული სკოლა გახსნეს

**ბათუმში, ახალი ბულვარის ახლოს, თურქული სკოლა გაიხსნა. ის თურქეთის მთავრობამ დააფინანსა. გახსნის ღონისძიებას თურქეთის განათლების სამინისტროსა და საქართველოში თურქეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

სკოლაში სწავლა ბათუმში მცხოვრები თურქი ოჯახების შვილებს შეეძლებათ. პედაგოგებიც თურქეთის მოქალაქეები იქნებიან. სწავლება თურქულ ენაზე მოხდება, სასწავლო პროგრამა კი თურქეთის განათლების სამინისტროს დაექვემდებარება.

როგორც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განაცხადეს, სკოლის გახსნის შესახებ ინფორმირებული არ ყოფილან.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894